# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 ნოემბერი 1999 №222 (995) | ფასი 50 თეთრი




# მსაჯმა ასკაროღლიმ ფეხბურთის ფედერაციას ზარათი ამოუღო

*— აი ის ფურცელი, რომელიც „ლოკომოტივის“ წარმომადგენელმა გადმომცა მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე და მომთხოვა, აქ ჩვენი სამი ფეხბურთელის გვარი წერია და ისინი არ გააფრთხილოო. ისიც მითხრა, ყველაფერი ფედერაციასთანაა შეთანხმებულიო — განუცხადა გუშინ სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ სკანდალური მატჩის არბიტრმა გურამ ასკაროღლიმ.*

იხილეთ მესამე გვერდი

## ჯონ ტოშაკი რეალიდან დაითხოვეს

### მისი ადგილი ვისენტე დელ ბოსკემ დაიკავა

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

1999 წლის 17 დეკემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში 14 საათზე გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

**დღის წესრიგი**

1. სსჟა-ს აღმასკომის საანგარიშო მოხსენება
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. ცვლილებები სსჟა-ს წესდებაში
4. არჩევნები

სსჟა-ს ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევი თქვენთვის სასურველი კანდიდატები, წესდების შესაბამისად, უნდა წარმოადგინოთ 2 დეკემბრამდე.

*სსჟა-ს აღმასკომი*

# ესეც თექვსმეტი!

ევროპის ჩემპიონატის ფინალისტებს წუხელ ბოლო ოთხი ნაკრები შეემატა: სლოვენია, დანია, თურქეთი და ინგლისი. სლოვენიელებმა პატარა სასწაული მოახდინეს. კიევში უკრაინასთან 1:1 ითამაშეს და ორი მატჩის ჯამში 3:2 მოიგეს. თურქები ირლანდიას უგოლოდ, 0:0 გაეყარნენ და მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის წყალობით იმარჯვეს. დანიელებმა ისევ დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ისრაელი და პლეი ოფი, საერთო ჯამში, რვაბურთიანი უპირატესობით დაამთავრეს. ინგლისელებმა „უემბლიზე“ 0:1 დათმეს შოტლანდიასთან, მაგრამ შაბათს გლაზგოში გატანილმა ორმა უპასუხო ბურთმა უშველათ და ისინიც ბელგია — ჰოლანდიის საგზურის მფლობელები გახდნენ. მაშ ასე, ევრო 2000-ის თექვსმეტივე ფინალისტი ცნობილია...

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

უკრაინა — სლოვენია 1:1. სლოვენიელი საშო უდოვიჩი (№9) ალექსანდრ გოლოვკომ წააქცია

ბელგია

ჰოლანდია

იტალია

ნორვეგია

გერმანია

საფრანგეთი

შვედეთი

ესპანეთი

რუმინეთი

პორტუგალია

იუგოსლავია

ჩეხეთი

ინგლისი

დანია

სლოვენია

თურქეთი

EURO 2000

# ქარის მოტანილი ქარმა წაიღო

ევროპის ჩემპიონატი. პლეი ოფი. II წრე

**უკრაინა 1:1 სლოვენია**
**პირველი მატჩი 1:2**

1:0 რებროვი (69პ), 1:1 პავლინი (79)
უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი, ფიოდოროვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კანდაუროვი (კოვალიოვი 46), სკაჩენკო (მოროზი 58), კოსოვსკი (პოპოვი 74), შევჩენკო, რებროვი
სლოვენია: დაბანოვიჩი, კარიჩი (ოსტერცი 74), რუდონია, მილანიჩი, გალიჩი, მილინოვიჩი, ნოვაკი, ჩეპი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი 57), ზაჰოვიჩი, პავლინი
გაფრთხილება: ზაჰოვიჩი, მილანიჩი, დმიტრულინი, აჩიმოვიჩი
მსაჯი: ბ. ჰაინემანი (გერმანია)

**თურქეთი 0:0 ირლანდია**
**პირველი მატჩი 1:1**

თურქეთი: რუშთუ (ენგინი 35), ბესერლერი, ოგიუნი, ტაიფური, ალფაი, არიფი (დავალა უმითი 83), აბდულა, ოკანი, ჰაქან შუქური, სერგენი, ტაიფუნი (ფათიჰი 46)
ირლანდია: დ. კელი, კარი (კენა 4, კასკარინო 80), ირვინი, ბრინი, კანინგემი, როი კინი, დელაპი, კინსელა, ქუინი, კონოლი (დაფი 25), კილბეინი
მსაჯი: ჟ. ვესიე (საფრანგეთი)

**დანია 3:0 ისრაელი**
**პირველი მატჩი 5:0**

1:0 სანდი (3), 2:0 სტენ ნილსენი (14), 3:0 დალ ტომასონი (64)
დანია: შმაიხელი (სორენსენი 18), ტოფტინგი, ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი (ლაურსენი 70), სტენ ნილსენი, გრონკიაერი (შონბერგი 83), დალ ტომასონი, იორგენსენი, სანდი
ისრაელი: ელიმელეხი, ა. ხარაზი, ამსალემი (ბადირი 43), შელახი, ტალქარი, ჰასანი, ბანინი, ტალი (ტალასნიკოვი 28), ტურჯემანი, ბერკოვიჩი, ბენაიონი (გერშონი 72)
მსაჯი: ვ. მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

**ინგლისი 0:1 შოტლანდია**
**პირველი მატჩი 2:0**

0:1 ჰათჩისონი (39)
ინგლისი: სიმენი, ს. კემპბელი, ადამსი, საუთგეიტი, ფ. ნევილი, რედნაპი, ინსი, სქოულზი (პარლოუ 90), ბექემი, ოუენი (ჰესკი 63), შირერი
შოტლანდია: სალივანი, ვეირი, დავიდსონი, დეილი, ჰენდრი, ბარლი, ბ. ფერგიუსონი, კოლინზი, ჰათჩისონი, მაკკენი (ბერჩილი 74), დოდსი
გაფრთხილება: ინსი, დავიდსონი, რედნაპი, დეილი
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)



ინგლისი — შოტლანდია 0:1. დონ ჰათჩისონის ამ თავურს ინგლისელთა კარში გოლი მოჰყვა

## ბედნიერი კატანეცი

სლოვენიელთა მთავარ მწვრთნელ კატანეცს, მოგეხსენებათ, სრეჩკო ჰქვია. იცით, რას ნიშნავს სრეჩკო ქართულად? რას და ბედნიერებას... ოთხშაბათ საღამოს, თოვლიან კიევში კატანეციც და მისი ფეხბურთელებიც უზომოდ ბედნიერები იყვნენ. მათ საკუთარ ხალხს დიდებული საჩუქარი მიუძღვნეს — გაისად სლოვენია ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

გამართლდა მატჩის წინ კატანეცის ნათქვამი სიტყვები: ლიუბლიანაში მოგების შემდეგ, ჩემი ფეხბურთელები ფრთაშესხმულნი არიან. მათ დაინახეს, რომ უკრაინელთა ძლევა სავსებით რეალურიაო. რატომაც არა, წყვილის აშკარა ფავორიტად ხომ ყოფილი საბჭოელები ითვლებოდნენ, მაგრამ...

დამთავრებამდე თერთმეტი წუთი რჩებოდა, როცა სლოვენიელი მირან პავლინის მიერ გატანილმა ბურთმა პლეი ოფის ყველაზე დიდ მოულოდნელობას დაუდო სათავე. კიევური მატჩი 1:1 დამთავრდა. საერთო ჯამში კი ექს-იუგოსლავიელებმა 3:2 გაიმარჯვეს. პავლინის გოლამდე ათი წუთით ადრე ანდრეი შევჩენკოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სერგეი რებროვმა გაიტანა. უკრაინელებმაც ძლიერ გაიხარეს, თუმცა, მხოლოდ ათი წუთით.

საკვირველია საფეხბურთო განგება. ორი მატჩის ჯამში ყველაფერი მაინც ლიუბლიანაში მილენკო აჩიმოვიჩის მიერ დაახლოებით 50 მეტრიდან გატანილმა, ალბათ შემთხვევითმა არა, მაგრამ მაინც ულოგიკო, იღბლიანმა გოლმა გადაწყვიტა. ახლა გაიხსენეთ, როგორ ჩამოიცილეს უკრაინელებმა რუსები, საიდან გაუტანა შევჩენკომ ფილიმონოვს... ასეა, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო — ნათქვამია.

პლეი ოფის წილისყრის შემდეგ, სლოვენიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი რუდოლფ ზავრლი ამბობდა: „ჩვენ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ჩინებული შანსი აქვს და ვეცდებით ის გამოვიყენოთ." მერე დამსწრეთ შეახსენა, რომ სლოვენიას უკრაინასთან შეხვედრებში დადებითი შედეგი აქვს. ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ციკლში ეს გუნდები ერთ ჯგუფში თამაშობდნენ. მაშინ კიევური მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა, ხოლო ლიუბლიანაში სლოვენიელებმა 3:2 გაიმარჯვეს.

უკრაინა ზედიზედ მეორედ მოხვდა შესარჩევის პლეი ოფში და მეორედაც გაწბილდა. შეგახსენებთ, ორი წლის წინათ ისინი ასევე ექს-იუგოსლავიელებმა, ხორვატებმა დაამარცხეს და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს. ახლა კი გზაზე სლოვენია გადაელობათ. სლოვენია, რომელიც საკვალიფიკაციო რაუნდში საქართველოს ნაკრების თანამეჯგუფე გახლდათ.



თურქეთი — ირლანდია 0:0. თურქი აბდულა (№7) ირლანდიელი მარკ კინსელას წინააღმდეგ

## რატომ დამარცხდა ისრაელის ნაკრები?

ებრაულმა პრესამ ამ ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს მეტად სერიოზული ბრალდება წაუყენა. როგორც ირკვევა, რამდენიმე მათგანს დანიელებთან პლეი ოფის პირველი მატჩის წინა ღამეს სასტუმროს ნომრებში მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონები მიუწვევია. ჩაკეტილ კარს უკან რა ხდებოდა, ამას არ ამბობენ. ისე, ეჭვი გვაქვს, მომავალი შეხვედრის ტაქტიკურ სქემებს არ ხვეწდნენ. იმ ფეხბურთელებს წაგებული მატჩის შემდეგაც გაუგრძელებიათ იგივე საქმიანობა.

არავის საქმეა, დროს ვინ როგორ გაატარებს. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ასეც იქნებოდა. მაგრამ ეს ამბავი 13 ნოემბერს მოხდა. 13 კი თარსი რიცხვია, მით უმეტეს, მეორე დღეს კარიერაში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა თუ გაქვს ჩასატარებელი. აქედან გამომდინარე, ფეხბურთელებს ეროვნული ინტერესების ღალატში ადანაშაულებენ.

გავრცელებულ ინფორმაციას გუშინ კოპენჰაგენიდან ებრაელთა მწვრთნელი შლომო შარფი გამოეხმაურა. მან თქვა: „არ მჯერა, რომ ჩემი ბიჭები ასეთი უპასუხისმგებლონი არიან. ვფიქრობ, ფეხბურთელთა ცოლები და მეგობარი გოგონები მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში აერიათ. მატჩის შემდეგაც ვერ მოახერხებდნენ ცუღლუტობას. თამაშის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ უკვე თვითმფრინავში ვისხედით და კოპენჰაგენს მივემგზავრებოდით. თუ მათ ასე მცირე დროში რამე მოახერხეს, ძალიან სწრაფები ყოფილან. ვისურვებდი, ასეთი სისწრაფე მინდორზეც გამოეჩინოთ." ვინმე ინტრიგანი შარფს აუცილებლად შეეპასუხება, რა მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელები ლოგინში ცოლებთან ერთად იგორავებდნენ თუ ვინმე სხვასთან, ენერგიას ხომ ხარჯავდნენო.

საქმის გარჩევაში პოლიტიკოსებიც ჩაერთვნენ. ერთ-ერთმა ებრაელმა მინისტრმა ბრძანა: ნუ ვიკამათებთ, ამგვარი საქციელი ჩვენს ნაცვლად დანიელებს რომ ჩაედინათ, მატჩის შედეგი მაინც იგივე იქნებოდაო.

დანია, მოგეხსენებათ, ცნობილია სარისკიპოებით. ვერ გეტყვით, რა როლი ითამაშეს კოპენჰაგენელმა ლამაზმანებმა წუხანდელი მატჩის წინ, მაგრამ ფაქტი კია, დანიამ ისევ იოლად მოიგო, ამჯერად 3:0 და საერთო უპირატესობაც რვა ბურთამდე გაზარდა.

ცხადია, სასწაულს არავინ ელოდა. პირველი 5:0-ის შემდეგ საპასუხო შეხვედრა ფორმალობადღა ქცეულიყო. მაგრამ დანიელებმა საკუთარი 41 ათასი მაყურებლის თვალწინაც არ შეირცხვინეს თავი. მათ ლამაზი, შემტევი ფეხბურთი ითამაშეს და უკვე მე-14 წუთისთვის ორი ბურთით იგებდნენ. გოლები ებე სანდმა და ბრაიან სტენ ნილსენმა გაიტანეს. საბოლოო წერტილი კი 64-ზე ჰოლანდიური „ფეიენოორდის" შემტევმა იონ დალ ტომასონმა დასვა. კიდევ ერთი ფაქტი. მე-18 წუთზე მასპინძელთა კარში დაშავებული პიტერ შმაიხელის ნაცვლად ტომას სორენსენი ჩადგა. ეს ინგლისური „სანდერლენდის" კარის დარაჯის დებიუტი გახლდათ დანიის ნაკრებში.

## სამიდან სამი

ქალაქ ბურსაში თურქეთისა და ირლანდიის ნაკრებები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის წყალობით (დუბლინში 1:1) თურქები ევროპის ჩემპიონატზე მოხვდნენ. მასპინძლები საგრძნობ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და რამდენჯერმე მიზანთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ჯერ ჰაქან შუქურმა და ოკანმა ვერ ივარგეს, ბოლო წუთებზე კი სერგენი აღმოჩნდა მეკარე დინ კელისთან პირისპირ, მაგრამ ირლანდიელმა გოლკიპერმა იმარჯვა.

საინტერესო ფაქტია, ირლანდია ზედიზედ მესამედ გავიდა შესარჩევი ტურნირის პლეი ოფში და მესამეჯერაც დამარცხდა — 1995 წლის შემოდგომაზე ჰოლანდიასთან, 1997-ში ბელგიასთან და აი, ახლა თურქეთთან.

## წაგებული მოგებული

წუხანდელი მატჩებიდან ყველაზე გვიან ინგლისი — შოტლანდიის თამაში დაიწყო და მისი გამარჯვებული („უემბლიზე" მარცხის მიუხედავად) — ინგლისი — ევრო 2000-ის ბოლო, მეთექვსმეტე ფინალისტი გახდა.

სქოთები ამბობდნენ, ლონდონში მასპინძლებს არაფერს თავუთმობთო და სიტყვა შეასრულეს. 39-ე წუთზე სტუმარი დონ ჰათჩისონის თავურით გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში. 1985 წლის შემდეგ ეს შოტლანდიელების პირველი გამარჯვება გახლდათ ინგლისელებთან. უფრო მეტიც, ამ დროის განმავლობაში მეტოქეები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სქოთებს გოლი რაა, ისიც არ გაუტანიათ.

კიგანის გუნდი, ეტყობა, გლაზგოში გამარჯვების შემდეგ დაწყნარდა და ამისათვის კინაღამ დაისაჯა კიდეც. ერთადერთი ბურთი კი ნილ მაკკენის პასს, სოლ კემპბელის შეცდომასა და როგორც ვთქვით, დონ ჰათჩისონის თავურს მოჰყვა.

EURO 2000
UNDER-21 Championship

### ახალგაზრდული ნაკრებები

**პლეი ოფი.**
**საპასუხო მატჩები**

**თურქეთი 1:0 პოლონეთი (1:2)**
1:0 აჰმეთ დურსუნი (16)

**ესპანეთი 4:0 ნორვეგია (3:1)**
1:0 ტამუდო (6), 2:0 ხერარდი (43), 3:0 ალბერტ ლუკე (73), 4:0 ფერონი (78)

**სლოვაკეთი 3:1 რუსეთი (1:0)**
1:0 ბარციკი (51), 2:0 ნემეტი (67), 3:0 ვისკოჩი (74), 3:1 საველიევი (90)

**საბერძნეთი 1:0 ჩეხეთი (0:3)**
1:0 კონსტანტინიდისი (28)

**ხორვატია 3:0დ.დ. პორტუგალია (0:2)**
1:0 სიმიჩი (38), 2:0 დერანია (40), 3:0 ბარაბანი (99)

**ბელგია 0:2 ჰოლანდია (2:2)**
0:1 კაირო (28), 0:2 ბრუგინკი (45)

**იტალია 2:1დ.დ. საფრანგეთი (1:1)**
0:1 ანრი (3), 1:1 კომანდინი (59), 2:1 პირლო (110)

### ამხანაგური მატჩები

**საბერძნეთი 1:0 ბულგარეთი**
1:0 კიპარისისი (61)

**ესპანეთი 0:2 არგენტინა**
0:1 კილი გონსალესი (63), 0:2 პოჩეტინო (77)

# გინდათ, სიმართლე იცოდეთ?

## სიმართლე ისაა, რომ ქართული ფეხბურთი ფარსსა და ტრაგედიას შორის გაიხლართა



„ვერაფერი გავიგე“ — ამ სიტყვებით დატოვა სტკ-ს სხდომა „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ (მარცხნივ)

„ლოკომოტივი“ — „დინამოს“ შეხვედრის ანგარიში ძალაში დარჩება და ამას სტკ დღეს იტყვის.

ფარსი თუ ტრაგედია? რა უფრო მიესადაგება სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის (სტკ) გუშინდელ სხდომას? ვაი, რომ ამ ორ სიტყვას შორის არჩევანი დიდი ვერაფერი ნუგეშია. ვაი, რომ ამ ორ სიტყვას შორისაა დღეს გაჭედილი ქართული ფეხბურთი.

იქნებ ორივე? ფარსიც და ტრაგედიაც!

უფსკრულისკენ მიექანება დღეს ჩვენი ფეხბურთი, უბედურება კი ის არის, რომ ამ პროცესის დაჩქარებას მავანნი ხელის შეშველებასაც არ უგვიანებენ.

სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომებს სიმწვავე არც ადრე ჰკლებია, მაგრამ გუშინდელი მაინც გამორჩეული იყო, რადგან მისი გადაწყვეტილების საფუძველზე ქართული ფეხბურთი კლუბ ან კლუბებ ნაკლული რჩებოდა. და სტკ-ც დიდი შემართებით შეუდგა მუშაობას, მაგრამ იყო კი სამუშაო?

სტკ-ც და მსგავსი კომიტეტებიც საიმისოდ არიან (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყვნენ), რომ სამართალი გააჩინონ, სწორი გადაწყვეტილება მიიღონ, ესე იგი, რაღაც შემატონ ქართულ ფეხბურთს. იყო კი ნაყოფიერი და სასარგებლო სხდომის გუშინდელი სამსაათიანი მუშაობა? გადაჭრით ვამბობ: არ ყოფილა! და ამას ერთადერთი მიზეზი აქვს — საქმეს, რომლის მოგვარებას ერთი წუთიც კი არ სჭირდება და რომელიც სამ საათს წაგართმევს, თანაც ისე, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვერ მიგიყვანს, ნაყოფიერს და სასარგებლოს ვერ უწოდებ.

რატომ არ სჭირდებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტას სამი საათი?

პირადად ჩემთვის იმაზე მნიშვნელოვანი, რას გადაწყვეტს დღეს სტკ, (აქ ოფიციალურ გადაწყვეტილებაზეა საუბარი, თორემ სტკ-ს ყველა წევრი გუშინდელ სხდომაზე შეთანხმდა, რომ 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ ძალაში დარჩებოდა), გურამ ასკაროღლის — სკანდალური მატჩის მთავარი არბიტრის — სიტყვებია. სხდომაზე ისე წავიდა საქმე, რომ განტევების ვაცად ასკაროღლი იქცა. შენ მოკალი ფეხბურთი... ყველაფერი შენი ბრალია... რა ზღაპრებს ჰყვები... აბდაუბდად ლაპარაკობს ეს კაცი — მსგავსი რეპლიკები არ დაჰკლებია გუშინ 18-დან 21 საათამდე გაშავებულ შავოსანს. მასაც აევსო მოთმინების ფიალა და...

— გინდათ სიმართლე იცოდეთ? ინებეთ! თამაში ჩაწყობილი იყო. მატჩამდე ორი საათით ადრე ჩემთან მოვიდა „ლოკომოტივის“ გუნდის წარმომადგენელი და გადმომცა ფურცელი, სადაც ბალაშვილის, მიქაძისა და რუსიას გვარები ეწერა. მომთხოვა, ეს ფეხბურთელები არ გამეფრთხილებინა და ისიც მითხრა, რომ ყოველივე ფედერაციასთან იყო შეთანხმებული. როცა 85-ე წუთზე „დინამოს“ კარში პენალტი დავნიშნე, ცხადად გავიგე აშვეთიასა და ასლანაძის დიალოგი და დავრწმუნდი, რომ თამაში ჩაწყობილი იყო. მეტსაც გეტყვით, ისიც გავიგე, მატჩის განახლების შემდეგ როგორ უთხრა ერთ-ერთმა დინამოელმა ქებაძეს, შემოდი საჯარიმოში და წაგაქცევო, აკი წააქცია კიდეც. როცა ქებაძე პენალტს ურტყამდა, თანაგუნდელმა მიაძახა, არ გინდა, „სიონმა“ მოუგო „არსენალსო“. ამიტომ გააფუჭა ლოკომოტიველმა თერთმეტმეტრიანი. თამაში ჩაწყობილი იყო, ჩაწყობილი...

სიმართლე გითხრათ, ასკაროღლის ამ სიტყვებს სხდომის მიმდინარეობაზე დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია — „ეს კაცი ისევ აბდაუბდად ლაპარაკობდა“.

რა იყო მანამდე? იმის გარჩევა, 90 წუთი ათამაშა მსაჯმა მოედანზე გუნდები, თუ ადრე დაამთავრა შეხვედრა...

*აკაკი ჩხაიძე*, „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი — გოლი 83-ე წუთზე გავიდა, მსაჯმა სამ წუთ-ნახევრით ადრე დაამთავრა მატჩი.

*გია ფირცხალავა*, მატჩის დელეგატი — გოლი 83-ე წუთზე გავიდა. ვეჭვობ, რომ მსაჯმა ადრე დაამთავრა მატჩი, თუმცა გადაჭრით ვერ ვიტყვი ამას, რადგან მოედანზე სიტუაციის განმუხტვას ვცდილობდი და წამმზომს ვერ ვაკონტროლებდი.

*გურამ ასკაროღლი* — გოლი 85-ე წუთზე გავიდა. ვინაიდან ჩოჩქოლში წამმზომი გამომერთო, მაჯის საათით ვხელმძღვანელობდი. მეორე ნახევრის 49-ე წუთი იწურებოდა, როცა მეოთხე მსაჯს ოთხი წუთის დამატება ვანიშნე. საერთო ათვლით მეორე ნახევარში გუნდებმა 53 წუთი და 45 წამი ითამაშეს. მატჩი 90 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, მატჩი რომელიც ჩაწყობილი იყო.

83-ე თუ 85-ე წუთი? ადრე თუ დროულად? თითქმის სამი საათი ამის გარჩევას შეალია სტკ-მ.

აკაკი ჩხაიძე — რატომ დანიშნა პენალტი მსაჯმა, თუ იცოდა, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო?

ამ არცთუ უსაფუძვლო კითხვას მოგვიანებით სტკ-ს წევრმა, ზურაბ პეტრიაშვილმა შემდეგი პასუხი გასცა — ასკაროღლი ამბობს, რომ ასპროცენტიანი პენალტი იყო, მაგრამ ალბათ იფიქრა, რადგან მატჩი ჩაწყობილია, გუნდები თვითონ გადაწყვეტენო — ან გამოიყენებდა „დინამო“ მსაჯის ბოძებულ შანსს, ან — არა. პეტრიაშვილი რომ ამ სიტყვებს ამბობდა, „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძეს უკვე დატოვებული ჰქონდათ აკადემიის რექტორის კაბინეტი — ვერაფერი გავიგე, რაც გინდათ, გადაწყვიტეთ, აზრი არ აქვს არც ასე გარჩევას, არც ასეთ ფეხბურთს, კარგად იყავით — დაგვემშვიდობა აკაკი ჩხაიძე და ისე დატოვა ფიზკულტურის აკადემიის შენობა, გაღევნებულმა ჟურნალისტებმაც ვერ შეძლეს მისი შეჩერება. ჩხაიძის წასვლას ისევ წუთებზე მსჯელობა მოჰყვა. ომარ გოგიაშვილმა — სტკ-ს თავმჯდომარემ განაცხადა, ვიდეომასალა კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად ვნახოთ და გადაწყვეტილებაც ხვალ მივიღოთო. აქ კი ზურაბ პეტრიაშვილმა ითხოვა სიტყვა და ყინულიც დაიძრა: — ასკაროღლის სიტყვების შემდეგ, ვფიქრობ, ყველაფერი მიგვყავს საკითხის მიფუჩეჩებისკენ. ეს სერიოზული ფაქტია. უნდა გავარკვიოთ, მართლაც ჩაწყობილი იყო თუ არა მატჩი.

*გოგი დემეტრაძე*, სტკ-ს წევრი — ეს უკვე ფედერაციამ უნდა გაარკვიოს. რას ჰგავს ეს, ფრენბურთის თამაში ხომ არ არის, ჯერ ჩვენ მოგვცეს საქმე გადასაწყვეტად, შემდეგ ისევ ფედერაციამ წაიღო, ახლა ისევ დაგვიბრუნეს. მოდით, ერთი სვლა ჩვენც გავაკეთოთ და ისევ გადავცეთ მათ ეს საქმე. მოვითხოვ, ყველაფერი ფედერაციამ გადაწყვიტოს, აგერ მშვენიერი ახალგაზრდა კაცი ზის აქ (ხელს ვალერი ჩოლარიას მისამართით იშვერს), რა, ვერ მოაბამს თავს ყოველივეს? მიხედონ, შეგვეშვან. ფედერაცია ჩვენი მამა-ღმერთია და როგორმე მოუაროს ამ საქმეს — არ ცხრებოდა დემეტრაძე.

აზრის გამოთქმა სტკ-ს კიდევ ერთ წევრს, მანამდე ჩუმად მყოფ *რეზო ჩილაჩავას* სთხოვეს. მან დინჯად შეისწორა სათვალე და...„ვერ გამიგია, რაზე ვბჭობთ. კოდექსში გარკვევით გვიწერია, რომ თუ მსაჯმა თამაში დაამთავრა, შედეგი ძალაში უნდა დარჩეს. მსაჯის შეცდომა არ ნიშნავს იმას, რომ მატჩი უნდა გადათამაშდეს. არც ვიდეომასალა გამოგვადგება ამ მხრივ, რადგან იმავე კოდექსში გარკვევით წერია, რომ ვიდეომასალა გამოიყენება მხოლოდ მატჩის დროს დისციპლინური დარღვევების გამოსავლენად, აქ არ არის მითითებული, რომ იგი თამაშის ხანგრძლივობის გამოსავლენად უნდა გამოვიყენოთ“.

*ანატოლი მილჩენკო*, სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის უფროსი — მატჩის დროს განსაზღვრავს მხოლოდ მსაჯი...

ასკაროღლი კი ისევ დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გუნდები სრულად ათამაშა, ესე იგი, მატჩი ჩაამთავრა, საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. მაშ, რაღაა საკამათო-გასარჩევი? ომარ გოგიაშვილი ფიფადან გამოგზავნილ წერილს კითხულობს. სფფ-მ ფეხბურთის ზემდგომ ორგანოს მიმართა კონსულტაციის მიზნით და პასუხმაც არ დააყოვნა — პატივცემულო ბატონებო, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ვერანაირ განკარგულებას ვერ მოგცემთ, რადგან საქმე ეხება თქვენი ეგიდით გამართულ ტურნირში მომხდარ ფაქტს, ერთს კი დავძენთ, თუ მსაჯი თვლის, რომ მატჩი ნორმალურად დასრულდა, შედეგი ძალაში უნდა დარჩეს.

სტკ-ს დებულებაც და ფიფადან გამოგზავნილი წერილის შინაარსიც სხდომის დაწყებამდე იყო ცნობილი. მაშინ რა საჭირო იყო სამსაათიანი სხდომა, რომელმაც ოფიციალური გადაწყვეტილებაც კი ვერ მიიღო.

ფარსი თუ ტრაგედია?

— ალბათ ორივე — იტყვის მოგვიანებით გოგი დემეტრაძე — ჩვენ ბევრჯერ გავმხდარვართ წვრილმანი იურიდიული ფორმალობების მსხვერპლი. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ რა საჭიროა ამის დამალვა, თქვენც კარგად იცით, ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ... ეს ჩვენი საერთო უბედურებაა.

ეს მართლაც უბედურებაა...

*ომარ გოგიაშვილი* — ვინ არის მომხრე, რომ საკითხი დღესვე გადაწყდეს?

სტკ-ს ოთხი წევრი ხელს მაღლა სწევს.

ისევ სტკ-ს თავმჯდომარე — ვინ არის მომხრე, რომ გადაწყვეტილება ხვალ მივიღოთ? — კომიტეტის სამი წევრის ხელს თავმჯდომარის მაღლა აწეული მარჯვენა უერთდება, მისი სიტყვა გადამწყვეტია და სტკ-ც ოფიციალურ გადაწყვეტილებას დღეს მიიღებს. მიზეზი? კიდევ ერთხელ უნდა ნახონ მანამდე არაერთგზის ნანახი (როგორც ჩანს ცუდად ნანახი) ფირი, რომელიც რეგლამენტის მიხედვით დისციპლინარებს მხოლოდ ფეხბურთელთა დასჯის საზომად თუ გამოადგებათ. მაშინ, რამ შეუშალა ხელი გადაწყვეტილების მიღებას? ალბათ, წვრილმანი იურიდიული ფორმალობები მორიგ მსხვერპლს მოითხოვს.

რეზო ჩილაჩავა არ უნდა ახსენებდეს სტკ-ს მუშაობის მესამე საათის თავზე კოდექს-დებულებას, ფიფაც არ უნდა გეუბნებოდეს, თქვე დალოცვილებო, თქვენი გადასაწყვეტია და მიღებული რეგლამენტით ისარგებლეთო... სტკ-ს კი საბოლოო ვერდიქტი მაინც არ გამოუტანია... ფარსი თუ ტრაგედია? ალბათ, ორივე!

**ბაატა კვანტალიანი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



### გურამ ასკაროღლი:

მოედანზე ფეხბურთელთა დიალოგმაც დამარწმუნა, რომ თამაში ჩაწყობილი იყო... თამაში ჩაწყობილი იყო!



### გოგი დემეტრაძე:

დაწერთ? საქართველოში და ქართულ ფეხბურთში რაც ტრიალებს, ეროვნული ტრაგედიაა, ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებით ყველა მასალა შევარდნაძის მაგიდაზე დევს... ასე რომ, ყველა გზა რომში მიდის.



### ომარ გოგიაშვილი:

დღევანდელი სიტუაცია ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, სამი დღეა, უშედეგოდ ვფიქრობ. იმის იმედი არ მაქვს, რომ დღეს რაიმეს გავარკვევთ და სიმართლეს დავადგენთ. საქართველოს პროკურატურა, შსს-ს მეექვსე განყოფილება და კიდევ ათი კაცი რომ ჩავრიოთ „ცერეუდან“, ამ საქმეს ნათელს მაინც ვერ მოჰფენენ.



### ზურაბ პეტრიაშვილი:

საქმის მიფუჩეჩებას ნუ შეეცდებით, მატჩის არბიტრის ნათქვამში სიმართლე მენიშნა, უნდა გავარკვიოთ, იყო თუ არა ეს მატჩი ჩაწყობილი.

# ოთარ კორღალიძე: ჩემპიონობისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწევს

„დავიღალე. ყველგან, მათ შორის პრესაშიც, იმაზეა ლაპარაკი, რომ „დინამო" მსაჯების დახმარებით იგებს. მე არ მსურს ასეთი მოგებები. „დინამო" ძლიერი გუნდია და დაამტკიცებს ამას. მე პენალტის დანიშვნისთანავე ვიცოდი, რაც მოხდებოდა და აშვეთიას ვთხოვე, არ გაეტანა. ასეა თუ ისე, მოვითხოვ, თამაში ხელახლა ჩატარდეს, რათა „დინამოს" მოძულეებს მორიგი კამპანიის საბაბი არ მიეცეთ" — ეს სიტყვები თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ შაბათს „ლოკომოტივთან" სკანდალით დასრულებული მატჩის შემდეგ განაცხადა. ოთარ კორღალიძე ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში განვითარებული მოვლენებით უკმაყოფილოა. პრესაში სულ უფრო ხშირად იწერება, თითქმის ყველა მატჩში მსაჯები ჩემპიონის სასარგებლოდ ცდებიანო. კორღალიძეც ამან ააღელვა და საზოგადოება საქმეში უკეთ რომ გაერკვია, გუშინ დილმის ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა. მწვრთნელისა და ჟურნალისტების შეხვედრამ ლამის ერთ საათს გასტანა. კორღალიძემ მსაჯობის გარდა თავად კლუბში არსებულ მდგომარეობაზეც ისაუბრა და „დინამოს" მომავალსაც შეეხო.



— ვიდრე უშუალოდ საქმეზე გადავიდოდე, მინდა, წინადადება შემოგთავაზოთ, თვეში ერთხელ ან ორჯერ შევხვდეთ ერთმანეთს და კლუბის შესახებ ვისაუბროთ. საზოგადოებაც სიმართლეს შეიტყობს და ისეთი ცილისწამებაც აღარ დაიწერება, როგორც „ლოკომოტივი" — „დინამოს" თამაშზე შეთითხნეს. თითქოს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ჩემთან მოვიდა და მითხრა, პენალტი არ გაიტანოთ, ეს თამაში „ლოკომოტივმა" უნდა მოიგოსო. ამას მე ვერავინ გამიბედავს, ფედერაციის პრეზიდენტის ჩათვლით. ჩოლარია ამას მე კი არა, თავის თავსაც არ აკადრებდა. იცოდეთ, ოთარ კორღალიძეს ჩაწყობილი თამაში არასოდეს უთამაშია, არც ფეხბურთელობის და მით უმეტეს, არც მწვრთნელობის დროს. მე ახალგაზრდა კაცი ვარ, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ, ჩემი გეგმები მაქვს და ჩემს ირგვლივ ასეთ აჟიოტაჟს და ცილისწამებას ვერ ავიტან. ცუდი სახელი არასდროს მქონია და არც გავიფუჭებ. თბილისის „დინამოს" ამ ათი წლის განმავლობაში არავისთვის დაუთმია მატჩი და ამას არც ჩემი მწვრთნელობისას გააკეთებს. მერწმუნეთ, ასე იქნება.

რაც შეეხება პენალტს, აშვეთიას მართლაც დავუძახე, არ გაეტანა, მაგრამ ბევრმა ეს სხვაგვარად ახსნა. ის თერთმეტმეტრიანი სრულიად სამართლიანად დაინიშნა, თუმცა ისეთი ამბავი ატყდა, მიშას გავძახე, აცილე, არ გვინდა ასეთი დამაღლებული პენალტი-მეთქი.

**— აშვეთიამ პენალტი მაინც გაიტანა, მერე კი თავში წაიშინა ხელი. როგორ ახსნით მის საქციელს?**

— ვერ გეტყვით. როცა ეს თავად მიშას ვკითხე, მხრები აიჩეჩა. თვითონაც ვერაფერი მიპასუხა.

**— გასაგებია, რომ თქვენ თამაშის დათმობა არც გიფიქრიათ, მაგრამ „ლოკომოტივიდან" ხომ არ დაგკავშირებიათ ვინმე ამ თხოვნით?**

— პირადად ჩემთან არავინ მოსულა და მსგავსიც არ შემოუთავაზებია. როგორც ვიცი, არც კლუბის ხელმძღვანელებს დაკავშირებია ვინმე. ისე, ამ კლუბებს შორის გარკვეული მოლაპარაკება კი მიმდინარეობდა, მაგრამ ეს მხოლოდ გიორგი ნემსაძის ტრანსფერს შეეხებოდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნემსაძეს პირველად ჩვენ დავუკავშირდით და უცხოური კლუბის მოძებნამდე ჩვენთან თამაში შევთავაზეთ. იგი დაგვთანხმდა, მაგრამ მეორე დღეს „ლოკომოტივმა" გვთხოვა, ძალიან გვიჭირს და ნემსაძე პირველი ეტაპის ბოლომდე დაგვითმეთო. ჩვენც აღარ გვითქვამს უარი, მხოლოდ იმ პირობით, რომ დარჩენილი სამი მატჩის შემდეგ ნემსაძე ისევ „დინამოში" მოვიდოდა. ახლა გიორგი იქ ორ შეხვედრასაც ჩაატარებს და მერე ჩვენ შემოგვიერთდება.

**— რატომ ხდება, რომ მსაჯები ხშირად თავიანთი შეცდომებით გეხმარებიან?**

— ერთი იცოდეთ, თბილისის „დინამოს" არავის, მათ შორის მსაჯების, დახმარება არ სჭირდება. ან რა დახმარებას გულისხმობთ. იგივე „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ ერთი ამბავი ატყდა, ვიტელებს ორი გოლი გაუუქმესო. ვიდეოჩანაწერმა კი ცხადყო, რომ ორივე გოლი თამაშგარედან იყო გასული. თუნდაც „ლოკომოტივთან", ასკაროლლი ობიექტურად მოიქცა, თერთმეტმეტრიანი რომ დანიშნა. ჩვენი ფეხბურთელები ორჯერ მოცელეს, არ უნდა დაენიშნა? მსაჯები „დინამოს" სასარგებლოდ ორჯერ შეცდნენ. ერთხელ „თბილისთან", ერთხელაც ზემოაღნიშნულ მატჩში „ვიტ ჯორჯიასთან", როცა ჩვენს კარში პენალტი არ დანიშნეს, თუმცა ეს ჩვეულებრივი შეცდომები იყო და მას „დინამოს" დახმარებას ნუ დავარქმევთ.

საერთოდ ჟურნალისტებს არასწორი პოზიცია გიკავიათ. ფედერაციაშიც და კლუბშიც ბევრი რამ კეთდება კარგი, თუმც მხოლოდ ცუდს წერთ-ხოლმე. რატომ, არ ვიცი.

**— იქნებ ჟურნალისტები ვერ ვხედავთ იმ კარგს და თქვენ დაგვანახვოთ...**

— ჩემპიონატის დასაწყისში განცდილი მარცხების შემდეგ ზედიზედ შვიდი მატჩი მოვიგეთ, თამაშშიც აშკარა პროგრესი იგრძნობოდა, მაგრამ ამის შესახებ, არავის არაფერი დაუწერია. ქება სულ არ მინდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, აღნიშნულიყო, რომ ახალ მწვრთნელთან ერთად „დინამომ" ეს შეძლო.

**— ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს საუბრობენ კლუბში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ...**

— ამჟამად კლუბს ფეხბურთელების ვალი არა აქვს, ხელფასები მთლიანად გაცემულია. გასასტუმრებელია შვიდი მატჩის პრემია. ამ თანხას გუნდი თვის ბოლოს მიიღებს. ფეხბურთელებმა თავადაც იციან, რომ კუთვნილი ფული არ დაეკარგებათ. ნოემბრის ბოლოსვე მიიღებს ხელფასს გუნდის ბელგიელი მეკარე დენიტ დონდტი.

**— ბევრი, „დინამოს" შეხვედრებში მსაჯების შეცდომას მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობით ხსნის...**

— შეიძლება ასეც არის. „დინამოში" მოსვლამდეც ვგრძნობდი, რომ მსაჯებს ამ გუნდის კომპლექსი აქვთ. სხვათა შორის, არბიტრები მარტო „დინამოს" სასარგებლოდ არ ცდებიან. ჩვენც არაერთხელ დავუსჯივართ უსამართლოდ. მრავალი ასეთი ფაქტი არსებობს. თბილისის „არსენალთან" 1:1 რომ ვითამაშეთ, იმ მატჩში ერთ-ერთ არმიელს ბურთი ხელზე მოხვდა, თუმცა პენალტი არ დაინიშნა. რა გვექნა? ჩემპიონატიდან გავსულიყავით? ზოგიერთებს ხომ არ მივბაძავდით?

**— წლეულს კლუბის მიზანი კვლავაც ჩემპიონობაა. სულ ახლო მომავალში კი „დინამო" შესაძლოა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. არ გაგიჭირდებათ მიზნის მიღწევა?**

— მართლაც არის შანსი იმისა, რომ ისეთმა ფეხბურთელებმა, როგორებიც მიხეილ აშვეთია, რატი ალექსიძე, გიორგი ანჩაბაძე და სხვები არიან, „დინამო" დატოვონ. ვალტერ გუჩუა უკვე წავიდა გუნდიდან, იგი თურქულ „ისთანბულსფორში" გადავიდა. ზემოაღნიშნული ფეხბურთელებითაც არიან რუსული და სხვა უცხოური კლუბები დაინტერესებულნი, მაგრამ ოფიციალურად ჯერჯერობით არავის მოუმართავს. ბოლო მატჩებზე ბევრი უცხოელი მენეჯერი დაგვესწრო, განსაკუთრებით ანჩაბაძე მოეწონათ. თუმცა არ არის გამორიცხული, ყველა დარჩეს. თუ ეს ფეხბურთელები წავიდნენ, მაშინ ჩემპიონობის მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება. ამიტომ ვეცდებით, რამდენიმე მათგანი მაინც შევინარჩუნოთ, თუმცა ფინანსური მოსაზრებების გამო ერთ-ორ კაცთან, ალბათ, განშორება მოგვიწევს.

**— თუ მოსთხოვეთ კლუბის ხელმძღვანელობას ამ ფეხბურთელებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა ისინი შეინარჩუნოთ?**

— „დინამოს" უფროსობას უკვე ვესაუბრე გიორგი ანჩაბაძის თაობაზე. მისი მოსვლის შემდეგ გუნდის თამაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ასეთი გამთამაშებელი ამჟამად საქართველოს ჩემპიონატში არ მეგულება, ამიტომ გიორგის შემცვლელის მოძებნა ძალიან გაგვიჭირდება. ძალიან მინდა მისი დატოვება, ვნახოთ, იქნებ შევძლოთ კიდეც.

**— თუ ეს ფეხბურთელები წავიდნენ, მათი შემცვლელების მოყვანა მოგიწევთ. ალბათ, შეგულებულიც გეყოლებათ ვინმე.**

— კი. ქუთაისის „ტორპედოსა" და „ბათუმის" რამდენიმე ფეხბურთელს სიამოვნებით მოვიწვევდი გუნდში. ვეცდებით, ეს პირველი ეტაპის შემდეგ განვახორციელოთ.

**— როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რომელ ამპლუას სჭირდება გაძლიერება?**

— ჩემი აზრით, „დინამოს" თითოეული რგოლი საკმაოდ კარგად არის დაბალანსებული. პრობლემა თითოეული ფეხბურთელის კონკრეტული მატჩისთვის მომზადებაა. ზოგიერთი მათგანი ძალიან არასტაბილურად თამაშობს. მაგალითად, მიხეილ აშვეთიას ზოგ მატჩში ვერ იცნობთ, ისე ცუდად გამოიყურება, ზოგჯერ კი შეუდარებელია. თუნდაც „ლოკომოტივთან" პირველი წრის თამაში გაიხსენეთ, რომელიც აშვეთიას კარიერაში, მგონი, საუკეთესოა.

**— „დინამო" ჩემპიონთა ლიგაში შესვლას აპირებდა, ახლა კი ჩემპიონობაც სათუოა...**

— გუნდში სამი თვის წინ მივედი და საქმესაც შევუდექი. ახლა შესაძლოა ნახევრად აშენებული გუნდის დანგრევა და ყველაფრის თავიდან კეთება მოგვიხდეს. ასეთ პირობებში ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კი არა, ჩემპიონობაც ძნელია, მით უმეტეს, როცა ისეთი კონკურენტი გყავს, როგორიც „ტორპედოა". ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა ამ კლუბში თამაშობენ, სამი-ოთხი წელია, ერთად არიან. ჩვენ კი... ჩემპიონობისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწევს.

ვანო ოქროპირიძე

# გუჩუა ისტანბულსფორში ითამაშებს

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოში" გვარიანი ცვლილებებია. გუნდის ხელმძღვანელობა საფუძვლიანად ჩაუჯდა ფეხბურთელთა ტრანსფერებს და, როგორც ჩანს, მარადი ჩემპიონის მორიგი განახლებაა მოსალოდნელი. გიორგი კინკაძე რომ თურქულ „სამსუნსფორში" გაანათხოვრეს დინამოელებმა, ეს კარგახანია, იცის „სარბიელის" მკითხველმა, ალექსიძე-აშვეთიას უხვგოლიანი ტანდემით კიევის „დინამოს" დაინტერესებაზეც გაუწყეთ და აი, „დინამოს" მწვრთნელმა, ოთარ კორღალიძემ პრესკონფერენციაზე ერთი სიახლის შესახებაც აუწყა მასმედიას — „დინამოს" ფეხბურთელი ვალტერ გუჩუა უკვე თურქეთის „ისტანბულსფორის" მოთამაშეა.



ვალტერ გუჩუა (მარცხნივ) ეროვნულ ჩემპიონატს დაეთხოვა

ვალტერ გუჩუა რომ საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას, ცნობილი ფაქტია. ფეხბურთელი ამაზე გაცილებით ადრეც აცხადებდა და შეიძლება ითქვას, ერთი სული ჰქონდა, სანამ რომელიმე უცხოური კლუბის მაისურას მოირგებდა.

როგორც ხედავთ, გუჩუამ სურვილი აისრულა და არც ისეა საქმე, ვინმე უსიამოდ დააფიქროს ვალტერის ახალმა კლუბმა. „ისტანბულსფორი" საკმაოდ მოლონიერებული თურქული ლიგის პირობებშიც კი საშუალოზე ძლიერ კლუბად ითვლება, არც ფინანსური შესაძლებლობები აკლიათ თურქებს და ამდენად, თუ ქართველი ფეხბურთელი ისე მოინდომებს, როგორც თავის საუკეთესო წლებში, იქნებ ამ საკმაოდ ძლიერი თურქული გუნდის ძირითადშიც დაიმკვიდროს ადგილი.

ლუკა თალაკვაძე

# კრეეგი ქეცბაიათი უკმაყოფილოა

ᲒᲣᲨᲘᲜ „ნიუკასლის" სარეზერვო გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ტომი კრეეგმა მედიას განუცხადა, რომ არც თემურ ქეცბაია და არც სტივ ჰოუი ნიუკასლს მთავარ გუნდში სათამაშოდ მზად არ არიან.

ძირითადის ორივე ამ ფეხბურთელმა ითამაშა „ასტონ ვილას" სათადარიგოების წინააღმდეგ, რომელიც „ნიუკასლის" სარეზერვო გუნდმა 0:2 წააგო.

„ქეცბაიაც და ჰოუიც ძალიან მოდუნებულნი იყვნენ. ეს ვარჯიშზეც ჩანდა. ჰოუიმ საერთოდ ჩააგდო თამაში, ხოლო თემურის შეცდომის შედეგად გოლი მივიღეთ" — თქვა კრეეგმა.

„არც ერთი მათგანი ძირითადისთვის მზად არ არის. ამაში ბობი რობსონიც დამეთანხმა, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ბირმინგემში ჩვენს სანახავად. არა მგონია, რობსონი ამ ფეხბურთელებით კმაყოფილი დარჩენილიყო" — აღნიშნა კრეეგმა.

კრეეგის სიტყვებმა შეიძლება ქეცბაიას დიდი ხნით მოუსპოს „ნიუკალის" ძირითადში დაბრუნების საშუალება, ვარაუდობს ადგილობრივი ჟურნალისტი.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ

# ქინქლაძე ჯერ ვერ ითამაშებს

## ქართველის საქმეს დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი მხოლოდ 23 ნოემბერს განიხილავს



ბუშინ „დერბი ქაუნთის" მენეჯერმა ჯიმ სმიტმა უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ გიორგი ქინქლაძის დებიუტი დერბის „პრაიდ პარკზე" არ შედგება შაბათს, 20 ნოემბერს. შეგახსენებთ, რომ შაბათს აუტსაიდერი „დერბი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბს, „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს და პირველად ამ სეზონში არენაზე ანშლაგია მოსალოდნელი.

„დერბი ქაუნთიმ" ვერ მოახერხა ქინქლაძის სამუშაო ვიზის მოგვარება დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტში. ქინქლაძეს არ მოუგროვდა ეროვნულ ნაკრებში თამაშების 75 პროცენტი და ამიტომ მისთვის მუშაობის უფლების მიცემა ავტომატურად გამოირიცხა.

ქინქლაძის საქმეს დასაქმების დეპარტამენტი საგანგებო სხდომას მხოლოდ 23 ნოემბერს მიუძღვნის და გადაწყვეტილებასაც (ალბათ, დადებითს) მაშინ გამოიტანს.

მანამდე კი გიორგი გულმოდგინედ ვარჯიშობს, განსაკუთრებით ფიზიკურად, „დერბის" ფიზმომზადების მწვრთნელის დეინ ფარელის მეთვალყურეობით.

როგორც ჯიმ სმიტმა განაცხადა, ქინქლაძის არყოფნაში „დერბის" ცენტრში პრობლემები ექნება, თუმცა განაპირა მცველების აქტიურობის ხარჯზე აპირებენ მის მოგვარებას.

პრობლემები აქვს „მანჩესტერ იუნაიტედსაც" მას, სავარაუდოდ, არ ეყოლება ძირითადის მეკარე, ავსტრალიელი მარკ ბოზნიჩი. იგი ამ კვირაში ავსტრალია — ბრაზილიის ამხანაგური მატჩისას დაშავდა.

**სიმონ მენაბდე**

# გუცაევი ალანიას ახალი მწვრთნელი?



ვლადიმერ გუცაევი

ბადრი კეთილაძის ფოტო

თექვსმეტ ნოემბერს რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ვლადიკავკაზის „ალანიას" მწვრთნელმა, ვალერი გაზაევმა ოფიციალური განცხადება გააკეთა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

მართალია, გაზაევს თავისი გადადგომის მოტივი არ აუხსნია, მაგრამ სავარაუდოა, რომ მიზეზი გუნდში ბოლოხანს არსებული მძიმე ფინანსური სიტუაცია უნდა იყოს. ასეა თუ ისე, გაზაევმა „ალანია" დატოვა და კლუბმაც მაშინვე მის შემცვლელს დაუწყო ძებნა.

როგორც რუსული მასმედიისთვის გახდა ცნობილი, ვალერი გაზაევის ყველაზე შესაძლო მემკვიდრე ცნობილი ქართველი სპეციალისტი, ვლადიმერ გუცაევი იქნება. იგი უკვე მუშაობდა „ალანიის" სამწვრთნელო შტაბში 1995 წელს (მაშინ ალანიელები რუსეთის ჩემპიონები გახდნენ) და ამდენად კარგად იცნობს გუნდის სტრუქტურასა და სამზარეულოს.

16 ნოემბერს დღის მეორე ნახევარში გუცაევი ვლადიკავკაზს ეწვია და იმავე საღამოს ის და „ალანიას" გენერალური დირექტორი ბათრაზ ბითაროვი ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ძასოხოვმა მიიღო.

ასე რომ, „ალანია" — ქართული ფეხბურთის თანამშრომლობა გრძელდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ციმბირული ფეხბურთის ახალგაზრდა ლიდერი

რუსული ფეხბურთის აღმოსავლეთში ჟურნალ „სპორტ ექსპრეს ფუტბოლის" ჟურნალისტებმა ერთი ქართველი ფეხბურთელიც მოიძიეს — ეს ირკუტსკის „ზვეზდას" გოლეადორი რეზო ჯიქიაა. იგი ცხრამეტი წლისაა, რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში უკვე სამი წელია, გამოდის და წლეულს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ჯიქიამ „ზვეზდას" მეტოქეებს ჩვიდმეტი ბურთი გაუტანა წლევანდელ სეზონში, აქედან 13 ჩემპიონატში, 4 თასზე და — რომ გითხრათ, კიდევ რამდენის გატანა შემეძლო და გავაცუდე, თმები ყალყზე დაგიდგებათო, ირწმუნება რეზო ჯიქია.

სახელი და გვარი სუფთა ქართული კი აქვს ციმბირელს, მაგრამ თავად ნახევრად ქართველად თვლის თავს. მამამისი კოტე ჯიქია ოცდაათიოდე წლის წინ ჩასულა ირკუტსკში, იქვე დაოჯახებულა და წლების შემდეგ რეზოც მოვლენილა ამქვეყნად.

ფეხბურთელს მისივე განცხადებით, ფეხბურთელობა გენებში ჰქონია — ადრე თურმე მამამისიც თამაშობდა ფეხბურთს, მაგრამ მერე ტრავმა მიუღია და ამჟამად კერძო მაღაზიის მეპატრონე კოტე ჯიქია შვილის წარმატებებით ხარობს.

თავად ფეხბურთელს კი ამბიციები არც ისე მოსჭარბებია — ჯერაც დიდი გარჯა მმართებს სისწრაფეზე და ტექნიკაზე (თუმცა, ამ მხრივ რეზო ჯიქია ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილა თავის ჯგუფში — ლ.თ.), მარცხენა ფეხსაც ვერ ვხმარობ ისე, როგორც ვისურვებდი... ასე რომ, სამუშაო საკმაოდ მაქვს.

მის ნაკლებამბიციურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში" თამაშზე ფიქრობს (ჯერჯერობით) — კლასის ამაღლება „ჩკალოვეცშიც" შეიძლება და მერე სხვა, უფრო მაღალი დონის კლუბის ჯერიც დადგება, ალბათ.

ისე კი, ციმბირელ ქართველს ვლადიკავკაზის „ალანია" იზიდავს თურმე — ჯერ ერთი, „ალანიას" შემტევი სტილი მომწონს და მეორეც, იქ ხომ ჩემი კუმირი გიორგი დემეტრაძე თამაშობსო.

ვნახოთ, როგორ წარიმართება რეზო ჯიქიას საფეხბურთო ბედი. ქართველია, ანდრეი შევჩენკოს ფიზიკურად ძალიან ჰგავს, გოლებიც გააქვს და...

თუკი თავზე იმუშავებს, ეგებ ერთი ქართველი მეგოლეც გაგვიჩნდეს.

**ლუკა თალაკვაძე**

„სპორტ ექსპრეს ფუტბოლის" მიხედვით



СПОРТ-ЭКСПРЕСС

რეზო ჯიქია

## რეგიონალური ლიგა

### აღმოსავლეთი

„ა" ზონა

X ტური

13 ნოემბერი

**ივერია 5:1 მესხეთი**

1:0 ხმალაძე (17), 2:0 ტოკლიკიშვილი (20), 3:0 გოგოლაძე (60), 3:1 მარღანია (65), 4:1 ხმალაძე (80), 5:1 ტოკლიკიშვილი (85)
გაფრთხილება: მელაძე (ივერია), სუდაძე (მესხეთი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

14 ნოემბერი

**ცხინვალი 1:0 იბერია**

1:0 მოსიაშვილი (41)
გაფრთხილება: ტატიშვილი, ლვენცაძე, ხატიაშვილი, კასრაძე (იბერია), ნასუაშვილი, ტილკავაშვილი (ცხინვალი)
მსაჯი: ნ. კილაძე (თბილისი)

**ცხუმი 0:1 განთიადი**

0:1 შაქარაშვილი (20)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**თორი 3:0 საუ**

1:0 თალაკვაძე (56), 2:0 გლუნჩაძე (68), 3:0 თალაკვაძე (73)
გაფრთხილება: შენგელია, დემურიშვილი (საუ), წიქარიშვილი, სეფერთელაძე, გლუნჩაძე (თორი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

15 ნოემბერი

**მრეტები 0:2 ვარძია**

0:1 მაზმიშვილი (50), 0:2 გელაშვილი (62)
გაფრთხილება: ჯავახიშვილი (ვარძია)
გაძევება: გელაძე (მრეტები, 45), მაისურაძე (ვარძია, 45)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 9 | 7 | 2 | 0 | 15:2 | 23 |
| განთიადი | 9 | 7 | 1 | 1 | 21:8 | 22 |
| ივერია | 9 | 6 | 0 | 3 | 24:11 | 18 |
| თორი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:6 | 16 |
| ცხუმი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:10 | 13 |
| იბერია | 9 | 3 | 1 | 5 | 12:13 | 10 |
| საუ | 10 | 3 | 1 | 6 | 11:18 | 10 |
| ვარძია | 9 | 3 | 1 | 5 | 8:20 | 10 |
| მესხეთი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:21 | 9 |
| მრეტები | 9 | 1 | 4 | 4 | 6:14 | 7 |
| არაგვი | 9 | 0 | 1 | 8 | 8:25 | 1 |

„ბ" ზონა

X ტური

14 ნოემბერი

**ალაზანი 2:1 არსენალი 2**

0:1 თვალაბეიშვილი (58), 1:1 ბურდული (72), 2:1 ყალაბეგაშვილი (81)
გაფრთხილება: თვალაბეიშვილი, გოლეთიანი (არსენალი 2), ბედოიძე (ალაზანი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ლოკომოტივი 2 3:1 თბილისი 2**

1:0, 2:0 გ. ჯანელიძე (25, 30), 2:1 ნიშნიანიძე (52), 3:1 სადალაშვილი (80)
გაფრთხილება: ჩივაძე (თბილისი 2), ხურცილავა, მორჩილაძე (ლოკომოტივი 2)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ჭაბუკიანი 2:0 ზოოვეტი**

1:0, 2:0 პაქსაშვილი (51, 74)
გაფრთხილება: ომანიშვილი, მერაბიშვილი (ჭაბუკიანი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**ყვარელი 2:1 აკადემია**

1:0 ნინილაშვილი (19), 2:0 ოსეფაშვილი (26), 2:1 ბახტაძე (70)
გაფრთხილება: სომხიშვილი (ყვარელი), ოქროშიძე (აკადემია)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ხალიბი 2:1 ენერგეტიკოსი**

1:0 ძებისაშვილი (18), 1:1 კალანდაძე (57), 2:1 მენთეშაშვილი (68)
გაფრთხილება: ჩოხელი (ხალიბი), მანელიდი (ენერგეტიკოსი)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:9 | 22 |
| არსენალი 2 | 9 | 6 | 2 | 1 | 23:9 | 20 |
| ჭაბუკიანი | 9. | 6 | 0 | 3 | 16:7 | 18 |
| ზოოვეტი | 9 | 5 | 2 | 2 | 21:12 | 17 |
| ალაზანი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:12 | 16 |
| ამირანი | 9 | " | 2 | 3 | 15:17 | 14 |
| ხალიბი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:15 | 11 |
| ყვარელი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:19 | 7 |
| ენერგეტიკოსი | 10 | 2 | 0 | 8 | 14:31 | 6 |
| აკადემია | 9 | 1 | 3 | 5 | 4:9 | 6 |
| თბილისი 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:19 | 7 |

### დასავლეთი

„ა" ზონა

X ტური

13 ნოემბერი

**სულორი 3:1 მაღაროელი**

1:0 კორძაძე (29), 2:0 ხელაძე (31), 3:0 კორძაძე (47), 3:1 კავთელიძე (85)
გაფრთხილება: ასანიძე, ლოლაძე (მაღაროელი)
მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

**ოკეანე 4:0 რაჭა**

1:0 გიგავა (10), 2:0, 3:0 კრავეიშვილი (22, 53), 4:0 ჯანელიძე (82)
*პაპიძემ ვერ გაიტანა პენალტი (86, რაჭა).*
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

14 ნოემბერი

**გაგრა 3:0 მეშახტე**

1:0, 2:0, 3:0 ტ. მანაგაძე (62, 87, 89)
გაფრთხილება: ცქიფურიშვილი, ლომთაძე (მეშახტე), მანაგაძე, უგულავა (გაგრა)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**მარგვეთი 4:0 ინტერი**

1:0 ჯღარკავა (4), 2:0, 3:0, 4:0 სულაკაძე (23, 42, 77)
გაფრთხილება: მ. ასათიანი, ნაროუშვილი (ინტერი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

15 ნოემბერი

**გურია 3:0 იბერია 2**

1:0, 2:0 ფაცურია (54, 74), 3:0 იმნაიშვილი (87)
*გ. ქიქავამ ვერ გაიტანა პენალტი (43, გურია).*
გაფრთხილება: ა. წილოსანი, განევი (გურია), ა. ჩომახიძე (იბერია 2)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**რწმენა 2:1 მეტალურგი**

1:0 მუშკუდიანი (69), 2:0 ქიმაძე (73), 2:1 ქურციკიძე (893)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 10 | 9 | 1 | 0 | 32:6 | 28 |
| ოკეანე | 10 | 6 | 1 | 3 | 21:11 | 19 |
| ინტერი | 10 | 4 | 4 | 2 | 14:9 | 16 |
| მეტალურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:13 | 15 |
| გაგრა | 10 | 3 | 5 | 2 | 18:16 | 14 |
| იბერია 2 | 10 | 3 | 5 | 2 | 12:11 | 14 |
| სულორი | 10 | 3 | 5 | 2 | 13:16 | 14 |
| რწმენა | 10 | 2 | 4 | 4 | 7:14 | 10 |
| მაღაროელი | 10 | 2 | 3 | 5 | 16:19 | 9 |
| რაჭა | 10 | 1 | 5 | 4 | 7:13 | 8 |
| გურია | 10 | 2 | 1 | 7 | 6:17 | 7 |
| მეშახტე | 10 | 1 | 3 | 6 | 12:28 | 6 |

„ბ" ზონა

X ტური

13 ნოემბერი

**ზუგდიდი 5:2 ჩელა**

1:0, 2:0 სიჭინავა (10, 11), 3:0 ჯურხაძე (28), 3:1 გიგიბერია (38), 4:1 ჯურხაძე (42), 4:2 ხასაია (61), 5:2 ჯობავა (65)
*კორკელიამ ვერ გაიტანა პენალტი (30, ჩელა).*
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**შუქურა 5:3 ბახმარო**

1:0 ყულეჯიშვილი (4), 2:0 მჟავანაძე (12), 3:0 ჯიჯავაძე (12), 4:0 ჩელებაძე (25), 5:0 ყულეჯიშვილი (59), 5:1 თავბერიძე (60), 5:2 ბერაძე (723), 5:3 თავბერიძე (74)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

14 ნოემბერი

**ფაზისი 1:0 ლაზიკა**

1:0 კუპრავა (78)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**მეგრი 1:0 სქური**

1:0 კვეკვესკირი (62)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**ბათუმი 2 3:3 სამეგრელო**

**მერცხალი 1:2 კოლხეთი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 10 | 8 | 2 | 0 | 33:11 | 26 |
| მეგრი | 10 | 7 | 1 | 2 | 15:9 | 22 |
| ზუგდიდი | 10 | 6 | 2 | 2 | 30:12 | 20 |
| ლაზიკა | 10 | 6 | 2 | 2 | 21:11 | 20 |
| კოლხეთი 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 13:12 | 18 |
| ფაზისი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:17 | 15 |
| სამეგრელო | 10 | 3 | 3 | 4 | 16:14 | 12 |
| სქური | 10 | 3 | 1 | 6 | 16:22 | 10 |
| ბათუმი 2 | 10 | 1 | 5 | 4 | 12:17 | 8 |
| მერცხალი | 10 | 1 | 4 | 5 | 7:12 | 7 |
| ბახმარო | 10 | 1 | 1 | 8 | 9:25 | 4 |
| ჩელა | 10 | 1 | 1 | 8 | 9:30 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლო წვეთი სანსის ფიალაში

## ჯონ ტოშაკი მადრიდის „რეალის" მწვრთნელის თანამდებობაზე ვისენტე დელ ბოსკემ შეცვალა



ლორენცო სანსი

ჯონ ტოშაკი გუშინ, 17 ნოემბერს, „რეალის" მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნეს. თებერვალში, ჰოლანდიელი გუს ჰიდინკის შეცვლის შემდეგ, მას 16 თვიანი კონტრაქტი ჰქონდა „სამეფო კლუბთან" გაფორმებული.

ეს გახლდათ ტოშაკის მეორე განშორება გუნდთან, რომელმაც პირველად, 1990 წელს, ბედის ირონიით 18 ნოემბერს გაათავისუფლა. ბედის ირონია გახლავთ ისიც, რომ ორივე შემთხვევაში უელსელს ახალ სეზონში 11 მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

„რეალის" განცხადებაში წერია: „კლუბის დირექტორატის დილის შეხვედრაზე გადაწყდა მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის თანამდებობიდან მოხსნის და მის ნაცვლად ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნის საკითხი. დირექტორატი მადლობას უხდის ბატონ ჯონ ტოშაკს გაწეული სამსახურისთვის".

განცხადების გამოქვეყნებისთანავე ნათელი გახლდათ, რომ დელ ბოსკეს დანიშვნა დროებითი გამოსავალია. მოგეხსენებათ, ტოშაკის გათავისუფლებაზე მადრიდში კარგა ხანია ბჭობდნენ და მის შემცვლელად ხან რადომირ ანტიჩს, და ხანაც იოჰან კრუიფს ასახელებდნენ.

ესპანური პრესა კარგა ხანია წერდა, რომ უელსელს წყალი აქვს შემდგარი ნაწილობრივ ცუდი შედეგების, ნაწილობრივ კი კლუბის პრეზიდენტთან, ლორენცო სანსთან უთანხმოების გამო.

თითქოს ბევრი რამ ბოლო ტურში, „რაიო ვალეკანოსთან" შეხვედრის შედეგზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. „რეალმა" მართლაც იყოჩაღა, 0:2-ს აგებდა და 3:2 მოიგო, მაგრამ ვინაიდან ამ გამარჯვებას ცხრილში ბევრი რამ არ შეუცვლია — „რაიოსგან" 7 ქულით ჩამორჩენილი „სამეფო გუნდი" მერვე ადგილზეა — ტოშაკი თანამდებობიდან მოხსნეს.

როგორც ჩანს, სანსის მოთმინების ფიალაში ჩავარდნილი ბოლო წვეთი გუშინ, ესპანურ პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუ გახლდათ. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტმა ერთი ხნის წინ, როგორც მოთამაშეები, ასევე მწვრთნელი გააფრთხილა, თავი აერიდებინათ ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვის, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ოთხშაბათს გაზეთები გადაშალა და ტოშაკის გამონათქვამები იხილა.

აღშფოთებულმა სანსმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „კლუბის სახელით საუბრის უფლება მარტო მე მაქვს. ძალაუფლება მხოლოდ ჩემს ხელშია და სანამ ამ თანამდებობაზე ვმუშაობ, სულაც არ ვაპირებ მის ვინმესთვის გადაცემას. კატეგორიულად ვაცხადებ, „სანტიაგო ბერნაბეუს" თავზე უმალ გოჭების გადაფრენას იხილავთ, ვიდრე მე ჩემს პოზიციებს დავთმობ".

წუხელვე სანსმა და ჯონ ტოშაკმა „რეალის" წამყვან მოთამაშეებთან, ფერნანდო იეროსა და ფერნანდო რედონდოსთან ერთად სამი საათი ითათბირეს.

ტოშაკმა „სანტიაგო ბერნაბეუ" კომენტარის გარეშე დატოვა.

### მადრიდის „რეალის" მწვრთნელები 1960 წლიდან

| | |
|---|---|
| 1960-74 | მიგელ მუნიოსი |
| 1974-77 | მილიან მილიანიჩი (იუგოსლავია) |
| 1977-79 | ლუის მოლოუნი |
| 1979-82 | ვუიადინ ბოშკოვი (იუგოსლავია) |
| 1982 | ლუის მოლოუნი |
| 1982-84 | ალფრედო დი სტეფანო |
| 1984-85 | ამანსიო ამარო |
| 1985-86 | ლუის მოლოუნი |
| 1986-89 | ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია) |
| 1989-90 | ჯონ ტოშაკი (უელსი) |
| 1990 | ალფრედო დი სტეფანო და ხოსე ანტონიო კამაჩო |
| 1990-91 | რადომირ ანტიჩი (იუგოსლავია) |
| 1991-92 | ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია) |
| 1992-94 | ბენიტო ფლორო |
| 1994 | ვისენტე დელ ბოსკე |
| 1994-96 | ხორხე ვალდანო (არგენტინა) |
| 1996 | არსენიო იგლესიასი |
| 1996-97 | ფაბიო კაპელო (იტალია) |
| 1997-98 | იუპ ჰაინკესი (გერმანია) |
| 1998 | ხოსე ანტონიო კამაჩო |
| 1998-99 | გუს ჰიდინკი (ჰოლანდია) |
| 1999 | ჯონ ტოშაკი |
| 1999 | ვისენტე დელ ბოსკე |

### ჯონ ტოშაკი

დაიბადა 1949 წლის 22 მარტს კარდიფში

1966 — ხელი მოაწერა პროფესიულ კონტრაქტს „კარდიფ სიტისთან". ამ კლუბის შემადგენლობაში 1968, 1969 და 1970 წლებში მოიპოვა უელსის თასი.

1970 — გადადის „ლივერპულში", სადაც ყალიბდება მძლავრ ცენტრფორვარდად. დიდებულად პარტნიორობდა კევინ კიგანთან. „ლივერპულის" შემადგენლობაში 1973, 1976 და 1977 წლებში გახდა ინგლისის ჩემპიონი. 1974 წელს მოიპოვა ფეხბურთის ასოციაციის თასი. 1973 და 1976 წლებში შეიქნა უეფას თასის მფლობელი. „ლევერპულში" გატარებული რვა სეზონის განმავლობაში ითამაშა 200-ზე მეტ შეხვედრაში, გაიტანა 95 გოლი. უელსის ნაკრებში მონაწილეობა მიიღო 40 მატჩში, გაიტანა 13 გოლი.

1979 — „სუონსი სიტიში" ხდება მოთამაშე მწვრთნელი, სადაც „ლივერპულიდან" სატრანსფერო თანხის გარეშე გადადის. მისი ხელმძღვანელობით ეს უელსური გუნდი მეოთხე დივიზიონიდან პირველში აღზევდა, ხოლო 1981-83 წლებში ზედიზედ სამჯერ მოიპოვა უელსის თასი.

1984 — გადადის პორტუგალიურ „სპორტინგში".

1985 — ხდება ესპანური „რეალ სოსიედადის" მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით გუნდი 1987 წელს გახდა სამეფო თასის მფლობელი, შემდგომ სეზონში კი ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა.

1989 — ნიშნავენ მადრიდის „რეალის" მწვრთნელად. პირველსავე სეზონში მისი ხელმძღვანელობით „რეალი" ესპანეთის ჩემპიონი ხდება და ამყარებს დღემდე ხელშეუხებელ რეკორდს — გააქვს 107 გოლი.

1990 — 18 ნოემბერს ხსნიან თანამდებობიდან. იმ მომენტისთვის „რეალს" ახალ სეზონში ჩატარებული ჰქონდა 11 შეხვედრა, რომელთაგან სამი წააგო.

1991 — ხელმეორედ იწყებს მუშაობას „რეალ სოსიედადში". თავიდან მრჩევლის თანამდებობაზეა, მერე კი მწვრთნელის.

1994 — 28 იანვარს ნიშნავენ უელსის ნაკრების მწვრთნელად. მან ტერი იორატი შეცვალა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში ნორვეგიასთან 1:3 მარცხდება და ხსნიან. იმავე წელიწადს ოფიციალურად ათავისუფლებენ „რეალ სოსიედადიდანაც".

1995 — 23 მარტს ნიშნავენ „დეპორტივო ლა კორუნიას" მწვრთნელად.

1994 — 9 თებერვალს ხსნიან თანამდებობიდან. 25 ივნისს ნიშნავენ თურქული „ბეშიქთაშის" მწვრთნელად. იმ სეზონში მისი ხელმძღვანელობით სტამბოლელები მეექვსე ადგილზე გადიან.

1999 — 24 თებერვალს ისევ ნიშნავენ მადრიდის „რეალის" მწვრთნელად. თანამდებობაზე გუს ჰიდინკს ცვლის.

1999 — 17 ნოემბერი. ხსნიან თანამდებობიდან.



REUTERS

ჯონ ტოშაკი გუშინ გამოეთხოვა სამეფო კლუბს

# ბელგია თავისი ნაკრებით ისევ ამაყობს




ბელგიელთა ახალი გმირი რობერტ ვასეიგე (შუაში)

დღეს ბელგიაში ნამდვილი საფეხბურთო ბუმია. საამისოდ ორი მიზეზი არსებობს. ერთი ის, რომ ბელგია ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელი ქვეყანაა. მეორეც, ნაკრებმა ხეირიანი თამაშის ჩვენება დაიწყო.

იქამდე „წითელ ეშმაკებს" სერიოზული ჩავარდნა ჰქონდათ. გუნდმა თერთმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო. შინ ფინეთთან, საბერძნეთთან და ეგვიპტესთან წაგებული მატჩების გახსენებისას ბელგიელებს დღესაც რცხვენიათ. ნაკრები სავალალო მდგომარეობაში იყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოთამაშეები ფეხბურთის გარდა ყველაფერზე ფიქრობდნენ. ფიფას რეიტინგი პირობითი რამ არის, თუმცა ბელგიელებს იქ მიჩენილი 33-ე ადგილი მეტად შეუფერებლად ეჩვენათ. შედეგად ჟორჟ ლიკენსი თავის გზას გაუდგა. ნაკრების მთავარ მწვრთნელად რობერტ ვასეიგე დაინიშნა. ახალი დამრიგებლის დევიზია: „შეკრული გუნდი, თავმდაბლობა, თავდაუზოგავი მუშაობა." მისმა პრინციპებმა გაამართლა. ლიეჟის „სტანდარდის" და ლისაბონის „სპორტინგის" ყოფილმა მწვრთნელმა ფეხბურთელებს მეტი თავისუფლება მისცა. შეიცვალა სტილიც — გუნდმა შემტევი ფეხბურთის თამაში დაიწყო. ვასეიგეს გუნდში საკვანძო ფეხბურთელები შალკელი მარკ ვილმოტსი და მუსკრონელი ივ ვანდერჰეიგი გახდნენ. კარგ ფორმაშია ჟილ დე ბილდე, რომელიც შეტევაში გენკელ ბრანკო შტრუპარს დაუწყვილდა.

ბოლო ოთხ შეხვედრაში ბელგიელებს მეტად ძლიერი მეტოქეები შეხვდათ — ჰოლანდია, მაროკო, ინგლისი და იტალია. ამ თამაშებში ევროპის ჩემპიონატის მომავალმა მასპინძლებმა 13 გოლი გაიტანეს, რაც უდავოდ კარგი შედეგია. ამავე დროს მათ საკუთარ კარში რვა ბურთი მიიღეს. როგორც ჩანს, ბელგიელებს დაცვაში პრობლემები აქვთ. გასულ კვირას იტალიელთა დამარცხებამ ბელგიის ნაკრებს ფრთები შეასხა და გაისად ივლისში წარმატების მიღწევის იმედი მისცა. ჯერჯერობით კი ბელგიაში უკანასკნელი მატჩის მოგებით გამოწვეული ეიფორიაა. მათ რამდენიმე გამონათქვამს გაგაცნობთ: „ბელგიამ ევროპას შტორმივით გადაუარა", „დღეიდან ვერავინ გაბედავს ჩვენს დაცინვას", „წითელი ეშმაკები" ბელგიის სიამაყეა".

ნაკრებისგან განსხვავებით, ბელგიის საკლუბო ფეხბურთში ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაა. წლეულს ევროტურნირებზე მათ სახეირო არაფერი გაუკეთებიათ. გუნდები ნაკრებს მხოლოდ უხვგოლიანობით ბაძავენ. მიმდინარე სეზონში ჩატარებული 114 მატჩში 406 ბურთია გატანილი. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ბელგიის ჩემპიონატი ევროპაში საუკეთესოა.

# ფეხბურთი ლოგინშიც შეძვრა

რაზე ფიქრობს იტალიელი ხალხი სექსის დროს? ხუმრობა არ გეგონოთ, ამ საკითხზე სერიოზულად იმუშავა რომის „სექსოლოგიურმა კლინიკამ" და შედეგები ტურინში გამომავალ გაზეთ „ლა სტამპასა" და სახელმწიფო ტელეარხ RAI-ს გაანდო, რომელთაც, თავის მხრივ, მათ შესახებ საზოგადოებრიობას აცნობეს.

აღმოჩნდა, რომ ახალგაცნობილები ძირითადად იმაზე ფიქრობენ, მოეწონება თუ არა მათ პარტნიორს ის, რასაც და როგორც იმ წუთას აკეთებენ, ხოლო შეჩვეულ წყვილებს გონება სხვაგან აქვთ.

კერძოდ, ძირითადი ნაწილი, როგორც გამოკითხვა ადასტურებს, კაპიტალდაბანდებასა და ფეხბურთზე ფიქრობს. აღმოჩნდნენ ისეთებიც, თვალწინ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარკო ტარდელის ცნობილი ზეიმი რომ დაეხატებათ ხოლმე.

გარდა ამისა, მამაკაცთა გარკვეულ რაოდენობას, თურმე იმ პიკანტურ დროს კინოსა და ტელევარსკვლავის, საბრინა ფერილის წარმოდგენა ჰყვარებია.

# რავანელის ნოსტალგია დასჩემდა



ფაბრიციო რავანელი

იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი, რომელიც ფრანგული მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებას იცავს, აცხადებს, რომ სამშობლოში დაბრუნება სურს. იტალიაში სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე, ანუ იანვრის თვიდან იგი, ალბათ, დატოვებს მარსელს და სერია A-ს რომელიმე გუნდს შეუერთდება. მოსალოდნელია, რავანელი „ტორინოში“ ვიხილოთ, რადგან სწორედ ეს გუნდი გამოთქვამს მისი შეძენის სურვილს. თუმცა, როგორც თავად ფეხბურთელი აცხადებს, მას ფრანგულ კლუბთან არანაირი პრობლემა არა აქვს და მისი დატოვების სურვილი მხოლოდ სამშობლოს მონატრებითაა გამოწვეული. „ალბათ, იანვარში იტალიაში დავბრუნდები, თუმც მინდა, გავაქარწყლო მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთში არადამაკმაყოფილებელი პირობები მქონდეს. პირიქით, გუნდის ხელმძღვანელობასთან და ფეხბურთელებთან საუკეთესო ურთიერთობები მაქვს. უბრალოდ, სამშობლო მომენატრა და თანაც მსურს, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ყურადღება მივიქციო, რადგან „სკუადრა ადურაში“ თამაში კვლავ ძლიერ მწადია“ — განაცხადა რავანელიმ ერთ-ერთ იტალიურ გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

31 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილი ინგლისურ „ტოტენჰემსაც“ გამოუთქვამს, თუმც რავანელის თქმით, ამის შესახებ არაფერი სმენია. „ვიმედოვნებ, რომ კლუბი გაითვალისწინებს ჩემს სურვილს და რომელიმე იტალიურ გუნდს მოელაპარაკება“ — ამბობს იგი.

საუბარში რავანელი, რა თქმა უნდა, თავის სანაკრებო შანსებსაც შეეხო და აქვე კრისტიან ვიერიც მოიხსენია. „ეჭვგარეშეა, ვიერი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდია, არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც, თუმც აღვნიშნავ, რომ ჩვენ თამაშის სტილით საკმაოდ ვგავართ ერთმანეთს. ასე რომ, თავისუფლად შემიძლია მისი შეცვლა, მაგრამ, რაც საზღვარგარეთ ვთამაშობ, ნაკრების თავკაცთა ყურადღებას აღარ ვიმსახურებ.“

ცნობისთვის, იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ დინო ძოფს თმაჭაღარა ფორვარდი არც ერთ ოფიციალურ მატჩში არ მიუწვევია. უკანასკნელი სანაკრებო შეხვედრა რავანელიმ 1998 წლის ივნისში შვედების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ჩაატარა, ხოლო ამის შემდეგ რამდენიმე დღეში დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონატი ავადმყოფობის გამო გამოტოვა.

ვაჟა ლომიძე

# დერბი ახალ ფეხბურთელს უმიზნებს

გიორგი ქინქლაძის ახალი კლუბი „დერბი ქაუნთი“ კიდევ ერთი ლეგიონერის გადაბირებას აპირებს. პრემიერლიგურ გუნდს ამჯერად ებრაელი ავი ნიმნისთვის დაუდგამს თვალი. კლუბის მენეჯერი ჯიმ სმიტი თურმე ძლიერადაა მონადინებული მისი შეძენით. „დერბის“ ოფიციალური ინფორმაციით, 27 წლის ნახევარმცველი ჯერჯერობით, ალბათ, სამთვიანი კონტრაქტით გადავა ინგლისში, ხოლო თუ თავს გამოიჩენს, ალბიონზე უფრო ხანგრძლივი დროით დარჩება. ნიმნი მადრიდის „ატლეტიკოში“ ირიცხებოდა, მერე დაშავდა და კარგა ხანს არსად გამოჩენილა.

„დერბის“ ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელს ინგლისის სამუშაო ვიზის მიღება არ გაუძნელდება, რადგან ისრაელის ნაკრებში საკმაო რაოდენობის მატჩი ჩაატარა.

# რომარიო მსოფლიოს ჩემპიონატზე?

გუშინ გაუწყეთ, „ფლამენგომ“ რომარიო ულირსი საქციელისთვის რომ დაითხოვა. ბრაზილიაში სჯობს, კაცი მოკლა, ვიდრე ამგვარი რამ ჩაიდინო. შეგახსენებთ, „ფლამენგომ“ ბოლო ტურის თამაში წააგო და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. კლუბის ქომაგთა ცრემლები მიწას ასველებდა. ამ დროს კი რომარიო ღამის კლუბში დროს ატარებდა. „ფლამენგოს“ პრეზიდენტმა ედმუნდო სანტოს სილვამ დაუყოვნებლივ განაცხადა, ჩვენი გზები უნდა გაიყაროსო. ამის თქმა იყო და ფეხბურთელის აგენტის კაბინეტში ტელეფონის წკრიალი არ შეწყვეტილა. რომარიოს შეძენის სურვილი ერთდროულად ხუთმა კლუბმა გამოთქვა. ლუის მორაეშმა (რომარიოს აგენტია) მათი დასახელებისგან თავი შეიკავა. ჟურნალისტებს კი რას გამოაპარებ. სამი მსურველის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენია: „ვასკუ და გამა“, საუდეთის „ალ ნასრი“ და მექსიკური „ამერიკა“. ორ დანარჩენ კლუბზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ისინი ბრაზილიური არაა. „ვასკუში“ გადაბარგების შემთხვევაში რომარიო ვარსკვლავური სენით შეპყრობილ მეორე ფეხბურთელს, ედმუნდოს შეეწყვილება. ეს დუეტი უეჭველად მრავალ „საგმირო“ საქმეს ჩაიდენს.



რომარიო

ზემოთ ჩამოთვლილი კლუბებიდან ყველაზე უსახელო „ალ ნასრია“. მიუხედავად ამისა, არაბები იანვარში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ცხადია, მათი სიძლიერის არავის სჯერა. უბრალოდ, ერთი ადგილი აზიასაც ხომ უნდა რგებოდა. მათ ქვეყანაში სადაც ნიჩაბს დაჰკრავ, ნავთობი ამოდის. ესე იგი, უფულობას არ უჩივიან. „ალ ნასრიმაც“ რომარიოს მეტად ხელსაყრელი პირობები შესთავაზა. მოგეხსენებათ, არაბები ღამის გასართობ ადგილებს ეჭვის თვალით უყურებენ. ამიტომ ფეხბურთელს აუწყეს, ჩვენთან ჩამოსვლით თავს ნუ შეიწუხებო. კლუბი ბრაზილიაში იანვარში გაემგზავრება. რომარიოც იქ შეუერთდება მათ და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ერთად გამოვლენ. რამდენიმე თამაშში ვარსკვლავს დიდძალ ფულს ჰპირდებიან. რომარიოსაც მეტი რა უნდა. ერთი-ორს გაიბურთავებს და ჯიბესაც გვარიანად დაიმძიმებს. აქ კი საქმეში ფიფა ჩაერია. არაბებს შეუთვალა, მაიმუნობას შეეშვით, ეგ კაცი თუ გჭირდებათ, კეთილი ინებეთ და წესიერი კონტრაქტი გააფორმეთო. ამასთანავე, არაბებმა ჩემპიონატის დებულებაში ჩახედვაც დაიზარეს. იქ გარკვევით წერია, გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელი კლუბში 15 ნოემბრამდე უნდა ირიცხებოდესო.

რომარიო მეორედ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. რომც დაეშვათ, 1994 წელს მიღწეულ შედეგს ველარ გაიმეორებდა. რომარიო დღეს ის კაცი აღარაა.

## ფეხბურთის რუკასთან

გერმანიის ნაკრების ლიბერო მათიას ზამერი, რომელსაც ტრავმის გამო ხანგრძლივი შესვენება მოუხდა, იმედოვნებს, რომ კვლავ დაუბრუნდება დიდ ფეხბურთს. დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მუხლის ექვსი მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ ახლა ჩვეულებრივ ვარჯიშობს. „მჯერა, თამაშს კვლავ შევძლებ“ — განაცხადა 32 წლის ზამერმა, რომელიც 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისთვის კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**ჰოლანდიური პსვ-ს ბელგიელმა ფორვარდმა ლუკ ნილისმა განაცხადა, რომ მზადაა, თავისი ქვეყნის ნაკრებში იასპარეზოს. მას შემდეგ, რაც ბელგიელთა მთავარ მწვრთნელად ჟორჟ ლიკენსის ნაცვლად რობერტ ვასეიგე დაინიშნა და მან გუნდში ახალგაზრდები მიიწვია, ნილისს ნაკრებში აღარ უთამაშია. საერთოდ კი ფეხბურთელმა 51 სანაკრებო მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა.**

შვედური „გიოტებორგის“ პრეზიდენტმა ბო გენტზელმა განაცხადა, რომ გუნდის ფორვარდმა ემანუელ ტეტეჰმა თურქულ „ვანთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ფეხბურთელმა კლუბის დატოვება გადაწყვიტა. ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ, უახლოეს დღეებში საკომპენსაციო თანხებს ველით“ — თქვა გენტზელმა. ფორვარდმა შვედეთის ჩემპიონატის წლევანდელ სეზონში ჩატარებულ 13 შეხვედრაში 7 გოლი მიითვალა.

**გერმანიის საფეხბურთო კავშირმა „მიუნხენის“ მთავარ მწვრთნელ ვერნერ ლორანტს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა 30 ოქტომბერს „ლევერკუზენთან“ შეხვედრაში არბიტრთან შელაპარაკების გამო. გარდა ამისა, მას 25 ათასი მარკის გადახდა დაეკისრა. ლორანტი ამგვარი საქციელისთვის ადრეც არაერთხელ დაუსჯიათ, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. ახლა იგი დაიმუქრა, თუ კიდევ ერთხელ მომექცევით ასე უსამართლოდ, პოსტს საერთოდ დავტოვებო. ამის თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა „მიუნხენის“ კაპიტანმა ბერნდ ვინკლერმა. მისი თქმით, მწვრთნელი ამ ნაბიჯს არასოდეს გადადგამს.**

ესპანური „დეპორტივოს“ ნახევარმცველს, სესარ მარტინს საზარდულის ტრავმა აწუხებს და ოპერაცია ელის. ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმაც მოიწონა და გუნდშიც გამოიძახეს. თუ მარტინს ოპერაციას გაუკეთებენ, მას მინიმუმ სამი თვე დასვენება მოუწევს.

**იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ბარის“ მცველ დუსიო ინოჩენტის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანა. სერია A-ს უკანასკნელ ტურში ფეხბურთელი მოწინააღმდეგე „პერუჯას“ ნახევარმცველ რენატო ოლივეს ეუხეშა. მსაჯს ეს მომენტი არ შეუნიშნავს, თუმცა სატელევიზიო გამეორებისას აშკარად გამოჩნდა, რომ ინოჩენტი დამნაშავე იყო. ამ მატჩში არბიტრმა პერუჯელი მარკო მატერაცი გააძევა. ფედერაციის კომისიამ ამაზეც იმსჯელა და ფეხბურთელი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 2 მილიონი იტალიური ლირით (1,1 ათასი დოლარი) დასაჯა. სატელევიზიო ჩვენებებს მსაჯების უხეში შეცდომები სერია A-ში არაერთხელ დაუფიქსირებია. ინოჩენტის საქმე უკვე მესამე გახლდათ ამ ბოლო ხანებში. მანამდე სადისციპლინო კომიტეტის სასჯელს „პერუჯას“ ახალწვეული, ფრანგი იბრაჰიმ ბა და ფიორენტინელი სანდრო კოისი ვერ გადაურჩნენ.**

ესპანურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მადრიდის „რეალი“ ფრანგ ფორვარდ ნიკოლა ანელკას სეზონის ბოლომდე სერია A-ს რომელიღაც კლუბში განათხოვრებას უპირებს. თავად ანელკა, რომელიც მადრიდული კლუბის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახლავთ, იმუქრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ „რეალი“ მას გაანათხოვრებს, ესპანეთში აღარ დაბრუნდება. „თუ კლუბი გამიშვებს, აღარასოდეს დავბრუნდები. ჯერჯერობით არავინ მაგრძნობინებს, რომ „რეალში“ ზედმეტი ვარ, ამიტომ რაიმე კონკრეტული პასუხის გაცემა მიჭირს“ — განაცხადა ფრანგმა.

**იტალიურმა „ტორონომ“ კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს „გლაზგო რეინჯერსი“ 25 მილიონ დოლარად გუნდის აქციათა შეძენას აპირებდა. „ჩვენ არანაირი მოლაპარაკება არ გაგვიმართავს „რეინჯერსთან“ — განაცხადა „ტორინოს“ პრესატაშე გაბრიელე ჩიუმინატომ. ბრიტანული პრესა კი იუწყებოდა, რომ კლუბები სადაცაა შეთანხმდებიანო.**

ტაილანდის ნაკრების კაპიტანი კიატისუკ სენამუანგი ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ჰადერსფილდში“ გადავიდა. ბრიტანული კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, თუ ფეხბურთელი კლიმატურ პირობებს შეეგუება, იგი უახლოეს მომავალში შემადგენლობაში მოხვდება, მანამდე კი ტაილანდელი სარეზერვო გუნდთან ერთად ივარჯიშებს. ინგლისური პრესის ცნობით, 26 წლის ფეხბურთელისადმი ინტერესს ადრე „მიდლსბროც“ იჩენდა, თუმც ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზების გამო არ შედგა.

**კოლუმბიელმა მცველმა ივან კორდობამ თითქმის შეათანხმა პირობები მილანის „ინტერთან“ და თუ მისი გუნდი, არგენტინული „სან ლორენსო“ თანახმა იქნება, ფეხბურთელი იანვრიდან სერია A-ში იასპარეზებს. იტალიური პრესის ცნობით, მილანური კლუბი 23 წლის კორდობაში 27 მილიარდ ლირას (14,5 მილიონ დოლარს) სთავაზობს არგენტინულ გუნდს, კონტრაქტის ვადა ხუთი წელია, თავად კორდობამ, რომელსაც კოლუმბიის ნაკრებში 15 მატჩი აქვს ჩატარებული, პრესას განუცხადა: „სან ლორენსოს“ პრეზიდენტთან შეთანხმებულიც ვიყავი, რომ თუ სარფიან წინადადებას მივიღებდი, ხელს არ შემიშლიდა. „ინტერში“ თამაში ჩემი ოცნებაა“. იტალიურ კლუბს დაცვაში საკმაო პრობლემები აქვს. 1995 წლის მერე, რაც „ინტერს“ მასიმო მორატი მართავს, კორდობა 23-ე მცველი იქნება, რომელიც მილანურ კლუბს შეუძენია. კორდობა გუნდში ალბათ ნიგერიელ ტარიბო ვესტის პოზიციაზე ითამაშებს, რადგან ამ ფეხბურთელს უკვე რამდენიმე წამყანი ინგლისური გუნდი, მათ შორის „ლიდს იუნაიტედი“ და „ვესტ ჰემი“ ეპატიჟება. არ არის გამორიცხული, „ინტერმა“ იგი გაყიდოს.**

ავსტრალიის ნაკრებში მოასპარეზე გერმანული წარმოშობის ფეხბურთელი ნედ ზელიჩი, რომელიც ბუნდესლიგური „მიუნხენის“ ღირსებას იცავს, აცხადებს, რომ ნაკრების დატოვებას აპირებს. ამის მიზეზი მთავარ მწვრთნელ ფრენკ ფარინასთან უთანხმოება გახლავთ. უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც ავსტრალიამ ბრაზილიასთან გამართა, ზელიჩი ნაკრებში არ გამოიძახეს. ამის გამო ფეხბურთელმა უკმაყოფილება გამოთქვა და გუნდის დატოვებით დაიმუქრა. ფარინამ ამის თაობაზე განაცხადა, ზელიჩი ნაკრებს სჭირდება, ბრაზილიასთან რომ არ გამოვიძახე, ეს არაფერს ნიშნავს, იმ თამაშში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მივეცი თავის გამოჩენის საშუალებაო.

**ინგლისურ „ასტონ ვილაში“ მოთამაშე ბენიტო კარბონე კლუბში დარჩება, თუ კულუარებს მიღმა ყველაფერი რიგზე იქნება, აცხადებს ფეხბურთელის აგენტი და დასძენს: „ბენიტო „ასტონ ვილაში“ ყოფნით ძალიან კმაყოფილია და არც შემდეგ სეზონში აპირებს ინგლისის დატოვებას, თუ, რა თქმა უნდა, მიმდინარე სეზონს წარმატებით ჩაამთავრებს და კლუბიც მასთან ხელშეკრულების გაგრძელებას მოისურვებს. თუ არა და, ბენიტოს ახალი გუნდის პრობლემა არ ექნება, რადგან ინგლისური, ესპანური და იტალიური კლუბებიდან უკვე აქვს მიწვევები. ისე კი კარბონეს, რომელიც „ასტონ ვილას“ „შეფილდ უენსდიდან“ შეუერთდა, ბირმინგემულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება.**

# სიდნეი 2000

## სეოკ-ის 10 წლისთავი



სეოკ-ის საიუბილეო სესიას ხელისუფლების უმაღლესი პირნიც დაესწრნენ

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (სეოკ-ი) დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო ღონისძიებაზე დასასწრებად თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ სტუმრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, ეოკ-ების პრეზიდენტები, გენერალური მდივნები და ვიცე-პრეზიდენტები. ამ ღონისძიების შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი დაიწერა და ითქვა. დღეს კი გთავაზობთ მცირე ინტერვიუს რამდენიმე მათგანთან.

*პატრიკ ჰიკი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ვიცე-პრეზიდენტი, ირლანდიის ეოკ-ის პრეზიდენტი:* „განცვიფრებული ვარ ქართული სტუმართმოყვარეობით. სიტყვები არ მყოფნის აღფრთოვანების გამოსახატავად. ბედნიერი ვარ, რომ სეოკ-ის დაარსების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ვესწრები. მართალია, საქართველოს ეოკ-ი არცთუ დიდი ხანია არსებობს, მაგრამ უკვე დიდი წვლილი შეიტანა ოლიმპიურ მოძრაობაში. ისე, შევნიშნე, რომ ქართველები და ირლანდიელები ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ცოტანი ვართ და კარგი სასმელებიც გვიყვარს. მინდა, წარმატებები გისურვოთ სიდნეის ოლიმპიადაზე - მჯერა, იქ თავს არ შეირცხვენთ".

*არტურას პავილუნასი, ლიტვის ეოკ-ის პრეზიდენტი:* „გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და მომავალშიც სიკეთეს გისურვებთ. თბილისში პირველად არა ვარ. თქვენი დედაქალაქი შეცვლილა, კიდევ უფრო გალამაზებულა. ვიცი, რომ საქართველოს ეკონომიკურად არცთუ ულხინს ლიტვასთან შედარებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რასაც საერთაშორისო ასპარეზზე აღწევთ, ნამდვილი საოცრებაა. ასეთი რამ მხოლოდ ქართველმა შეიძლება გააკეთოს. ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველო შორეულ ავსტრალიაშიც წარმოაჩენს თავს".

*ეფიმ ჟოსანუ, მოლდოვის ეოკ-ის პრეზიდენტი:* „ნამდვილად გასაკვირია — ქვეყანას უჭირს და ასე საუცხოოდ გვმასპინძლობთ. საქართველოს ეოკ-ი, მართალია, ჯერ მხოლოდ 10 წლისაა, მაგრამ თქვენი წინსვლა უკეთესობისკენ უკვე აშკარაა. ბევრი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი ვერ დაიკვეხნის ისეთი პრეზიდენტით, როგორიც ბატონი ჯანო ბაგრატიონია.

ეს მართლაც დაუვიწყარი დღე იყო. თქვენ ხომ კიდევ ერთხელ გაიხსენეთ და პატივი მიაგეთ ყველა იმ სპორტსმენსა თუ სპორტულ მოღვაწეს, რომელთა სახელებიც სამუდამოდ დამკვიდრდება არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო სპორტის ისტორიაში".

**ბაკა ბერიძე, ზურაბ თალაკვაძე**



არტურას პავილუნასი



პატრიკ ჰიკი



უცხოელ სტუმარ-კოლეგებს სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა (შუაში) უმასპინძლა

## გაგვახარონ და გავახარებთ

### თბილისის მერია სპორტთან პირნათელია

### ინტერვიუ ვანო ზოდელავასთან

*— ახლახან, XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენი რეფერენდუმის შემაჯამებელ საღამოზე ოლიმპიური ჩემპიონის, ნინო სალუქვაძის დაფინანსება იკისრეთ, რათა იგი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოემზადოს. გარდა ამისა, სიდნეის ოლიმპიადის ყველა ჩემპიონს თბილისის პრესტიჟულ უბნებში ბინებს დაჰპირდით. ამის თაობაზე ირონიულ რეპლიკას მოვკარით ყური. თქვენ, ქალაქის მერი სიდნეიში, ისე, როგორც ატლანტაში, ჩემპიონს არ ელის და ბინებსაც ამიტომ ჰპირდებაო. როგორ ფიქრობთ, სიდნეიდან რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი დაბრუნდება? და საერთოდ, რა მნიშვნელობას ანიჭებთ სპორტს ქვეყნის ცხოვრებაში?*

— სპორტის განვითარებას ყველა ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ სპორტი მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესს ამკვიდრებს, იგი ქვეყნის პოპულარიზაციასაც უწყობს ხელს.

ჩვენი დამოკიდებულება სპორტის მიმართ კი ყველაზე კარგად, ალბათ, ციფრებიდან ჩანს. ქვეყნის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სპორტს დედაქალაქის ბიუჯეტი, ისევე, როგორც სხვა სფეროებს, 100 პროცენტით აფინანსებს.

ასე რომ, თბილისის მერია და ქალაქის მერი სიტყვას არასდროს ტეხენ. მერწმუნეთ, გამონაკლისი არც სიდნეის ოლიმპიადის გამარჯვებულები იქნებიან. გამარჯვების იმედი რომ არ გვქონდეს, არც პრიზებს დავპირდებოდით. პრიზები კი, დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ სოლიდურია და ჩვენს სპორტსმენებს გარკვეულ სტიმულს შემატებს.

*— ხომ არ აპირებთ, ფულადი პრემიები დაუწესოთ დანარჩენ პრიზიორებს, თუ ასეთები, რა თქმა უნდა, გვეყოლება?*

— შეძლებისდაგვარად ყველაფერს გავაკეთებთ სპორტსმენების წასახალისებლად. რა თქმა უნდა, აქცენტს ოქროზე ვაკეთებთ, მაგრამ არც პრიზიორებს დავწყვეტთ გულს. ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ოლიმპიადაზე მთავარი მონაწილეობაა. თუ ეკონომიკურად უფრო განვითარებული ქვეყნებისთვის მონაწილეობაც საამაყოა, ჩვენთვის, მით უფრო, ასეთ პირობებში, ნებისმიერი პრიზი სასიხარულო იქნება. ქართველი სპორტსმენები წარმატებებით ყოველთვის გვანებივრებდნენ და გარკვეული ამბიციებიც, ალბათ, აქედან მოდის.

*— ჩვენს ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო არაერთმა უმაღლესი დონის სპორტსმენმა დატოვა საქართველო და უცხოეთს მიაშურა. ბევრს კი დღესაც გაქცევაზე უჭირავს თვალი. სამწუხაროდ, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს სპონსორობის ინსტიტუტი, რასაც მთელი მსოფლიოს სპორტი და არა მარტო სპორტი ემყარება. ჩვენი მეწარმეები და ბიზნესმენები თვლიან, რომ საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც სპონსორობას წაახალისებს. თქვენი აზრით, როდემდე გაგრძელდება ასე და რაში ხედავთ გამოსავალს?*

— რაც შეეხება კანონს სპონსორების წახალისების შესახებ, მასზე,



ვანო ზოდელავამ საგანგებოდ გივი კარტოზიასთვის განკუთვნილი პრიზი მის ქალიშვილს, ნანას გადასცა

ალბათ, პარლამენტი იმსჯელებს. აი, მეწარმეებისა და ბიზნესმენების პასიურობის მიზეზი კი, ჩემი აზრით, მარტო წახალისების არარსებობა არ არის. შექმნილი ვითარების გამო სპორტსმენთა მიგრაცია დღეს, სამწუხაროდ, რეალობაა. თბილისის მერია მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ დღესდღეობით მათ ვერ ვუქმნით ისეთ პირობებს, როგორსაც ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები სთავაზობენ. ეს დროებითი მოვლენაა, მერწმუნეთ, უახლოეს მომავალში ჩვენი პრეზიდენტის ძალისხმევით სურათი რადიკალურად შეიცვლება.

*— სპორტული ბაზების პრივატიზებით ჩვენს სპორტულ არენებს არაფერი ეშველა. ეროვნული სტადიონის რემონტი და მისი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა ჭიანურდება, ვაკის საცურაო აუზი ისევ უმოქმედოდაა, ვერც სპორტის სასახლის გათბობას და განათებას ვეღირსეთ, გაურკვეველია სანიჩბოსნო ბაზის ბედი მტკვარზე, „ლაგუნა ვერა" კი მუშაობს, მაგრამ იქ ნაკრებ გუნდებს შეღწევა უჭირთ, რადგან გადახდისუნარიანები არ არიან. ასე რომ, ეს და სხვა სპორტული ბაზები აღარც მერიისაა და ვეღარც დღევანდელი მესაკუთრეები პატრონობენ რიგიანად. როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?*

— პრივატიზაცია, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, დღეს გარდაუვალი და დადებითი პროცესია. მართალია, გარკვეული პრობლემები შეიქმნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს. სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობები სპორტული კომპლექსების შესანახად. თანამედროვე ქვეყნებში ეს ჩვეულებრივი, მომგებიანი ბიზნესია და მას კერძო პირები აკონტროლებენ.

ერთიც უნდა ითქვას. მართალია, პრივატიზაციის პროცესი განხორციელდა და ისეთი სტრატეგიული ობიექტები, როგორიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი და სპორტის სასახლეა, დღეს საქციო საზოგადოებების კუთვნილებაა, მაგრამ საკონტროლო პაკეტი მერიის, ესე იგი, კვლავ სახელმწიფოს ხელშია. უნდა აღინიშნოს, რომ მერია ამ მხრივ ბევრს აკეთებს. ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციისთვის მილიონი ლარი გამოვყავით, რაც გამაგრებით სამუშაოებს, საფეხბურთო მინდვრის, რადიოკვანძისა და ტაბლოს განახლებას მოხმარდა, კეთილმოეწყო საშხაპეები, მსაჯთა და პრესცენტრის ოთახები. მარტო წლეულს სტადიონის სამუშაოებისთვის საქალაქო ბიუჯეტში 350 ათასი ლარია გათვალისწინებული და 175 ათასი უკვე ათვისებულია. უეფას დახმარებით 20 ათასი ინდივიდუალური სკამიც დამონტაჟდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სტადიონი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რომ კეთილმოეწყოს, 6 მილიონ ლარამდეა საჭირო. იგივე შეგვიძლია ვთქვათ სპორტის სასახლეზეც, თუმცა დანარჩენი აქციების მქონე ორგანიზაციები თავიანთ ვალდებულებებს, მერიისგან განსხვავებით, არ ასრულებენ.

მაგრამ ეს, როგორც უკვე გითხარით, დროებითი მოვლენაა. უახლოეს მომავალში სახელმწიფო მდგომარეობის გამოსწორებას შეძლებს.

*— ძიუდოისტების წლევანდელი საერთაშორისო ტურნირი ჩაშლის პირას იყო, მაგრამ მხსნელად თქვენ მოევლინეთ. მართალია, იგი ადრინდელივით მასშტაბური, სპორტის ამ სახეობისა და თბილისის საკადრისი არ აღმოჩნდა, მაგრამ სამომავლოდ ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ თქვენი შემწეობით ამ ტურნირს ძველი პრესტიჟი დაუბრუნდება?*

— არა მარტო ძიუდოისტებს, შეძლებისდაგვარად ყველას დავეხმარებით. ისე, მარტო ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ თბილისის მერია სპორტის განვითარებაზე საქმითაც ზრუნავს.

*— ამ ორიოდე დღის წინ თქვენ ერთ-ერთი კორესპონდენტის თხოვნით საზოგადოებას აუწყეთ, თუ რა გაკეთდა თბილისში ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე. ჩამონათვალი მართლაც რომ შთამბეჭდავია, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში სპორტული თემატიკა საერთოდ არ არის. რას ჰპირდებით სპორტის გულშემატკივრებს, თბილისელებს — ახლო მომავალში შეემატება თბილისს სპორტული ბაზა, კომპლექსი, არენა ან სხვა რამ?*

— ვერ დაგეთანხმებით. წლეულს თბილისში არაერთი სპორტული მოედანი და კომპლექსი გაიხსნა. მერიის დახმარებით რამდენიმე სკოლაში, ფაქტობრივად, თავიდან აშენდა და ამოქმედდა საცურაო აუზი — სპორტის აღორძინება ხომ სწორედ ბავშვთა სპორტის განვითარებით იწყება. სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს თბილისელების საყვარელ „ლოკომოტივის" სტადიონზეც. ეს უზარმაზარი სპორტული კომპლექსი თანამედროვე მოთხოვნებს სრულიად დააკმაყოფილებს და გაისად სახეცვლილი უმასპინძლებს სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს.

ასე რომ, დღევანდელ პირობებშიც ბევრი რამ კეთდება. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ მეტსაც შევძლებთ და ქართველი სპორტსმენებიც ძველებურად გაგვახარებენ.

**ზურაბ თალაკვაძე**
**ბაკა ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

ბადრი კითილაძის ფოტო



### რუსუდან ხოფერია

დაიბადა 1972 წლის 9 სექტემბერს ქალაქ თბილისში. ვარჯიში დაიწყო 1981 წელს. საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1986). იმავე წელს გაიმარჯვა სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე. არის ევროპის სამგზის ჩემპიონი (1987, 89, 97), სამგზის ვერცხლის პრიზიორი (1987, 93, 95) და ერთგზის ბრინჯაოსმედალოსანი (1987).

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (1988), ვერცხლის პრიზიორი (1990) და მეოთხეადგილოსანი (1998), 1993 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებული. 1988 წელს დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, რომელიც დღემდე დაუმხობელია. სიდნეიში პირველად იასპარეზებს ოლიმპიადაზე.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

*სამი კითხვა ლიცენზიანტს*

*1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?*

*2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.*

*3. რომელ ადგილს გეგმავთ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე?*

*1. ბატუტზე მხტომელი სრულიად შემთხვევით გავხდი. ჩემი და სპორტული აკრობატიკის სექციაში დადიოდა და რადგან ძალიან მოუსვენარი ბავშვი ვიყავი, მშობლებმა მეც მიმიყვანეს. მოგვიანებით თენგიზ ხუდოევმა აღმომაჩინა, რომელიც 1988 წლამდე მწვრთნიდა. მისი დიდი მადლიერი ვარ. აი ასე, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გავხდი ბატუტისტი, მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო.*

*2. 1989 წელს შორეულ ინდოეთში შემემთხვა ერთი მეტად კურიოზული ამბავი, რომელსაც იქაური მაღალჩინოსნის თანამდებობა შეეწირა. იმ წელს ქალაქ დელიში ჩატარდა სპორტული ფესტივალი „საბჭოთა კავშირი — ინდოეთი“, სადაც მეც მიმიწვიეს. ბატუტები ზედ პრეზიდენტის ლოჟის წინ იყო განლაგებული. მე ეს არ ვიცოდი და ყოველი გამოსვლის დროს ან შესვენებისას იქ არხეინად დავსეირნობდი. ასე გავრძელდა ოთხ დღეს, მეხუთე დღეს კი შემამჩნიეს და პრეზიდენტის დაცვის უფროსი დაუდევრობისთვის სამსახურიდან გაათავისუფლეს.*

*3. ეს ჩემი პირველი ოლიმპიადაა და ყველანაირად ვეცდები, რაც შეიძლება მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლო. ამჟამად ინტენსიურად ვემზადები ყველაზე რთული — 13,0 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშის დასახვეწად და თუ იგი კარგად დავამუშავე, ყველას ვპირდები, რომ სიდნეიდან უმედლოდ არ დავბრუნდები.*

## კონკურსი

# ოლიმპიური ვიქტორინა

განვაგრძობთ კონკურსს და დღეს გთავაზობთ ოლიმპიური ვიქტორინის II ტურის კითხვებს:

1. რამდენი პრეზიდენტი ჰყავდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) და ვინ იყო მისი მეექვსე პრეზიდენტი?
2. ვინ იყო პირველი ტყვიის მსროლელი ოლიმპიური მედალოსანი ქალი?
3. დღემდე რამდენი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, რამდენი მედალი მოიპოვეს და რა ხარისხის?
4. სად და ვინ დაამყარა უკანასკნელი ოლიმპიური რეკორდი სიგრძეზე ხტომაში?
5. რამდენჯერ ჩატარდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები და სად, როდის გაიმართა პირველი და ბოლო თამაშები?

*პასუხები 2 დეკემბრამდე გამოგზავნეთ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის 16. ტელ: 95-20-79.*

### წინა ტურის სწორი პასუხები

***1. მანუელა მალეევა (ბულგარეთი). 1988 წელს ბრინჯაოს მედალი მოიგო ერთეულთა თანრიგში. 1992 წელს ასპარეზობდა შვეიცარიის სახელით.***

***2. ალბერტო ტომბამ მოიპოვა 3 ოქროს მედალი:***
1. 1988 წელს გიგანტურ სლალომში;
2. 1988 წელს სლალომში;
3. 1992 წელს გიგანტურ სლალომში.

***3. 1960 წლის რომის ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ:***
1. რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — I ადგილი
2. ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა) — I
3. გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — II
4. გურამ მინაშვილი (კალათბურთი) — II
5. ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი) — II
6. გივი ჩიქვანაია (წყალბურთი) — II
7. ლერი გოგოლაძე (წყალბურთი) — II
8. ვლადიმერ რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — III
9. გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა) — III
10. გურამ კოსტავა (ფარიკაობა) — III
11. ალექსანდრე შჩერბინა (მძლეოსნობა) — IV
12. ბორის ნიკიტინი (ცურვა) — VIII
13. ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — XI
14. ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) — მეოთხედფინალში V
15. რევაზ ქვაჩაკიძე (მძლეოსნობა) — ფინალში ვერ მოხვდა
16. იური დიაჩკოვი (მძლეოსნობა) — შეჯიბრება არ დაუმთავრებია

***4. პიერ დე კუბერტენი დაკრძალულია ლოზანაში.***

***5. ქართველთაგან ყველაზე მეტი (16) მედალი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მოიპოვეს: 6 ოქრო, 4 ვერცხლი, 6 ბრინჯაო.***

*ვიქტორინის II ტურში მონაწილეობის უფლება აქვათ მათ, ვინც სწორად უპასუხა პირველი ტურის 4 ან 5 კითხვას.*

# მხტომარე მზეთუნახავი



ნანა ნებიერიძე

მზის ქვეშ ადგილის შენარჩუნება რომ უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება, სპორტსაც არაერთხელ დაუდასტურებია. რამდენჯერ მომხდარა, რომ სპორტსმენს, რომელიც ამა თუ იმ სახეობაში რჩეული გამხდარა, შემდეგ ყურადღება მოუდუნებია, რითაც მის უშუალო კონკურენტს დაუყოვნებლივ უსარგებლია. მაგრამ ისეც ყოფილა, რომ სპორტსმენის დროებითი განშორება მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილთან, ანუ სპორტთან, სხვა მიზეზს გამოუწვევია. სწორედ ასე დაემართა ქართველ წყალში მხტომელ ნანა ნებიერიძეს, რომელმაც თავისი წარმატებული კარიერა 1993 წელს მოულოდნელად შეწყვიტა და ამჟამად ცდილობს, ექვსი წლის წინანადელი სპორტული ფორმა აღიდგინოს.

**— ნანა, ექვსი წლის წინ, როდესაც ყველასთვის მოულოდნელად აქტიურ სპორტს ჩამოშორდით, ფიქრობდით თუ არა, რომ გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდებოდით?**

— ამის ჯერ კიდევ 1993 წელს მჯეროდა, როცა ოჯახი შევქმენი და სპორტს გამოვეთხოვე. საჭირო იყო გარკვეული დრო, რათა ყველაფერი გამეაზრებინა და სწორი ნაბიჯი გადამედგა. ერთი ხანობა პოდიუმზეც გამოვდიოდი, მაგრამ ეს დროებითი გატაცება იყო. მართალი გითხრათ, წყალში ხტომაა ერთადერთი რამ, რაც ნამდვილად კარგად გამომდის. თუმცა კი პოდიუმზეც სერიოზულ წარმატებებს მივაღწიე. რამდენჯერმე მოდის საკმაოდ პრესტიჟულ ჩვენებებშიც მიმიწვიეს.

**— კი მაგრამ, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი „მეორედ მოსვლა“ ისეთივე წარმატებული იქნებოდა, როგორც თავდაპირველი კარიერა?**

— ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა და ამჟამადაც მჯერა საკუთარი თავის. სპორტში ძალიან ხშირად ხდება ამგვარი რამ. მაგალითად, შემიძლია ჩემი უსაყვარლესი სპორტსმენი, ჩოგბურთელი ანდრე აგასი დავასახელო. ჯერ კიდევ 1997 წელს, როდესაც იგი პირველი ასეულიდან გავარდა, ყველამ ჩათვალა, რომ მისი საუკეთესო წლები უკან დარჩა, მაგრამ აგასიმ სკეპტიკოსებს ცივი წყალი გადაასხა და ორი წლის მანძილზე მიღწია იმას, რაც საწყის 6-7 წელიწადში არ გაუკეთებია. თუ არ ვცდები, მან რაღაც მაჩვენებლებით პიტ სამპრასსაც კი გაუსწრო. არა, არ გეგონოთ, თავს აგასის ვადარებდე, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ შრომისმოყვარე ადამიანი ადრე თუ გვიან თავისას მაინც მიაღწევს.

**— ახლოვდება სიდნეის ოლიმპიური თამაშები. ლიცენზიანტთა შორის თქვენც ხართ. სად და როგორ მოიპოვეთ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება?**

— ცოტა კურიოზულად კი ჟღერს, მაგრამ სიდნეის ლიცენზია ერთბაშად სამ ტურნირზე მოვიპოვე: ევროპის ჩემპიონატზე, საერთაშორისო ტურნირში „გაზაფხულის მერცხლები“ და პალმა დე მალიორკაში გამართულ უნივერსიადაზე. ოლიმპიადამდე კიდევ რამდენიმე სერიოზულ ტურნირში ვცდი ძალას. ნოემბრის შუა რიცხვებში სარატოვში მივემგზავრები. იქ ჩემი პირადი მწვრთნელი იური გუტიაკულოვი დამხვდება. დაახლოებით ერთ თვეში კი წავალ მოსკოვში, სადაც უკვე ოლიმპიადისთვის მზადებას შევუდგები და შევეცდები, სიდნეიში კარგი შედეგი ვაჩვენო.

**— სიდნეიში რას გეგმავთ?**

— მე არ მივეკუთვნები იმ სპორტსმენებს, რომლებისთვისაც მთავარია მონაწილეობა და არა შედეგი. ჩემთვის უმნიშვნელოვანესი შედეგია.

**— ბოლოს კი, როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

— ვცდილობ, მეტი ყურადღება დავუთმო ჩემს ქალიშვილს, ნინიკოს, რომელიც ამჟამად ხუთი წლისაა. რაც მეუღლეს დავშორდი, შვილის აღზრდა მთლიანად მე დამეკისრა. ხშირად ისეც ხდება, რომ ორი-სამი თვის განმავლობაში ვერ ვხედავ შვილს, რასაც ორივენი ძალიან განვიცდით. მიყვარს მუსიკა და კინო. მუსიკოსთაგან მომწონს ჯგუფები „U 2“ და DEPECHE MODE“, ხოლო მსახიობებიდან — ნასტასია კინსკი და მიკი რურკი.

**ზურაბ თალაკვაძე**



ნანა ისევ ძველ მწვრთნელთან, იური გუტიაკულოვთან ერთადაა




## საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

1956 წელი. მელბურნი




გივი კარტოზია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — ოქრო

მირიან ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — ოქრო

ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — ბრინჯაო

ბორის ნიკიტინი (ცურვა) — ბრინჯაო

რომან ძნელაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — ბრინჯაო

მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან მონაწილეობდა 10 სპორტსმენი.

### სიდნეი-2000

**როგორც** სიდნეი-2000-ის საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, უკვე გაყიდულია საფეხბურთო ტურნირის მატჩებზე, კერძოდ, ნახევარფინალებსა და მეოთხედფინალებზე დასასწრები ბილეთები. აი, ფინალურ შეხვედრაზე (იგი გაისად, 30 სექტემბერს სიდნეის 110-ათასიან სპორტულ არენაზე გაიმართება) მოსახვედრი ბილეთების გაყიდვა ჯერ არ დაუწყიათ.

* * *

**სახელოვანი** ჩოგბურთელის, ამჟამად კი არანაკლებ სახელოვანი მწვრთნელის, ჯონ ნიუკომბის თქმით, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ავსტრალიის ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზებს. „მიუხედავად იმისა, რომ პატრიკ რაფტერს მძიმე ტრამვა აქვს, დარწმუნებული ვარ, იგი ჩვეულ ფორმას აღიდგენს და ტურნირში ითამაშებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩვენი ქვეყნის ღირსებას მარკ ფილიპუსისი, ლეიტონ ჰიუტი, ენდრიუ ილიე და უეინ არტურსი დაიცავენ. თუ ტურნირი ბალახისსაფარიან კორტებზე ჩატარდება, მაშინ რაფტერი და ფილიპუსისი, პიტ სამპრასთან და რიჩარდ კრაიჩეკთან ერთად, უმთავრესი ფავორიტები იქნებიან“ — განაცხადა ჯონ ნიუკომბმა.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურმა

REUTERS ფოტოსურათი



ბრაზილიელი ადრიანო (№7) და ავსტრალიელი პოლ ოკონი ბურთისთვის იბრძვიან

# მუქთა სანახაობა ავსტრალიელთათვის

რონალდინიოსა და ფაბიო ჟუნიორის გოლები მელბურნში გუშინ ჩატარებული ამხანაგური შეხვედრის ბოლო 15 წუთში გავიდა და მათი წყალობით ბრაზილიის ნაკრებმა ავსტრალიასთან 2:2 ითამაშა.

რონალდინიოს გოლმა 75-ე წუთზე მასპინძელთა ორგოლიანი უპირატესობა ერთამდე შეამცირა, მერე კი, საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე, ფაბიო ჟუნიორმა ანგარიში გაათანაბრა.

ამრიგად, ორი მატჩის ჯამში სამხრეთ ამერიკელებმა 4:2 მოიგეს — კვირას სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე ბრაზილიამ 2:0 იძალა.

პოლ აგოსტინომ ანგარიში მე-11 წუთზე თავურით გახსნა, ხოლო 61-ზე მანვე მეორედ დალაშქრა ბრაზილიელთა კარი.

შეხვედრას, რომელიც სამხრეთ ამერიკელებმა 23 წლამდე ახალგაზრდა ფეხბურთელებით ითამაშეს (ისინი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ) 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. ალსანიშნავია, რომ ორგანიზატორებმა ხალხი უბილეთოდ შეუშვეს სტადიონზე. მიზეზი ბრაზილიელი რონალდოსა და ავსტრალიელი ჰარი კიუელის არყოფნა გახლდათ. ქომაგებს მათი ხილვა სურდათ და ბილეთების საფასურის გადახდასაც ამიტომ აპირებდნენ.

მოგეხსენებათ, ორგანიზატორებს ვარსკვლავების მოედანზე გაყვანის გეგმა ჩაეშალათ.

## მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი

**C ჯგუფი**

გერმანია 0:0 ბრაზილია

ავსტრალია 1:0 მალი

1:0 მაკდონალდი (23)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| გერმანია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მალი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |

**D ჯგუფი**

ყატარი 4:0 იამაიკა

1:0, 2:0 უოლედი (52, 63), 3:0 ბილალი (69), 4:0 მეშალი (90)

ბურკინა ფასო 2:2 პარაგვაი

0:1 კაბრერა (5), 0:2 ფერეირა (45), 1:2, 2:2 კუედრაოგო (50, 53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 |
| ყატარი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ბურკინა ფასო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| იამაიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

**მეოთხედფინალი**

20 ნოემბერი

A აშშ — მექსიკა

B განა — ურუგვაი

21 ნოემბერი

C ავსტრალია — ყატარი

D პარაგვაი — ბრაზილია

**ნახევარფინალი**

24 ნოემბერი

A — C; B — D

მატჩი მესამე ადგილისათვის გაიმართება 27 ნოემბერს, ამ დღესვე შედგება ფინალიც.

## თურქული სუპერმატჩი გადაიდო

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მუსტაფა დენიზლის თხოვნა და ტურის მატჩი „გალათასარაისა" და „ფენერბაჰჩეს" შორის, რომელიც 21 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, ამავე თვის 28 რიცხვისთვის გადაიტანა. „თამაში იმიტომ გადავდეთ, რომ ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩისთვის ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად უკეთ მომზადებულიყვნენ" — განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კიდევ ერთი შეხვედრა „ბეშიქთაშსა" და „ტრაბზონს" შორის, რომელიც შაბათს უნდა გამართულიყო, კვირისთვის დაიგეგმა.

თურქეთის ჩემპიონატის ტურის მატჩები 19-21 ნოემბრისთვის:

პარასკევი, 19 ნოემბერი

**დენიზლი — გაზიანთეფი**

შაბათი, 20 ნოემბერი

**გიოზთეფე — ანთალია**

კვირა, 21 ნოემბერი

**ერზურუმი — ადანა ; გენჩლერბირლიგი — ანკარაგიუჯიუ ; ალთაი — ქოჯაელი ; ვანი — ისთანბული ; სამსუნი — ბურსა ; ბეშიქთაში — ტრაბზონი**

# ანდრეი შევჩენკოს მილანური ოდისეა

როგორ გგონიათ, ვინ არის უკრაინელი ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო? პასუხი მარტივია, თანაც ბევრი — იტალიის ჩემპიონ „მილანის" ფორვარდი, უკრაინის ეროვნული ნაკრებისთვის შეუცვლელი ფეხბურთელი, უდიდესი ძალა, რომელიც მის ყოფილ კლუბ, კიევის „დინამოს" გამოაკლდა...

და კიდევ. როგორ გგონიათ, რატომ განაცხადა „მილანის" პრეზიდენტმა, სილვიო ბერლუსკონიმ, თანხმობა, შევჩენკოში 25 მილიონი დოლარი გადაეხადა, მარტო იმიტომ, რომ იგი ძლიერი და სწრაფი ფორვარდია? კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ ერთიცაა გასათვალისწინებელი, მიუხედავად მასზე გაცემული ავანსებისა, ანდრეი შევჩენკოს ვარსკვლავომანია არ შეჰყრია და მეორეც, უმთავრესი მიზეზი ბერლუსკონის თანხმობისა — „იშვიათად ნახავთ ფეხბურთელს, რომელიც ფეხბურთის თამაშის გარდა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე არ ფიქრობდეს. როდესაც შევჩენკოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ ავჩქარებულვართ, ძალიან მსურდა, მის პროფესიონალიზმში დავრწმუნებულიყავი, ამაში მარტო ფეხბურთის თამაშს არ ვგულისხმობ: ძალიან მაინტერესებდა, კიევში ყოფნისას რა სისწრაფით დააქროლებდა საკუთარ „მერსედესსა" და იყო თუ არა ღამის კლუბის ხშირი სტუმარი. როდესაც დავრწმუნდი, რომ ანდრეი მინდვრის გარეთაც უბრალოა და არა ექსტრავაგანტური, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მისი შეძენა" — განაცხადა სინიორ ბერლუსკონიმ.

და განა ბერლუსკონი მართალი არ არის? რაღა შორს წავიდეთ, განა არ გვაქვს მაგალითები: ბასლერი, რონალდო, ციმბალარი...

მარიო ბასლერი მიუნხენის „ბაიერნიდან" უდისციპლინობისთვის და ლოთობისთვის გაუშვეს, ილია ციმბალარსაც ღამის კლუბებში სიარული შეუყვარდა, ხოლო ბრაზილიელ ვარსკვლავზე, 22 წლის რონალდოზე უკვე თამამად საუბრობენ — მორჩა, ამ ბიჭმა ფეხბურთი უკვე დაასრულა, მისი საზრუნავი ახლა ბიზნესი და რეკლამააო.

...როდესაც ამ ერთი წლის წინათ, „მილანმა" სერიოზულად წამოიწყო საუბარი კიევის „დინამოსთან" შევჩენკოს თაობაზე, უკრაინული კლუბის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი პრინციპული და შეუვალი იყო — მორჩა, შევჩენკო არ იყიდებაო. მილანელებმა სატრანსფერო თანხად მაშინ 15 მილიონი დოლარი დაასახელეს, მაგრამ სურკისის პოლიტიკა იქამდე მივიდა, სანამ ბერლუსკონის ხელქვეითებმა არ თქვეს, 25 მილიონს ვიხდითო. სურკისმაც თანხმობა განაცხადა და ვაჭრობაც მოიგო. მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, „მილანი" ამხელა თანხის გადახდაზე არ აჩქარებულა, ყველაფერი გეგმაზომიერად მიდიოდა.

„ამ ხნის მანძილზე გზა მილანიდან კიევამდე და შემდეგ კვლავ მილანში ყველაზე პოპულარული გახდა კლუბის სელექციონერთათვის — ამბობს იტალიური სუპერკლუბის ერთ-ერთი სელექციონერი, ამ საქმის ალბათ უმთავრესი მონაწილე, ქართველი რევაზ ჭოხონელიძე — ჩვენ არა მარტო ტალანტი გვჭირდებოდა, არამედ ვეძებდით ნაღდ პროფესიონალს, რომელიც დარწმუნებულია თავის საქმეში. შევჩენკომდე იტალიაში ყოფილი საბჭოეთიდან 12 ფეხბურთელი იმყოფებოდა, მაგრამ რაღ გინდა, თითქმის ვერც ერთმა ვერ გაამართლა, იტალიაში თამაში მათ დასვენება ეგონათ. როდესაც ანდრეი ახლოს გავიცანი, დავრწმუნდი, რომ იგი ზუსტად ისეთი პიროვნება იყო, რომელიც გვჭირდებოდა. იგი ზედმეტ მითითებას არ საჭიროებს."

ქართველი რევაზ ჭოხონელიძე, თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, კაცი, რომელმაც ათი წლის წინათ დასახული მიზანი, საბჭოთა სამწვრთნელო დიპლომი იტალიურზე გაეცვალა, წარმატებით აისრულა. დღეს იგი უკვე „მილანში" გავლენიანი პიროვნებაა. ვინ იცის, რამდენი საბჭოთა ფეხბურთელისთვის გაუწევია მას დახმარება, როდესაც სისწრაფის გადაჭარბების გამო იტალიელ კარაბინერების მიერ ჩამორთმეული მანქანის საბუთები დაუბრუნა.

ანდრეი შევჩენკო უკვე მეხუთე თვეა, რაც იტალიაში იმყოფება და აპენინელ პაპარაცებსაც საქმე გაუჩნდათ. იქნებ „შევა" სადმე, ან ვინმესთან, ანაც ღამის კლუბში შევამჩნიოთო, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. ხალხმრავალ ადგილებში შევჩენკოს თვალსაც ვერ მოჰკრავთ, ან კი როგორ დაინახავთ, როდესაც მას თითოეულ ფეხის ნაბიჯზე რეზო ჭოხონელიძე დაჰყვება. ბატონმა რეზომ, რომ იტყვიან, შევჩენკოზე მეურვეობა იკისრა. უკრაინელის ცხოვრების რეჟიმიც მკაცრადაა დაცული — ვარჯიში მილანელოზე („მილანის" საწვრთნელი ბაზაა), ვარჯიშებს შორის იგი კლუბის მიერ მისთვის საგანგებოდ დაქირავებულ იტალიურის მასწავლებელთან დადის და საღამოს — ღრმა ძილი.

— მგონი, ყველამ ნათლად დაინახა, რისთვისაც ჩამოვედი მილანში. მე აქ ფეხბურთის სათამაშოდ მოვედი და არა



ანდრეი შევჩენკო

დროის სატარებლად, მაგრამ ხალხს ამის გაგონება არ სურს. როგორც ჩანს, მათ ლობანოვსკის სკოლაზე არაფერი გაუგიათ. ფეხბურთი ჯერ პროფესია მერე კი თამაშია. უფლის წყალობით, გუნდს კარგად იმიტომ შევეწყვე, რომ კიევში ისეთი ფეხბურთის თამაში მასწავლეს, როგორსაც ევროპაში თამაშობენ. ვაკეთებ იმას, რაც მევალება, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთებს ეს უკვირთ — ამბობს შევჩენკო.

„მილანის" სპორტული დირექტორი ხუმრობის ხასიათზეც კია, ანდრეი უფრო რომ მიეჩვიოს მილანურ ცხოვრებას, მას ცოლად იტალიელი გოგონა უნდა შევრთოთ, რის შედეგადაც ორმაგ მოქალაქეობასაც მიიღებს. იგი კლუბში უცხოელად არ ჩაითვლებაო. ამაზე შევჩენკო პასუხობს: „ჯერჯერობით მარტოდაც მშვენივრად ვარ. კიევში ყოფნისას ჩემი თანამემამულე არავინ მყვარებია და, ვფიქრობ, აუცილებლობას არ წარმოადგენს, ცოლად იტალიელი შევირთო. არც ის ჩავთვალე მიზანშეწონილად, შინ ნაცნობი მაინც მიმეწვია. ჯერ ერთი, სახლში, რომელიც კლუბმა გამომიყო, ახლა რემონტია, ხან სასტუმროში ვრჩები, ხან კიდევ ბაზაზე, ესე იგი, მარტოობას არ ვგრძნობ. ამასთანავე, თითქმის ყოველდღიური სატელეფონო კავშირი მაქვს ნაცნობ-მეგობრებთან და ნათესავებთან."

„მილანი" დღეს სერია A-ს გათამაშების ცხრილში მესამეა, წლეულს ჩემპიონთა თასის ალებაზე მეოცნებე გუნდი კი ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპიდანვე გამოვარდა. ის კი არა, ვერც უეფას თასზე შეძლო გადანაცვლება. ანდრეი შევჩენკო კი ერთ-ერთი იმათგანია, ვისი თამაშის მიმართაც ნაკლებ პრეტენზიებს გამოთქვამენ: „გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს, სიმართლე გითხრათ, არც თავი გამომიდვია. ვთვლი, რომ თავადვე ვარ ისეთი პიროვნება, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობა ეადვილება. თუ თამაში წაგივიდა, ამას ყველა ისე აღიქვამს, როგორც სინამდვილეს, თუ არა — მაშინ შვება ერთსულოვნებაში უნდა ეძებო. სწორედ აქ გამოჩნდება, რამდენად კეთილგანწყობილნი არიან შენდამი."

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მშობლიური გარემო, უკრაინა, ანდრეი შევჩენკომ მილანური ამბები დროებით დაივიწყა და სლოვენიელებთან საპლეიოფო ციებ-ცხელებაში ჩაება. პირველ მატჩში, ლიუბლიანაში, უკრაინელები „შევას" ბრწყინვალე გოლით იგებდნენ, თუმცა მაინც დამარცხდნენ — 1:2. სანამ თქვენ ამ წერილს წაიკითხავთ, მანამ გუშინდელი საპასუხო მატჩის შედეგიც გეცოდინებათ, უბრალოდ, ერთს აღვნიშნავთ, უფრო სწორად მილანელის ნათქვამს გაგაცნობთ: "ვფიქრობ, სლოვენიის ნაკრებს ჩვენი გუნდი არაფრით ჩამოუვარდება, ეგაა, ევროპის ჩემპიონატზე გვსურს ძალების მოსინჯვა."

ისე როგორ იქნებოდა, ანდრეი შევჩენკოს რუსეთის კარში გატანილ ბურთზე არ ეთქვა ორიოდ სიტყვით: „რუსეთთან მატჩამდე გულშემატკივრებმა იმ მატჩს საკმაო პოლიტიკური დატვირთვა მისცეს. რუსულ პრესაში იმხელა აჟიოტაჟი და მოწოდება წავიკითხე, მეგონა, მსოფლიოს ჩემპიონებს ხომ არ ვეთამაშებით-მეთქი, მაგრამ ისეთი გუნდი, როგორიც უკრაინისაა, რომელსაც ჯგუფში თამაშიც კი არ წაუგია, რუსეთზე არანაკლებად ღირსი იყო გასულიყო პლეი ოფში მაინც. როდესაც კარპინმა ბურთი გაგვიტანა, ვიფიქრე, მორჩა, ყველაფერი დასრულდა, სადაცაა, მსაჯი საფინალო სასტვენს მისცემს და ნახვამდის ევროპავ-ვთქვი, მაგრამ ბნელი აზრები ადვილად გავიქარვე. როდესაც 87-ე წუთზე თითქმის აუტის ხაზიდან ჯარიმა დავარტყი, არ მჯეროდა, რომ წარმატებას მივაღწევდი, უფრო ფილიმონოვის შეცდომას ველოდი. შეიძლება გამოსვლაზე საჰაერო ბრძოლისას თანაგუნდელებთან და მოწინაალმდეგესთან შეცდეს-მეთქი, მაგრამ მეკარემ სხვის დაუხმარებლად დაუშვა შეცდომა. რა თქმა უნდა, გავიხარე, მაგრამ მერე სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა. არ მიყვარს ვინმეს წარუმატებლობით სარგებლობა."

აი, ასეთია ანდრეი შევჩენკოს მილანური ცხოვრება. და მაინც, როგორ გგონიათ, რატომ იყიდა იგი „მილანმა"...

**გიორგი ვაშაკიძე**

REUTERS ნიუ იორკიდან



შტეფი გრაფს (მარცხნიდან მეორე) მარი პირსი, ნატალი ტოზია და ანა კურნიკოვა აცილებენ

# დამშვიდობება ჩემპიონთან

**შტეფი გრაფი** ისევ „მედისონ სკვერ გარდენის“ ცენტრალურ კორტზე იდგა, ისევ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცეული, მაგრამ ჩოგნისა და მკვლელი ფორჰენდის ნაცვლად კოჭებამდე შავ კაბასა და სანდლებში გამოწყობილს თვალებში ცრემლები ედგა.

სამშაბათს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს მსოფლიოს დედაქალაქში დიდი სპორტიდან აცილებდნენ — ტურნირზე, რომელიც ლეგენდარულმა გერმანელმა ხუთჯერ მოიგო, მას მაყურებლებმა და ძველმა მეტოქეებმაც მიაგეს პატივი.

„ეს წარმოუდგენელია. ჯერ კიდევ შარშან ამ კორტზე ვთამაშობდი. აქ პირველად 15 წლის წინ გამოვედი“ — აღნიშნა 30 წლის მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, რომელსაც თავისი 17-წლიანი კარიერის მანძილზე უამრავი რეკორდი დაუმყარებია, 377 კვირა კლასიფიკაციას ედგა სათავეში, დიდი სლემის ტურნირებზე კი 22-ჯერ უმარჯვია.

გაცილების ცერემონიალი კორტზე ხანგრძლივი აპლოდისმენტების თანხლებით გამოსული გრაფის მნიშვნელოვან გამარჯვებათა ალმნუსხველი ვიდეოკლიპით დაიწყო, რომელსაც ფონად უიტნი ჰიუსტონის ჰიტი — „ერთი მომენტი დროში“ — მიჰყვებოდა.

„ასეთი მომენტი ბევრი იყო. მე კლიპს არ ვუყურებდი. უბრალოდ, არ შემეძლო. ძალიან ამაღელვებელი იყო ჩემთვის იქ ყოფნა და განვლილ კარიერაზე ფიქრი, მაგრამ ამის ყურება არ შემეძლო“ — აღიარა მოგვიანებით შტეფიმ.

სიმღერის დასრულების შემდეგ გრაფმა ქომაგებს მოუხადა მადლობა: „მე მიყვარს ნიუ იორკი. ძალიან მიყვარს. მადლობთ, რომ მთელი ეს წლები ჩემს გვერდით იყავით.“

მორიგი ხანგრძლივი ოვაციის შემდეგ, როდესაც გერმანელი წარამარა იწმენდდა ჩაწითლებულ თვალებს, მეტოქე-მეგობრებმა — არანჩა სანჩეს ვიკარიომ, მარი პირსმა და სხვებმა ავტოგრაფიანი ჩოგნები გადასცეს, მერე კი ოთხივე დიდი სლემის ტურნირიდან საჩუქრების მიღების დროც დადგა.

ავსტრალიიდან გრაფს ჩარჩოში ჩასმული პლაკატი — „გახსოვდეს მელბურნი“ ერგო, უიმბლდონიდან — ყველა მისი გამარჯვების ჩამონათვალიანი დაფა, აშშ-ის ღია პირველობიდან — სურათი მთავარი ჯილდოთი და ძველი ცენტრალური კორტის ნაწილით.

სუპერვარსკვლავი ყველაზე მეტად „როლან გაროსიდან“ ჩამოსულმა ძღვენმა გამოაცოცხლა — მე-19 გასახდელის კარმა ზედ ამოტვიფრული გამარჯვებათა წლებით.

„ეს ნივთი ძალიან, ძალიან განსაკუთრებულია ჩემთვის, რადგან გასახდელში ყოველთვის იმ კუთხეში ვიყავი. ქალბატონებმა იცოდნენ, რომ მე სწორედ იქ მინდოდა მოკალათება და ყოველთვის მინახავდნენ ადგილს“ — ახსნა გრაფმა.

ცრემლები ვერ შეიკავა გერმანელმა, როდესაც პირველ რიგში მჯდომ მწვრთნელ ჰაინც გიუნტარდსა და დედას — ჰაიდის მიუბრუნდა. „ შენ ჩემთვის მხოლოდ მწვრთნელი კი არა, ნამდვილი მეგობარი იყავი — მცირე პაუზის შემდეგ კი დაუმატა — ვიცოდი, რომ ძალიან ავღელდებოდი.“

„მედისონ სკვერ გარდენის“ პრეზიდენტმა დეივ ჩეკეტსმა გრაფს „ნიუ იორკ რეინჯერსის“ მაისურა გადასცა, № 5-ით (ტიტულების რაოდენობა) და მისი გვარით ზურგზე, აგრეთვე კალათბურთის ბურთი შტეფის ერთ-ერთი საყვარელი სპორტსმენის, პატრიკ იუინგის ავტოგრაფით.

„შენ საუკეთესო მაგალითი იყავი ყველასთვის, ვისაც სპორტი უყვარს. ჩვენ, ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც ერთნაირად ალგვაფრთოვანებდი თამაშით“ — აღნიშნა აშშ-ის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯუდი ლევერინგმა. „უამრავი ტრავმის მიუხედავად, ფარ-ხმალი არ დაგიყრია და ჩვენი სპორტი ახალ სიმაღლეებზე აიყვანე. შენი ცქერა დიდი სიამოვნება იყო“ — ეს WTA ტურის თავკაც ბარტ მაკგუაიერის სიტყვებია.

მოგვიანებით „ნიქსის“ ყოფილმა ვარსკვლავებმა — ერლ მონრომ და დეივ დებუშერმა ჭერში ასწიეს პლაკატი გრაფის სახელითა და გამარჯვების წლებით. ასეთი პატივი ასევე ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვას გარდა აქამდე მხოლოდ „ნიქსისა“ და „რეინჯერსის“ მოთამაშეებს დაუმსახურებიათ.

ცერემონიალი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ტრიბუნებიდან ერთმა ქომაგმა ხმამაღლა წამოიყვირა, ანდრე სად არისო. თავისი ახალი ბოიფრენდის, ანდრე აგასის ხსენებამ შტეფის ღიმილი მოჰგვარა.

„ალბათ, შინ არის და მიყურებს. გიჯობთ, ზედმეტად არ შეაწუხოთ — უპასუხა გერმანელმა, რომელსაც იგივე კითხვა პრესკონფერენციაზეც გაუმეორეს — ანდრემ სპორტიდან წასვლა გამიიოლა, მაგრამ ამავე დროს ჩოგბურთშიც დამაბრუნა (შტეფი ამერიკელის ყველა შეხვედრას ესწრება), რაც არ მეგონა, თუ მოხდება“.

ამჟამად რაში იყენებს მთელ ამ ენერგიას ყველაზე მებრძოლი ხასიათის მოთამაშე, ვისაც კი ოდესმე ჩოგანი სჭერია ხელთ? „ძალიან მედგრად ვიბრძვი კარტის თამაშისას“ — იყო შტეფის პასუხი.

ბოლოს ფეხზე წამომდგარ ტრიბუნებს გერმანელი ერთხელაც მიუბრუნდა: „მადლობა ყველას, ვინც ჩემი ცხოვრება ასე შესანიშნავი გახადეთ. მე თქვენ მომენატრებით“.

— ჩვენც ასევე.

# მხოლოდ ერთი და

**წლევანდელი** „ჩეიზის“ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შტეფი გრაფი ერთადერთი დანაკარგი სულაც არ არის: ერთი კვირის წინ ფეხის ტრავმის გამო ასპარეზობაზე უარი საგზის ჩემპიონმა მონიკა სელეშმა განაცხადა, სამშაბათს კი, ყველასათვის მოულოდნელად, იგივე ბედი სერენა უილიამსსაც ეწია.

ჯერ კიდევ დილით ყველაფერი წესრიგში იყო, აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი გულმოდგინედ ემზადებოდა ჩემპიონატზე თავისი დებიუტისთვის. კატასტროფა სწორედ ვარჯიშის დროს მოხდა.



სერენა უილიამსი

„ბადესთან რამდენიმე ფორჰენდის დარტყმის შემდეგ მოულოდნელად ზურგის მარცხენა ზედა მხარეს მწვავე ტკივილი ვიგრძენი. უცებ აღარც მოძრაობა შემეძლო, აღარც სირბილი, სიარული და სუნთქვაც კი თითქმის შეუძლებელი გახდა. მთელი სამი საათის მანძილზე ექიმი კეტლინ სტროია მწამლობდა, მაგრამ არაფერი მეშველა“.

სტროიას თქმით, ტკივილმა მხოლოდ რამდენიმე წუთით გაიარა. სერენას „ზურგის დისფუნქცია“ აღმოაჩნდა. დაუნიშნეს მკურნალობის კურსიც, რომელშიც ელექტრული სტიმულაცია, მასაჟი და გასაძლიერებელი ვარჯიშები შედის.

„წლევანდელი შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ და იმედი გამიცრუვდა, რომ აქ ვერ ვითამაშებ. დაუჯერებელია, რომ მაინცდამაინც ახლა დამემართა ყველაფერი. ეს შესანიშნავი სეზონი იყო, დიდი სლემის ტიტული მოვიგე და მეოთხე ჩოგანი გავხდი. იმედია, 2000-ში კიდევ მეტს მივაღწევ“ — განაცხადა სერენამ.

უმცროსი უილიამსი დაუყოვნებლივ შინ, ფლორიდაში გაემგზავრა, სადაც პირად ექიმს უნდა ეჩვენოს, მისი ადგილი კი ძირითად ბადეში კლასიფიკაციით მე-19 რუსმა ელენა ლიხოვცევამ დაიკავა.

# იღბლიანი გამარჯვებული

ნიუ იორკი. აშშ. „ჩეიზის მსოფლიოს ჩემპიონატი“. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 2 მილიონი $

მერვედფინალი: **დომინიკ ვან რუსტი** (ბელგია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:3.

სერენა უილიამსის ტრავმა ტურნირის ორგანიზატორებისთვის იქნებ დიდ თავის ტკივილადაც იქცა, მაგრამ კუბთება ამერიკელის ჯანით დაშინებულმა მეტოქეებმა შვებით ამოისუნთქეს. ყველაზე მეტად უილიამსის პირველმა მეტოქემ, ბელგიელმა დომინიკ ვან რუსტმა გაიხარა.

„როდესაც ვიღაცამ მითხრა, რომ სერენა არ ითამაშებდა, ხუმრობა მეგონა, რადგან გუშინ ვნახე და შესანიშნავად გრძნობდა თავს. ჩემთვის ეს ნამდვილი ღვთის წყალობა იყო, მე იღბლიანი გამარჯვებული ვარ“ — არ დამალა ბელგიელმა.

ვან რუსტმა შესანიშნავად ისარგებლა იმით, რომ მერვედფინალში მრისხანე ამერიკელის ნაცვლად მეტოქედ გაცილებით სუსტი და თამაშისთვის მოუმზადებელი ლიხოვცევა ერგო, რომელსაც მხოლოდ ორი საათით ადრე შეატყობინეს მოულოდნელი ამბავი.

3:2-დან ბელგიელმა ზედიზედ 8 გეიმი მოიგო, თუმცა მეორე ხელში 5:0-ით დაწინაურებული შესამჩნევად განერვიულდა, მატჩ-პოინტი გააცუდა და ზედიზედ ორჯერ საკუთარი მოწოდება დაკარგა. საბოლოოდ ვან რუსტმა მაინც იმარჯვა, თუმცა განაწყენებული არც ლიხოვცევა დარჩენილა — პირველივე წრეში წაგებისთვის მან ხომ სრულიად გაუთვალისწინებელი 30 ათასი დოლარი გაინაღდა.

**მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:5).

მსოფლიოს პირველ ჩოგან ჰინგისს გიგანტთა მმუსვრელ სანდრინ ტესტიუსთან გვარიანად გაუჭირდა. დიდი ვაივაგლახით ტაი-ბრეიკზე მოგებული პირველი ხელის შემდეგ შვეიცარიელმა თითქოს უპირატესობა მყარად იგდო ხელთ და 3:0-ამდე ერთი ქულაც უკლდა, მაგრამ რამდენიმე წუთში წინ უკვე ფრანგი გახლდათ, სეტი კი საათზე მეტხანს გაგრძელდა.

უკანა ხაზიდან მეტად აგრესიულად მოთამაშე ტესტიუ ხშირად ლამაზი დარტყმებით ითვლიდა ქულებს, კარგად აწოდებდა და მარტივ სიტუაციებში შეცდომებისკენ დამღუპველი მიდრეკილება რომ არა, გაცილებით მეტის მიღწევა შეეძლო.

ფრანგს 5:4-ზე სეტ-პოინტიც კი ჰქონდა ჰინგისის მოწოდებაზე, მაგრამ შვეიცარიელი დროზე მოეგო გონს და ხაზს გაყოლებული ბექჰენდით თავი გადაირჩინა. „იმ მომენტში თავს ვუთხარი, გთხოვ, ეს ბურთი არ ააცილომეთქი. სულაც არ მინდოდა მესამე ხელის თამაში, ამიტომ მერე ტაი-ბრეიკზე მთელი დარჩენილი ძალა მოვიკრიბე.“

ახლა მეოთხედფინალში მარტინას კიდევ ერთი ფრანგი, თავისი მომავალი მეწყვილე (ჰინგისმა ანა კურნიკოვას საგაისოდ უარი შეუთვალა ერთად თამაშზე) მარი პირსი ელის. აღსანიშნავი ისიც არის, რომ ზედიზედ მესამე წელია, პირსი და ჰინგისი სწორედ მეოთხედფინალში ხვდებიან ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**ნატალი ტოზია** (6, საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:6 (8:6).

ნატალი ტოზია WTA ტურზე ნამდვილი წარსულის გადმონაშთია: ეპოქაში, როდესაც ვარსკვლავები თინეიჯერობაში ხდებიან, 32 წლის ფრანგმა მხოლოდ ორი სეზონის წინ გამოილო ხელი, პირველად შეაღწია საუკეთესოთა ათეულში და შარშან უიმბლდონის ფინალშიც კი იასპარეზა.

თანამედროვე დიაცი ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, ტოზიას თამაშის სტილიც არქაული და უჩვეულოა: იგი ბადესთან გასვლას და ქულების იქ მოპოვებას არჩევს, რაც სწრაფ საფარზე დიდი წარმატებითაც გამოსდის. ბოლო ერთი თვის მანძილზე ფრანგმა კარიერაში მეორე და მესამე ტიტულებიც მიითვალა „გარდენის“ მსგავს სწრაფ ხალიჩაზე.

ტოზიამ მერვედფინალში ჩია სამხრეთაფრიკელ ამანდა კუტცერს პირველ სეტში აშკარად აჯობა, მეორეში კი შეცდომების მომრავლების მიუხედავადაც იმარჯვა: „მიხარია, რომ სწრაფად მოვრჩი საქმეს. ამანდასთან თამაში ძალიან ძნელია, იგი ყველა ბურთისთვის იბრძვის.“

თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე კუტცერი დიდ ძალას სულაც არ წარმოადგენს. აქ ზედიზედ მეშვიდედ მოხვედრის მიუხედავად, სამხრეთაფრიკელს 1994-დან მოყოლებული ერთი სეტიც კი არ მოუგია.

**ავთანდილ სვანიძე**



დომინიკ ვან რუსტი

REUTERS ნიუ იორკიდან



მარტინა ჰინგისი

# კინაღამ ხომ არ ითვლება

თბილისი
17 ნოემბერი

**ყოჩები — ასკ**
**45:26 (19:14)**

ყოჩები: კიკუაშვილი, ჭავჭავაძე, პაპავა, ხურცილავა, გუშარაშვილი (პეტრიაშვილი), ჭელიძე, სოფრომაძე, სულთანიშვილი, ხელაძე, ტეფნაძე, ხეხელაშვილი (მხეიძე), ბარძიმიშვილი, საკანდელიძე, წიკლაური, იურინი
7ლ — კიკუაშვილი (2), ხელაძე, პეტრიაშვილი, მხეიძე, ჭელიძე, ტექნიკური ლელო
5გ — ტეფნაძე (4), ჭელიძე
ასკ: ზ. მაისურაძე, გ. მაისურაძე, შენგელია, უჩავა, ვალიშვილი, სვანიძე, მათიაშვილი, კაკაბაძე, აბუსერიძე, მაღრაძე, კოდუა, კოლაურიძე, ზაქარიაძე, კიკნაძე, კაპანაძე
4ლ — აბუსერიძე, ზ. მაისურაძე, ვალიშვილი, კაკაბაძე
3გ — კიკნაძე (2), უჩავა
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე


ნუგზარ კოკოლაძის ფოტო
ყოჩები აუტებშიც ყოჩაღობდნენ

**გუშინ** გამართულ მატჩში უდავო ფავორიტად ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ყოჩები" ითვლებოდა. მისი მეტოქე არმიელები მხოლოდ იმით თუ იამაყებენ, რომ ოთხეულში მოხვდნენ და დიდ სამეულთან („დათვები", „ყოჩები", „ლოკომოტივი" 1) ერთად განაგრძეს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა. არმიელებს ამ მატჩამდე ჩემპიონატის ფავორიტ გუნდებთან ჭიდილში ქულაც კი არ მოეპოვებინა, წინა ტურში ბათუმში „დათვებთან" გასამართ მატჩზე გამოუცხადებლობის გამო კი ქულაც ჩამოაკლდათ. ცხადია, არც გუშინ ელოდა რაგბის გულშემატკივარი არმიელებისგან რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ მან ისეთი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, რომ კინაღამ სენსაცია მოხდა. თუმცა ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

პირველი ტაიმი სულ ერთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც არმიელმა აბუსერიძემ მოწინააღმდეგის გადაცემა ჩაჭრა, რამდენიმე მეტოქეს ცრუ მოძრაობით გასცდა და ბურთი „ყოჩების" სალელოე მოედანში მშვიდად დადო. კიკნაძემ ზუსტად გარდასახა და ასკ დაწინაურდა. ამ ეპიზოდმა თითქოს გამოაცოცხლა „ყოჩები", მაგრამ ზუსტად ორ წუთში ზვიად მაისურაძემ ისარგებლა მეტოქის მცველების შეცდომით და მოწინააღმდეგის სალელოე მოედანი მეორედ დალაშქრა. კიკნაძემ კვლავ ზუსტად გაატარა ბურთი ძელებს შორის და თავისი გუნდი უკვე სოლიდურად დააწინაურა. აქ უკვე „ყოჩების" მთავარ მწვრთნელს, მალხაზ ჭეიშვილს უმტყუნა ნერვებმა. იგი თავისი გუნდის მორაგბეებს არცთუ კორექტულად მიმართავდა. სულ სხვა ხასიათზე იყო მისი კოლეგა. მალე „ყოჩებმა" თამაში დაალაგეს, დაცვაში მჭიდროდ ათამაშდნენ და შერკინების ხარჯზე მძლავრად შეუტიეს მეტოქეს. სწორედ შერკინების კარგი თამაშის შემდეგ შეძლო კიკუაშვილმა პირველი ლელოს გატანა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ხელაძემ მეორეც მიაყოლა. ტეფნაძემ მხოლოდ ერთი გარდასახა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, ორივე გუნდი მოედნის ცენტრში ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. ერთ მომენტში არმიელი მობურთალი მეტოქეს დაუსხლტა, თითქოს ლელოს გატანას-არაფერი უკლდა, მაგრამ ხეხელაშვილი დაეწია და შებოჭა. „ყოჩებმა" ისევ ჯგუფურად შეუტიეს. შერკინება მძლავრად მიაწვა და კიკუაშვილმა თავისი მეორე, ხოლო გუნდის მესამე ლელო გაიტანა და წინ უკვე „ყოჩები" გავიდნენ. ასკ-ს უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ტაიმის მიწურულს იმავე კიკუაშვილს შეეძლო უპირატესობა გაეზარდა, მან მარტომ სცადა მეტოქის დაცვის გარღვევა, თუმცა შეტევა უშედეგოდ დასრულდა.

მეორე ნახევარში „ყოჩებმა" ტემპს უმატეს. რაც მთავარია, გააზრებულად იწყეს კომბინაციების გათამაშება. ამან შედეგი გამოიღო. ასკ-ის კართან ახლოს შერკინება დაინიშნა მცირე ხნით შეჭიდების შემდეგ.

მატჩის მთავარმა მსაჯმა მიიჩნია, რომ არმიელმა მცველმა წესების დარღვევით ითამაშა და ტექნიკური ლელო ჩათვალა. ტეფნაძემ ახლო მანძილიდან ზუსტად შეასრულა გარდასახვა. მეორე ტაიმის ნახევარი გაილია, „ყოჩებს" დაღლა დაეტყოთ. ეტყობა, მათ საკმაოდ დიდი ძალა დახარჯეს, რომ პირველ ტაიმში ჩამორჩენა აღმოეფხვრათ და შემდეგ წინ გასულიყვნენ. ამით ისარგებლა მეტოქემ. ჯერ კაკაბაძემ გაიტანა ლელო, რაც პრემიალური ქულის მომტანი აღმოჩნდა, ხოლო რამდენიმე წუთში იმავე კაკაბაძემ იგივე გაიმეორა, მაგრამ მანამდე „ყოჩები" უკვე სოლიდურად დაწინაურებულიყვნენ შეცვლაზე შემოსულმა პეტრიაშვილმა და მხეიძემ თითოჯერ დალაშქრეს ასკ-ის სალელოე მოედანი. საბოლოო წერტილი კი მატჩს ყოჩელმა ჭელიძემ დაუსვა, როდესაც თავისი გატანილი ლელო თვითონვე გარდასახა.

# სტუდენტებმა პრემია მიიღეს

თბილისი
13 ნოემბერი

**ლოკომოტივი 2 — უნივერსიტეტი**
**0:27 (0:17)**

ლოკომოტივი 2: ხინჩაგაშვილი, აფაქიძე, ჯიბლაძე, ჟღენტი, მამაიაშვილი, გიორგაძე (პაკელიანი), ჭელიძე, უდესიანი, კოტრიკაძე (ხვიჩია), ხინჩაგაშვილი, ცხადაია, სუთიაშვილი, ყაჯრიშვილი, მხეიძე
უნივერსიტეტი: ჯანუყაშვილი (ბეჟუტაშვილი), ქუთარაშვილი, ალიბეგაშვილი, რატიანიძე, წიკლაური, კოკაია, ბოლღაშვილი, მჟავანაძე (ბიძინაშვილი), დანიელია (ბარამიძე), თ. კიზირია, ჯაში, ს. კიზირია, ქირიკაშვილი, ჭუმბურიძე, ტურაშვილი
5 ლ — წიკლაური, ქუთარაშვილი, კოკაია, ბოლღაშვილი, ჭუმბურიძე
1 გ — თ. კიზირია
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: გ. აბაშიძე

**ხუთეულის** სატურნირო ცხრილში ნელ-ნელა ყველაფერი ლაგდება. გამოიკვეთა ორი ლიდერი, რომლებიც ოთხეულთან ერთად გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ. „ზორდა" და თსუ მატჩიდან მატჩამდე იუმჯობესებენ სატურნირო ვითარებას და მეტოქეებთან შედარებით თავიანთ მაღალ კლასს ადასტურებენ.

ეს 13 ნოემბრის შეხვედრაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. არც „ლოკომოტივი 2"-ის მწვრთნელს ჰქონდა რაიმე ამბიცია. ვის-ვის და მას ყველაზე კარგად მოეხსენება, რომ რკინიგზელთა მეორე გუნდი პირველის ფარმკლუბია და სათადარიგო მოთამაშეებს ამზადებს. დროდადრო მეორე გუნდის წევრები „ლოკომოტივი 1"-ის ძირითად შემადგენლობაშიც ჩნდებიან, როცა მეტოქე სუსტია და მწვრთნელი მთავარ მოთამაშეებს ასვენებს. ალბათ, თემურ ბენდიაშვილის პოზიცია გასაგები და სწორია. ის, პირველ ყოვლისა, მორაგბეების გაზრდასა და პირველი გუნდის მომავალზე ფიქრობს.

ამ მატჩის ბედიც თავიდანვე გარკვეული იყო. თსუ რომ „ლოკომოტივი 2"-ზე ძლიერია, ყველას კარგად მოეხსენება. უშუალოდ თამაში თავიდანვე სტუდენტების უპირატესობით წარიმართა. თსუ-ს ქულები სჭირდება და მოიპოვა კიდეც. მისმა მორაგბეებმა სამი უპასუხო ლელო დადეს მეტოქის სალელოე მოედანზე პირველ ტაიმში. მართალია, თორნიკე კიზირიამ მხოლოდ ერთი გარდასახვა შეასრულა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. პირველი ნახევარი ასეც დამთავრდა 0:17. მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა, პირიქით, სტუდენტებმა მონაგარს კიდევ ორი ლელო მიუმატეს და ანგარიში 0:27 გახადეს. ამან თსუ-ს აქტივს გამარჯვების ორ ქულასთან ერთად, ერთი პრემიალურიც მიუმატა.

**ბაჩო სვანიძე**


ჟან კლოდ სკრელა

# სკრელა წავიდა, გაუმარჯოს ...

**საფრანგეთის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ ჟან-კლოდ სკრელამ გადაწყვიტა კონტრაქტი აღარ გააგრძელოს. მსოფლიოს თასის ფინალში ავსტრალიასთან დამარცხებას, სკრელას თქმით, ამ გადაწყვეტილებაზე არანაირად არ უმოქმედია. იგი მაშინაც წავიდოდა, თუ ფრანგები თასს მოიპოვებდნენ. 1995 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, „მამლებს" მისი ხელმძღვანელობით საკმაო წარმატებისთვის მიუღწევიათ — ხუთი ერის პირველობაზე ზედიზედ ორი „დიდი სლემი" შეუსრულებიათ (1997 და 1998 წლებში), წლეულს კი მსოფლიოს თასზე ვერცხლის მედლები მოიგეს.

50 წლის სკრელამ თავისი გადადგომის შესახებ ორშაბათს ამცნო საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბერნარ ლაპასეს. ფართო საზოგადოებამ კი ყოველივე სამშაბათ საღამოს შეიტყო, სრფ-ს ოფიციალური კომუნიკეში ნათქვამია, რომ „ჟან-კლოდ სკრელა კვლავაც ნებისმიერ საქმეში დაეხმარება ფედერაციასა და ფრანგულ რაგბს". სხვანაირად არც იქნებოდა, სკრელას ხომ რაგბის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

სკრელას, როგორც მოთამაშის კარიერა 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო მეორეხარისხოვან კლუბ „ისლ-ჟურდენში", საიდანაც ის მალე საკმაოდ ძლიერ „ოშში" გადავიდა. 1971 წელს იგი თავისი „ცხოვრების გუნდში", „ტულუზში" ჩაირიცხა. სწორედ ამის მერე მიიწვიეს სკრელა პირველად საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში. „მამლების" შემადგენლობაში პირველი კეპი მან სამხრეთ აფრიკასთან მოიხვეჭა, საერთოდ კი 1978 წლამდე 46-ჯერ დაიცვა თავისი ქვეყნის ღირსება საერთაშორისო მატჩებში.

სპეციალისტები ჟან-კლოდ სკრელას 70-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო სამმეოთხედელად თვლიან. საფრანგეთმა რომ 1977 წელს „დიდი სლემი" მოიპოვა, მისი დიდი დამსახურებაცაა. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ იგი „ტულუზის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და ამ პოსტზე 1992 წლამდე დარჩა. ამ ხნის მანძილზე „ტულუზი" სამჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. შემდეგ კი სკრელა ეროვნულ ნაკრებში გადავიდა, რომლის მთავარი მწვრთნელიც 1995 წელს გახდა.

ახლა ეს პოსტი თავისუფალია და ის ხალხიც გამოჩნდა, ვისაც მისი დაკავება შეუძლია. სკრელას თანაშემწე პიერ ვილეპრე, წესით, მთავარი კანდიდატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მანაც განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ, რადგან ტექნიკური დირექტორის თანამდებობა შესთავაზეს. ნაკრების მენეჯერ ჟო მაზოს დაწინაურებაც გამორიცხულია, ის თავის ადგილზე დარჩება.

ასე რომ, „მამლების" მთავარი მწვრთნელი ნაკრებს გარეთაა საძებნი. ფრანგული პრესის აზრით, ყველაზე რეალური კანდიდატი პარიზული „სტად ფრანსეს" დამრიგებელი ბერნარ ლაპორტია. მას, მართალია, თავის ახლანდელ კლუბთან კიდევ ხუთწლიანი (2004 წლამდე) კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ დედაქალაქელთა პრეზიდენტი მაქს გაზინი, რომელიც ამავდროულად რადიო „ენერჟის" მფლობელიცაა, ამბობს, ვინ შეუშლის ხელს იმას, ვინც ასეთი პატივის ღირსი გახდებაო. თანაც ბატონი გაზინი ბერნარ ლაპასეს საკმაოდ ახლო მეგობარი ყოფილა და ძნელი საფიქრებელია, საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა მისი დაყოლიება ვერ შეძლოს.

თუმცა ლაპორტი „მამლების" სათავეში შეიძლება სეზონის დამთავრებამდე ვერც ვიხილოთ, რადგან გაზინის მისი დაუყოვნებლივ გაშვება დიდად არ ეპიტნავება. „ბერნარს ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კარგი შანსები აქვს. თუ იგი წავა, ჩვენს კლუბს ცვლილებები ელის. „სტად ფრანსეს" ახალი თავკაცის პოვნას დრო სჭირდება. ამიტომ ლაპორტს ჩვენთან ერთად ჩემპიონატის დასრულება უნდა ადროვონ" — თქვა პარიზული კლუბის პრეზიდენტმა.

ლაპორტის გარდა „მამლების" გაწვრთნის შანსი კიდევ რამდენიმე კაცს აქვს. მათ შორის არიან 70-იანი წლების საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი და შერკინების ნახევარმცველი რიშარ ასტრი და მსოფლიოში ყველაზე მეტი კეპის მომხვეჭი ფილიპ სელა, ვინაც მოთამაშეობისას ასტრის მსგავსად არაერთხელ ყოფილა „მამლების" კაპიტანი.

საბოლოო სიტყვა ახლა საფრანგეთის რაგბის კავშირზეა. მისი პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს ამცნობს საზოგადოებას ფრანგული რაგბის მამების გადაწყვეტილებას.

**გაიოზ თალაქვაძე**

# გიყვარდეს ფულზე მეტად!

**ახალზელანდიელთა** ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე, სამმეოთხედელი ჯონა ლომუ, ვინაც ახლახან დამთავრებულ მსოფლიოს თასზე ყველაზე მეტი, რვა ლელო გაიტანა, კარიერას თავის ქვეყანაში გააგრძელებს. მთაკაცის გადაბირება ბევრ ევროპულ კლუბს სურდა, მაგრამ ლომუმ „შავების" შემადგენლობაში თამაში საეჭვო არ გახადა და ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ყველაფერი ეს კვირას გაირკვა, როცა 1995 წლის მსოფლიოს თასის საუკეთესო მორაგბე ოკლენდში დაბრუნდა.

მისმა აგენტმა ოკლენდის აეროპორტში სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე კრინტიც არ დაძრა. თუმცა, ახალზელანდიური რადიოს ცნობით, ლომუ ქვეყნის რაგბის ფედერაციისგან იმაზე ნაკლებ თანხას მიიღებს, ვიდრე მას ინგლისური „უეიკფილდ ტრინიტი" სთავაზობდა. ცამეტკაცა რაგბიში საკმაოდ სახელდაგდებული ეს კლუბი მზად იყო, ლომუსთვის ორ წელიწადში მილიონნახევარი ამერიკული დოლარი გადაეხადა. ერთ-ერთმა საუკეთესო „შავმა" ასევე უარით გაისტუმრა ჩვეულებრივი რაგბის რამდენიმე ევროპული კლუბი, რომელთაგან ყველაზე მეტად ინგლისური „ბრისტოლი" და „ლონდონ ირიში" აქტიურობდნენ.

„შავების" შემადგენლობაში თამაშის გაგრძელების სურვილმა ფულის შოვნის სურვილს აჯობა. საფრანგეთთან და სამხრეთ აფრიკასთან დამარცხების შემდეგ ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითობა იყო და ახალი ზელანდია მსოფლიოში უძლიერესია. ხოლო ფულისთვის რომ მეთამაშა, ახლა აქ არ ვიქნებოდი" — განუცხადა ჟურნალისტებს 24 წლის ლომუმ, რომელიც თავის 20 წლის მეუღლე ტინა სტეისთან ერთად ამიერიდან ველინგტონში გადადის საცხოვრებლად.

რაც შეეხება „ოლ ბლექსის" ფრთის მომავალ კლუბს, ის, სავარაუდოდ, „ველინგტონ ჰარიკენსი" იქნება, რომელიც ზე 12-ის ჩემპიონატში მონაწილეობს. თუმცა ლომუს საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში შევიტყობთ.

**გაგი გურული**


ჯონა ლომუ ხარბი კაცი არ ყოფილა

# ათენში გამოჩნდება, რისი შემძლენი ვართ



გიორგი ასანიძე

22 ნოემბერს იწყება მსოფლიოს პირველობა ძალოსნობაში. ათენში 70 ქვეყნის 800-მდე წარმომადგენელი შეიკრიბება. ეს იქნება ყველაზე ხალხმრავალი მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობის ისტორიაში. მამაკაცების გარდა, ქალებიც შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს ჩემპიონატი ბოლო ასეთი ტურნირია 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადამდე. ვნებებს ისიც აძლიერებს, რომ მედლებთან ერთად საოლიმპიადო ლიცენზიებიც გათამაშდება. გუნდი იმ შემთხვევაში მიიღებს მას, თუ 17 საუკეთესოში მოხვდება. დაგვეთანხმებით, ამდენ მონაწილეს შორის ასეთი შედეგის მიღწევა ადვილი ნამდვილად არ იქნება.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები ათენში 6 კაცით წარდგება. ეს არის მაქსიმუმი, რაც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ შეძლო. გუნდი ფასანაურის ბაზაზე ემზადებოდა და ყველანაირი პირობები ჰქონდა სავარჯიშოდ — კვება, გათბობა, ცხელი წყალი, სუფთა ჰაერი. ამიტომაც იყო, რომ გიორგი ასანიძე და მუხრან გოგია პოლონეთიდან ჩამოსვლისთანავე გაემგზავრნენ ფასანაურში. თბილისში ნაკრებიდან მხოლოდ ალეკო ნოზაძე იყო, რომელიც თავისი მწვრთნელის, ზურაბ ანთაურის ზედამხედველობით ვარჯიშობს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი და ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელი რამაზ გურგენიძე კი საორგანიზაციო საქმეებს აგვარებს და ჩვენთვის ვერ მოიცალა. სამაგიეროდ, ზურაბ ანთაური საუბარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. მისი თქმით, ნაკრების ხელმძღვანელობა კმაყოფილია თავისი სპორტსმენების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადყოფნით. საერთოდ, ქართველი ძალოსნები ვარჯიშებზე ისეთ შედეგებს აჩვენებენ, რომ თუ ფსიქოლოგიურად ივარგეს, ნამდვილად საპრიზო ადგილებს დაიკავებენ. მართალია, ზოგ მათგანს ტექნიკური ხარვეზი შეენიშნა, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. მთავარია, ძალოსნებმა ფიზიკური და სულიერი სიმხნევე ჩემპიონატამდე შეინარჩუნონ.

ზურაბ ანთაურის დახმარებით შევეცადეთ, თითოეული სპორტსმენი დაგვეხასიათებინა, რასაც ახლა გთავაზობთ:

**გიორგი ასანიძე** *(85 კგ) — დაიბადა 1975 წელს საჩხერეში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია. ცოლშვილიანი. 1997 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი, 1998 წელს ფინეთის ქალაქ ლახტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე (77 კგ წონით კატეგორიაში) დაამყარა მსოფლიოს რეკორდი ატაცში (167,5 კგ).*

— გუნდის სული და გული, რომ იტყვიან, ნამდვილი ლიდერი. უაღრესად შრომისმოყვარე და მონდომებული. სწორედ ამ თვისებამ შეაძლებინა გიორგი ასანიძეს, უმაღლესი კლასის სპორტსმენად ჩამოყალიბებულიყო. ჩინებულ ფორმაშია და მედალზეც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს.

**მუხრან გოგია** *(105 კგ) — დაიბადა 1971 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი. მონაწილეობდა ატლანტის ოლიმპიადაში.*

— მხოლოდ დასანანი ტრავმის გამო ვერ შეძლო ფიცარნაგზე გასვლა ატლანტაში. უაღრესად ნიჭიერი სპორტსმენი, თუმცა როგორც ბევრ მძიმეწონოსანს,რეჟიმის დაცვა ცოტა კი უჭირს, მაგრამ ტურნირების მოახლოებისას გაათკეცებული ენერგიითა და დატვირთვით იწყებს ვარჯიშს. დღესდღეობით შესანიშნავ ფორმაშია, თუმცა მაჯის მცირე ტრავმა, აწუხებს. იგიც საპრიზო ადგილების ერთ-ერთი პრეტენდენტია.

**ვალერი სარავა** *(105 კგ) — დაიბადა 1978 წელს ქუთაისში. სწავლობს ქუთაისის იურიდიული ინსტიტუტში. თექვსმეტწლამდელთა ევროპის პირველობის მეორე პრიზიორი. ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი ატაცში.*

— უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა. ყველაზე დისციპლინიანი სპორტსმენი ნაკრების შემადგენლობაში. რეჟიმს არასოდეს არღვევს და ყოველთვის თავგამოდებით ვარჯიშობს. მწვრთნელებს, როგორც წესი, მასთან მუშაობისას არავითარი პრობლემა არ ექმნებათ. დათო პავლიაშვილთან ერთად ყველაზე ახალგაზრდაა გუნდში.

**ალეკო ნოზაძე** *(მძიმე წონა) — დაიბადა 1976 წელს თბილისში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია. ორჯერ მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის ექვსეულში მოხვდა, ევროპის პირველობაზე მეოთხე-მეხუთე ადგილები დაიკავა. მსოფლიოს თასის ორი ეტაპის გამარჯვებული. საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი და გამარჯვებული.*

— ნაკრების ფიზიკურად ყველაზე ძლიერი წევრი. ძალიან ტექნიკური და გამრჯე ძალოსანი, მაგრამ ქრონიკულად აწუხებს ტრავმები, უფრო ხშირად წელს იტკივებს. ცოტა არ იყოს, გაუფრთხილებლად იქცევა მძიმე წონებით ვარჯიშისას და ამან არაერთხელ აზარალა. ამ მხრივ ყველაზე უიღბლო, საერთოდ კი ძალიან პერსპექტიული და უდიდესი პოტენციალის მქონე. თუ თავის „სენს" მოერია, უეჭველად მსოფლიოს მოწინავე მძიმეწონოსანთა შორის დამკვიდრდება.



მუხრან გოგია

**გიორგი კობალაძე** *(მძიმე წონა) — დაიბადა 1976 წელს ცხინვალში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია.*

— ძალიან ძლიერია ფიზიკურად. მისი სავარჯიშო პროგრამა ერთ-ერთი „უმძიმესია". ნამდვილად შეყვარებულია ძალოსნობაზე. ამაში ოჯახური ტრადიციებიც უწყობს ხელს. მამამისი საკმაოდ ცნობილი ძალოსანი იყო. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დახვეწოს, რაზეც დაუღალავად მუშაობს. მისი ყველაზე სუსტი ადგილია ხელები. ვარჯიშობს ძალიან მძიმე წონებით. მაგალითად, მკერდზე იდებს 245 კგ-ს, მაგრამ მერე უჭირს. მწვრთნელების დახმარებით, ალბათ, მალე ამასაც დასძლევს.

**დავით პავლიაშვილი** *(62 კგ) — დაიბადა 1978 წელს თბილისში. სწავლობს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში.*

— ყველაზე გამოუცდელი ძალოსანი საქართველოს ნაკრებში. ეს მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვის მშვენიერი გაკვეთილი იქნება. თუ ვერაფერს მიაღწია, ფსიქოლოგიურად მაინც გამოიწრთობა.

რაც შეეხება ნაკრების გეგმებს, ათენში მძიმე და დაძაბული ბრძოლა გველის. მიუხედავად ამისა, ნაკრების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მთავარი ძალა — გიორგი ასანიძე და მუხრან გოგია გულშემატკივრებს არ გააწბილებენ. ასანიძე მედალს გეგმავს რომელიმე მოძრაობაში, თუ ერთზე მეტსაც მოიგებს, ამას რა აჯობებს. დანარჩენები საუკეთესო ათეულში მაინც უნდა მოხვდნენ, რათა გუნდმა პროგრამა-მინიმუმი — 5 ლიცენზიის მოპოვება შეასრულოს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე ყველა გუნდის ძირითადი ამოცანაც ეს იქნება. საერთოდ, საბერძნეთში ძალიან ძლიერი ძალოსნები მოიყრიან თავს. ტრადიციულად ძლიერი გუნდი ეყოლებათ ბულგარეთს, თურქეთს, ჩინეთს. რუსეთს ჰყავს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი სპორტსმენები — პეტროვი (95 კგ) და ჩიმირკინი (მძიმე წონა), რომლებიც ჩვენი ძალოსნების უპირველესი კონკურენტები იქნებიან. პოლონეთის ნაკრებშია ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ძალოსანი კოლეცკი (94 კგ). გამოსარჩევია საბერძნეთის გუნდი. იგი, მართალია, ძირითადად უცხოელი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ შეჯიბრზე წარმომადგენლობაა მთავარი, წარმომავლობას არავის ეკითხებიან. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატი ათენში ტარდება, საბერძნეთის ნაკრები ყველასთვის უხერხული მეტოქე იქნება, მისი ძალოსნები კი ჩემპიონის ტიტულის პირველი პრეტენდენტები.

ჩვენი ძალოსნები კახი კახიაშვილსაც უქომაგებენ, რომელიც აუცილებლად იბრძოლებს მსოფლიოში უძლიერესის სახელისთვის. იგი მართლაც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რას შეიძლება მიაღწიოს მონდომებულმა და მიზანდასახულმა კაცმა. ახალგაზრდა ძალოსნებისთვის ნამდვილად მისაბაძია კახიაშვილის სპორტული ცხოვრება. ვნახოთ, ეგებ ამ ჩემპიონატმა წარმოაჩინოს კიდეც ახალი კახიაშვილი. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს, რომ ქართველი სპორტსმენები თავს არ შეირცხვენენ და სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე საქართველოსაც ეყოლება თავისი ძალოსანთა გუნდი.

**ზაზა ბენიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიონ ჯონსმა ფეხი აიდგა

ამერიკელმა მარიონ ჯონსმა გააწბილა და დაალონა გულშემატკივრები ამ ზაფხულს სევილიაში გამართულ მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ოთხი ოქროს მედლის მოპოვებასვარაუდობდა, მაგრამ, მხოლოდ თითო I და III ადგილი დაიკავა.

მერე რაც მოხდა, ყველამ იცის — 200 მეტრზე რბენისას მან ზურგზე ტკივილი იგრძნო და დავარდა, საათნახევრის განმავლობაში ტკივილი ვეღარ გაუყუჩეს.

ზურგის კუნთის დაჭიმულობა გვერდითი თანმდევი პროცესებით — ასეთი იყო დიაგნოზი.

როგორც მარიონი ამბობს, იმ ტრავმისას ეგონა, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრდა არა მხოლოდ სევილიაში, არამედ სამომავლოდაც. მან ოთხკვირანახევრით მართლაც დაივიწყა ვარჯიში, ერთი თვის წინათ კი კაროლინის შტატის უნივერსიტეტის სპორტულ ბაზაზე მოლზე ხტუნაობა დაიწყო, ორი კვირის მერე უკვე სარბენ ბილიკებზეც განაახლა ვარჯიში.

— ვარჯიში რომ დავიწყე, ჩემთვის მთავარი იყო დამევიწყებინა ტრავმა, საკუთარი თავისთვის ჩამენერგა რწმენა, რომ არაფერი მაწუხებს, თავს კარგად ვგრძნობ და გასაფრთხილებელიც არაფერი მაქვს — იხსენებს ჯონსი — ბალახზე ხტუნაობა რომ დავიწყე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, როგორც ალბათ, ახალფეხადგმულ ბავშვებს აქვთ. თუმცა, ყველანი მაფრთხილებდნენ, რომ ეს მოსალოდნელიც იყო.

როგორც თავად ამბობს, სევილიაში დაშავებამ და ხელის მოცარვამ მას უფრო მეტად აუშალა სალღერღელი და ოპტიმიზმიც დაუფლებია, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ხუთ ოქროს მედალს მოიპოვებს. იგი ჩემპიონობას აპირებს 100 და 200 მეტრზე რბენაში, 4X100 და 4X200 მეტრზე ესტაფეტებში და სიგრძეზე ხტომაში.

— მაგრამ სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებისთვის მომიწევს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომელსაც ჯერ კიდევ ჩემს ტექნიკურ მომზადებაში ვხედავ. მჯერა, მიზანს მივაღწევ — თქვა ჯონსმა.

მანამდე კი მარიონი ნელ-ნელა, ეტაპობრივად მოემზადება სასიდნეოდ. ამ მიზნით იგი აპირებს იასპარეზოს „ოქროს ლიგის" ერთ-ორ ტურნირზე, თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტია, კერძოდ რომელ ასპარეზობაში. ერთი კი მისთვის და მისი მწვრთნელისა და მეუღლის ტრევორ გრეჰემისთვის ახლავე ნათელია, რომ ისინი ევროპული ტურნირების ყველა ეტაპზე არ გამოვლენ.

**გიგა გურასაშვილი**

# დოპინგი და ბებრები

მძლეოსნობა და დოპინგი ბოლო ხანებში ერთმანეთისგან განუყოფელნი არიან. თვე არ გაივლის, რომელიმე სპორტსმენი აკრძალული ნივთიერების ხმარებაში არ გამოიჭირონ, ან მოგვიანებით მისი უდანაშაულობა არ დაამტკიცონ.

სახელოვანი სპრინტერი, 31 წლის მერლინ ოტი 5 ივლისს შვეიცარიულ ლუცერნში სტეროიდ ნანდროლონით გაჭყეპვაში ამხილეს. ის, რომ შეცდომა და შემთხვევითობა არაფერი ყოფილა, განმეორებითმა დადებითმა ტესტმაც დაადასტურა.

მაგრამ რად გინდა, ერთი კვირის წინ იამაიკის სამოყვარულო მძლეოსნური ასოციაციის კომისიამ თანამემამულეს ყველა ბრალდება მოუხსნა და უდანაშაულოდ გამოაცხადა. გადაწყვეტილება თავად ასოციაციის პრეზიდენტის, ედრიან უოლესისთვისაც კი მოულოდნელი იყო: „საინტერესოა, როგორ მივიდა კომისია ამ დასკვნამდე. დარწმუნებული ვარ, მომხდარის დეტალებს საერთაშორისო ფედერაცია დიდ ყურადღებას დაუთმობს".

სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას (IAAF) გამოხმაურება არ დაუგვიანებია. „როგორც ყოველთვის, ამ გადაწყვეტილებას ჩვენი ანტისადოპინგო კომიტეტი განიხილავს. როდესაც დოკუმენტს მოგვაწვდიან, ჩვენ შევისწავლით, რამდენად სამართლიანია იგი. კომიტეტი ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას ღებულობს, იმის მიუხედავად, რომელ სპორტსმენს ეხება იგი" — განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა ჯორჯო რაინერიმ მონაკოს შტაბბინიდან.

ოტი კი მართლაც ფრიად ღვაწლმოსილი მძლეოსანია — იამაიკელი დიაცის ანგარიშზე 7 ოლიმპიური და სარეკორდო, 14 მსოფლიოს ჩემპიონატების მედალია. ვეტერანი ყოველთვის უარყოფდა აკრძალული პრეპარატების მიღებას და, როგორც ეტყობა, თანამემამულეებმაც დაუჯერეს.

აი, ბენ ჯონსონის ისედაც შელახულ რეპუტაციას კი კიდევ ერთი ლაქა მოეცხო: კანადელმა სპრინტერმა კიდევ, ერთი, ნებაყოფლობითი დოპინგტესტიც ჩააფლავა.

38 წლის მძლეოსანს IAAF-მა 1993 წელს სამუდამოდ აუკრძალა ასპარეზობა და წლეულს იგივე ორგანიზაციასთან სააპელაციო პროცესიც წააგო, მაგრამ ის მაინც ვარჯიშობს და იმედოვნებს, რომ დიდ სპორტს დაუბრუნდება.

ამჯერად ჯონსონი კანადის სპორტული ეთიკის ცენტრმა ამხილა აკრძალული დიურეტიკის ხმარებაში. თუმცა სპორტსმენის აგენტი მორის ქრობოტეკი ირწმუნება, რომ პრეპარატი მისმა კლიენტმა ტკივილების გასაყუჩებლად მიიღო.

„როგორ შეიძლება ითაღლითო, როდესაც სირბილის უფლებაც კი არ გაქვს?" — აცხადებს აგენტი, თუმცა ყველაფერს ძაღლის კუდის სუნი უდის, რომელიც არასდროს გასწორდება.

დიურეტიკების ხმარება აკრძალული იმიტომაა, რომ ისინი სხვა, აკრძალული პრეპარატების კვალს ფარავენ.

**ქახა არჯევანიძე**

## კრივი

# ქამარი პატრონს ჩაბარდა

## ფედერაციამ უკან დაიხია


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენოქს ლუისმა ნაცლული ქამარიც ირგუნა

ალბათ, სკანდალი აღარ იქნება. ლენოქს ლუისმა და მისმა ბანაკმა დაიბრუნეს საბანკო ანგარიშებში გაუგებრობის გამო ვერგათამაშებული ფედერაციის (იბფ) ქამარი.

შეგახსენებთ, რომ ფედერაციამ თავისი ქამარი საჩემპიონო ბრძოლიდან მოხსნა იმის მომიზეზებით, რომ ლუისის ბანაკმა მის ანგარიშზე არ გადარიცხა საკომისიო თანხა — 300 ათასი დოლარი.

ამის პასუხად, ლუისის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა ტელეკამერების წინ აafრიალა გადარიცხვის ქაღალდი. სკანდალი იმგვარად აგორდა, რომ ლუისის ადვოკატებმა ამერიკის გენერალურ პროკურორთან შესვლა გადაწყვიტეს. მაგრამ ამ დიდმოხელის სანაცვლოდ ისინი ფედერაციის ადვოკატებს შეხვდნენ და კონსტრუქციული დიალოგის შედეგად გამოცხადდა — ლენოქს ლუისი ფედერაციის ჩემპიონიცაა.

„ყველაფერი გაირკვა“ — თქვა მელოუნმა— „ახლა ლენოქსი ნაღდადაა ყველა მთავარი ქამრის მფლობელი“.

დაგეგმილია, რომ ფედერაცია ამ შაბათს ატლანტიკ სიტიში გადასცემს ქამარს ლუისს. ეს მოხდება ერთ იქაურ დარბაზში პოლონელი ანჯეი გოლოტასა და ნიუიორკელი მაიკლ გრანტის ორთაბრძოლის წინ.

ამასობაში კი უკვე გამოცხადდა, რომ თავის პირველი ტიტულის დამცველ ბრძოლას ლუისი ლონდონის „მილენიუმ დაუმში“ გამართავს. ყოველ შემთხვევაში, ასე სურს თავად და ასე სურს ინგლისურ მედიას. პირველ მოცილეთა სახელებიც აქა-იქ გამოჩნდა. ასოციაციის (ვბა) ქამრისთვის პირველი პრეტენდენტი ნიგერიელ-ბრიტანელი ჰენრი აკინვანდე გამოდგა. მაგრამ მელოუნი ცდილობს, რომ გადაათქმევინოს ასოციაციის უფროსებს ლუისის ამ ვირგლასთან შეხვედრა. ისინი ადრეც შებმულან და აკინვანდეს მიზეზით ბრძოლა უინტერესო გამოსულა. ეს უკანასკნელი ჭიდაობასა და გამუდმებულ ბოჭვაზე გადავიდა და მსაჯებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს, გამარჯვება კი ლუისს მიაკუთვნეს.

„ხალხი არ იყიდის მათი ბრძოლის ცქერის უფლებას“ — შიშობს ლუისის ბერძენი მენეჯერი პანოს ელიადისი — „ვის რაში აინტერესებს მობლლარძუნე კაცთან კრივი?“

მთავარი ამბავი კი მოგვარებულია.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

## ჰოკეი

# იაგრს სტკივა



სანხოსელთა მეკარე მაიკ ვერნონი მონრეალელებმა ბევრით ვერაფრით შეაწუხეს

16 ნოემბერი

**პიტსბურგი — ბუფალო 3:2**

3:1 0:1 0:0

1:0 ტიტოვი 10'12 (4); 2:0 კოვალიოვი 11'30 (7); 3:0 ბარნაბი 13'16 (1); 3:1 შატანი 18'5 (9); 3:2 ჰოლცინგერი 36'27 (2)

პიტსბურგს განსაცდელის ჟამი უდგას. ბუფალოსთან მატჩის პირველივე წუთებზე სუპერფორვარდმა იარომირ იაგრმა მრავალჯერ ატკიებული საზარდული კვლავ იტკინა და ყინულზე ველარ დაბრუნდა (ამ ქრონიკული ტრავმის გამო 1994-98 წლების სეზონებში ჩეხმა საბოლოო ჯამში 27 თამაში გამოტოვა). იმედია, იაგრის არყოფნა დიდხანს არ გაგრძელდება, ხოლო მისი პარტნიორები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ამ დანაკრგმა გუნდზე რაც შეიძლება ნაკლები ზეგავლენა იქონიოს. როგორც ეს ხშირად ხდება, ლიდერის გამოკლებას სასიკეთო ეფექტი მოჰყვა და მასპინძლებმა პირველ პერიოდშივე სამჯერ გაიტანეს, შემდეგ კი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს სასურველი ანგარიში. იაგრს, სამწუხაროდ, მისთვის სარეკორდო თხუთმეტმატჩიანი შედეგიანი სერია შეუწყდა, კლუბის მიერ შეგდებული 51 შაიბიდან ხომ 65 პროცენტი (!) ან მისი გოლი იყო, ანაც პასი.

**მონრეალი — სან ხოსე 1:4**

1:1 0:1 0:2

1:0 დაიჰიუსი 3'42 (1); 1:1 კოროლიუკი 4'46 (7); 1:2 ნოლანი 27'26 (13); 1:3 სატერი 51'01 (3); 1:4 ნოლანი 54'47 (14)

ვენსან დამფუსი კმაყოფილი უნდა იყოს. შარშან მონრეალიდან სან ხოსეში გადასული ფორვარდი ტრიუმფით დაბრუნდა მისთვის კარგად ცნობილ „მოლსონ სენტრში“ და ორი პასით თავის გუნდს კიდევ ერთი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. განსაკუთრებით კარგი მეორე გამოდგა — სნაიპერთა დავაში ერთ-ერთ დაწინაურებულ ოუენ ნოლანს პრაქტიკულად მეტი აღარაფერი დარჩენოდა და მხოლოდ ცარიელ კარში შეაცურა შაიბა. ერთობ ნიშანდობლივია, რომ სან ხოსე დამფუსის მოსვლის შემდეგ მომძლავრდა, მისი ყოფილი გუნდი კი რა დღეშია, ამაზე კანადელთა სატურნირო მდგომარეობა მეტყველებს.

**ფინიქსი — კალგარი 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 ლეტოვსკი 18'31 (4); 2:0 რენიკი 20'18 (8); 2:1 ალბელინი 53'06 (3)

ფინიქსი ბოლო რვა მატჩში კალგარის არანაირ შანსს არ უტოვებს (+6=2-0), ხოლო „ალებმა“ ჯერჯერობით ძირითად დროში დასრულებული ყველა 11 (!) თამაში წააგეს.

**ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 3:2**

2:0 1:0 0:2

1:0 ციპლაკოვი 7'05 (3); 2:0 სმოლინსკი 7'43 (6); 3:0 ოდეტი 31'27 (8); 3:1 დაზე 56'36 (7); 3:2 ამონტე 59'01 (9)

სტუმრებს თითქოს ის-ის იყო, ლოსანჯელესელებთან ასპარეზობაში ნავსი უნდა გაეტეხათ — მესამე პერიოდში მათ დარტყმებით 23-1 (!) აჯობეს „მეფეებს“, მაგრამ მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლეს.

### სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 18 | 12 1 | 1 | 5 | 55:37 | 26 |
| ტორონტო | 20 | 11 3 | 1 | 6 | 58:40 | 26 |
| ბოსტონი | 18 | 8 4 | 0 | 6 | 48:43 | 20 |
| ბუფალო | 19 | 7 2 | 0 | 10 | 50:56 | 16 |
| მონრეალი | 19 | 5 1 | 1 | 13 | 37:49 | 12 |

| ატლანტა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 19 | 10 | 2 | 1 | 7 | 56:45 | 23 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 9 | 2 | 1 | 6 | 46:40 | 21 |
| რეინჯერსი | 19 | 6 | 3 | 0 | 10 | 54:55 | 15 |
| პიტსბურგი | 16 | 5 | 3 | 2 | 8 | 54:55 | 15 |
| აილენდერსი | 15 | 4 | 2 | 0 | 9 | 29:46 | 10 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 17 | 9 | 2 | 2 | 6 | 49:41 | 22 |
| კაროლინა | 17 | 7 | 3 | 0 | 7 | 41:46 | 17 |
| ვაშინგტონი | 16 | 6 | 2 | 1 | 8 | 43:51 | 15 |
| ტამპა | 16 | 6 | 1 | 1 | 9 | 45:52 | 14 |
| ატლანტა | 15 | 3 | 2 | 1 | 10 | 32:56 | 9 |

| ცენტრი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 18 | 11 | 3 | 1 | 4 | 58:39 | 26 |
| სენტ ლუისი | 17 | 10 | 1 | 0 | 6 | 53:41 | 21 |
| ნეშვილი | 16 | 6 | 1 | 1 | 9 | 39:51 | 14 |
| ჩიკაგო | 18 | 4 | 1 | 1 | 10 | 46:56 | 13 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 18 | 9 | 4 | 1 | 5 | 55:53 | 23 |
| კოლორადო | 18 | 8 | 3 | 1 | 7 | 51:48 | 20 |
| ედმონტონი | 18 | 5 | 5 | 3 | 8 | 45:46 | 18 |
| კალგარი | 18 | 5 | 2 | 0 | 11 | 43:65 | 12 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოს ანჯელესი | 20 | 12 | 4 | 0 | 4 | 65:50 | 28 |
| სან ხოსე | 23 | 12 | 2 | 1 | 9 | 69:58 | 27 |
| ფინიქსი | 19 | 10 | 3 | 0 | 6 | 58:49 | 23 |
| ანაჰაიმი | 19 | 8 | 2 | 1 | 9 | 50:48 | 19 |
| დალასი | 17 | 8 | 1 | 0 | 8 | 38:41 | 17 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი*

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 33 (14+19); ნოლანი (სან ხოსე) 30 (14+16); რეკი (ფილადელფია) 26 (8+18); ბონკი (ოტავა) და პალფი (ლოს ანჯელესი) 22 (9+13); დამფუსი (სან ხოსე) 22 (6+16); ვ. ბური (კალგარი) 21 (12+9); ტარჯონი (სენტ ლუისი) და ფრიზენი (სან ხოსე) 21 (10+11); სელიანე (ანაჰაიმი) 21 (8+13); გრინი (ფინიქსი) 20 (11+9); სავაჟი (მონრეალი) 19 (12+7); კაპანენი (კაროლინა) და კარია (ანაჰაიმი) 19 (9+10); უიტნი (ფლორიდა) 19 (8+11)*

*მცველები: ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 17 (8+9); ჰაუსლი (კალგარი) 15 (4+11); შვეჰლა (ფლორიდა) და ბურკი (ბოსტონი) 14 (3+11); ოზოლინში (კოლორადო) და ზუბოვი (დალასი) 13 (3+10); დესჟარდენი (ფილადელფია) 12 (6+6); პრონგერი (სენტ ლუისი) და სუტერი (სან ხოსე) 12 (2+10); ლილისტრიომი (დეტროიტი) და ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) 11 (4+7)*

*ახალბედები: გომესი (ნიუ ჯერსი) 18 (3+15); შეფერი (ვანკუვერი) 15 (7+8); ტანგე (კოლორადო) 12 (5+7); ჰეხტი (სენტ ლუისი) 12 (3+9); იორკი (რეინჯერსი) 11 (7+4); ს. კარია (ვანკუვერი) 10 (5+5); ბუზეკი (ატლანტა) 9 (4+5); სტიუარტი (სან ხოსე) 9 (3+6); რაფალსკი (ნიუ ჯერსი) 9 (1+8); ლეტოვსკი (ფინიქსი) 8 (4+4)*

# ვინ მისცა კოივუს ბედი...

მონრეალის პლეიმეიკერ საკუ კოივუს თამამად შეიძლება ვუწოდოთ 90-იანი წლების მეორე ნახევრის ყველაზე უიღბლო მოთამაშე. ერთობ ტექნიკურმა და ძალისმიერ ბრძოლაში სხარტად მოთამაშე ფინელმა ვერა და ვერ გამოამჟღავნა თავის შესაძლებლობები, რისი მიზეზიც ხშირი და ქრონიკული ტრავმები გახლავთ. თუნდაც წლევანდელი სეზონი ავიღოთ. დასაწყისში კოივუ ჩინებულად გამოიყურებოდა, ბრაიან სავაჟთან ერთად ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო დუეტს ქმნიდა, მაგრამ მხრის ტრავმის გამო ხუთი თამაში გამოტოვა. შაბათს ატლანტასთან მატჩში ნატკენი მხარი კვლავ დაიზიანა და ამჯერად გაცილებით დიდი ხნით გამოეთიშა ასპარეზობას. ექიმების თქმით, მას აუცილებლად ოპერაცია სჭირდება, აღდგენითი პერიოდი კი სამ თვეს გასტანს. ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი მონრეალისთვის, რომელსაც დღესდღეობით კიდევ ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლია, ეს ფაქტობრივად ფარ-ხმლის დაყრას ნიშანვს.

აღსანიშნავია, რომ ნჰლ-ის სტანდარტებით ჩია კოივუ (179 სმ, 75 კგ) მეხუთე სეზონია, ლიგაში ასპარეზობს და მხოლოდ ერთში, სადებიუტოში გადაურჩა ტრავმებს.

# მაკლერს აღარ მნდობიან

როცა ერთ-ერთ ვარჯიშზე შესწრებულმა ჟურნალისტმა რეინჯერსის მწვრთნელ ჯონ მაკლერს ალალად უთხრა, მგონი, მალე ცა თავზე დაგექცევათო, თავკაცმა ირონიულად უპასუხა: „ყველაფერი მოსალოდნელია“. თუმც დღესდღეობით მაკლერს ხუმრობისთვის არ სცალია. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, მას საცაა, დაითხოვენ და ეს შეიძლება სულ მალე მოხდეს. მართალია, მაკლერს გუნდის მთავარ მენეჯერ ნეილ სმიტთან მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს, მაგრამ საქმეც ხომ უნდა გაკეთდეს. კლუბის სატურნირო მდგომარეობაზე მეტად გაოცებას ის იწვევს, თუ რაოდენ გულგრილად ირჯებიან ნიუიორკელები ყინულზე. და ეს მაშინ, როცა რეინჯერსმა მწვრთნელის მოწადინებით მილიონები დახარჯა სახელოვან მოთამაშეთა მიწვევასა და კონტრაქტების განახლებაზე. ეტყობა, ფინანსურად დაკმაყოფილებულმა ჰოკეისტებმა გარკვეულწილად სტიმული დაკარგეს და თვით შეუპოვარი ტეო ფლერიც კი თავისი თავის აჩრდილად იქცა. ვეტერანების შეუთამაშებლობა განსაკუთრებით რიცხვმრავლობაშია თვალშისაცემი და მაკლერის ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად არანაირი სასიკეთო ძვრა არ შეიმჩნევა. მაკლერი კი მაინც ისევ ვეტერანებს ენდობა, არადა, ძირითადში მოხვედრილი ერთი-ორი ახალგაზრდა მათზე უკეთ გამოიყურება. (მაგალითად, კიმ იუნსონი და ახალბედა მაიკლ იორკი), ხოლო დანარჩენებს , მათ შორის წლევანდელ დრაფტზე მეოთხე ნომრად არჩეულ პაველ ბრენდლს და 19 წლის მენი მალოტრას თავის გამოჩენის შანსსაც არ აძლევს. ალბათ, უმჯობესი იქნება, უახლოეს ხანში მაკლერი დაითხოვონ და საქმე გადაწყდეს, თორემ გაურკვევლობა კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

**სამველ ღარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### იარომირ იაგრი (პიტსბურგი)



იარომირ იაგრი წლეულს ისე ირჯება, ახლა კი არა, გასულ კვირებშიც აღიარების ღირსი იყო, მაგარმ ჩეხმა თავის წარმატებებს ყველა ისე შეაჩვია, მისგან სულ უფრო და უფრო მეტს ელიან, რაღაც ექსტრაორდინალურს. და მაინც, გასულ კვირას მთავარმა „პინგვინმა“ ოპონენტები ისე თვალსაჩინოდ დაჩრდილა, რომ არავის აღარაფერი ეთქმოდა. ჩეხმა სამ თამაშში 9 (3+6) ქულა მიითვალა, შედეგიანი სერია 15 მატჩამდე გააგრძელა, ხოლო მონრეალთან ნამდვილი ბენეფისი მოაწყო. მისი ძალისხმევით მოიგო პიტსბურგმა თითქმის უიმედო შეხვედრა (2 გოლი და 2 პასი) და კლუბიც მკვდრეთით აღდგა. სადღეისოდ 33 (14+19) ქულით ჩეხი ერთპიროვნულად ლიდერობს ბომბარდირთა შორის.

**საუკეთესო ექვსეული.** 8-14 ნოემბერი

*ჯემი სტორი* (ლოს ანჯელესი, 1); *რეი ბურკი* (ბოსტონი, 2) — *კრის ჩელიოსი* (დეტროიტი, 1); *ალექსანდრ სელივანოვი* (ედმონტონი, 1) — *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, 1) — *რობ ვალიჩევიჩი* (ნეშვილი, 1)

ვაქირავებ ან ვყიდი
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
ტელეფონით და ბუნებრივი გაზით სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23

საქართველოს 9 ჩემპიონატი

# 7 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### ვახტანგ მინაშვილი
·სტუ·



*მეშვიდე ტურში ცენტრალურ შეხვედრად მოინათლა ძველი მეტოქეების — მერვე ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელ სტუ-ს და მასთან საპრიზო ადგილისათვის დაძაბულ ბრძოლაში დამარცხებული თსუ-ს შეხვედრა. გამარჯვება ამჯერადაც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტობას დარჩა. მოედანზე საუკეთესო იყო სტუ-ს თავდამსხმელი, 21 წლის ვახტანგ მინაშვილი, რომელმაც თსუ-ს გამოცდილ ცენტრ გიორგი ბერუაშვილსა და მის ახალგაზრდა კოლეგა ზურაბ სანიკიძეს შანსი არ დაუტოვა. სამქულიანების გარეშე 38 ქულა მიითვალა და ლომის წილი დაიდო თანაგუნდელთა გამარჯვებაში. სტუ-ს ახალგაზრდა ფორვარდს საუბრის დროს მღელვარება ეტყობოდა, რაც ტურის საუკეთესო მოთამაშემ იმით ახსნა, რომ ცხოვრებაში პირველად იძლეოდა ინტერვიუს.*

**— ვახტანგ, რადგან პირველდ გიწევთ ინტერვიუს მიცემა ხომ არ აჯობებდა, თქვენი ბიოგრაფიით დაგვეწყო?**

— დავიბადე 1978 წლის 1 თებერვალს ქალაქ სამტრედიაში. კალათბურთში ვარჯიში ძალიან გვიან, 16 წლისამ დავიწყე იქვეა თამაზ რაფავას ხელმძღვანელობით. ერთი წლის შემდეგ, 1995 წელს, გადმოვედი თბილისში და ჩავირიცხე „მართვეში", რომელსაც მამაჩემის მეგობარი, ბატონი ავთო აბრამიძე ავარჯიშებდა. ბავშვთა ლიგაში თამაშის შემდეგ ჩვენს გუნდს დაერქვა ასკ-სტუ. ვთამაშობდი სტუდენტურ ლიგაში, ხოლო შემდეგ ჩავირიცხე სტუ-ს ძირითად გუნდში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობ სამართალმცოდნეობის განყოფილებაზე.

**— თუ კალათბურთის თამაშს აპირებდით, ასე გვიან რატომ დაიწყეთ ვარჯიში?**

— მამაჩემის სურვილი იყო, კალათბურთელი გამოვსულიყავი, ხოლო ბაბუაჩემი ჩემს მოჭადრაკეობაზე ოცნებობდა. თავიდან ბაბუაჩემმა გაიმარჯვა, რადგან კალათბურთისათვის ძალიან დაბალი ვიყავი და 6 წლისამ დავიწყე ვარჯიში ჭადრაკში. პერსპექტიულ მოჭადრაკედ ვითვლებოდი, ნაკრებშიც მიწვევდნენ და ევროპის ქვეყნების თითქმის ნახევარი მოვიარე. ოსტატობის კანდიდატობამდე მივაღწიე, მაგრამ შემდეგ ქვეყანა აირია და 13 წლის ასაკში ჭადრაკს ჩამოვშორდი. არ ვიცი, რისი ბრალი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც ჭადრაკს თავი დავანებე, უცბად ტანი ავიყარე. მამაჩემსაც ბევრი აღარ უფიქრია და კალათბურთზე გამაქანა.

**— ჭადრაკი რომ კალათბურთზე გაგაცვლევინეს, საბოლოოდ კმაყოფილი დარჩით?**

— ძალიან, კალათბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

**— როგორც მოჭადრაკეს, ხომ უფრო ხშირად გიწევდათ მოგზაურობა?**

— კალათბურთში უცხოეთში მოგზაურობის მიზნით არ მოვსულვარ. თავის დროზე მოგზაურობებიც იქნება, მაგრამ მთავარია, რომ კალათბურთი ჭადრაკზე მეტ სიამოვნებას მანიჭებს.

**— სიმაღლეში ისევ იმატებთ თუ...**

— წელიწადნახევარია, აღარ მომიმატია.

**— თუ აღარ მოიმატეთ, თქვენი სიმაღლის კალათბურთელს ცენტრში თამაში არ გაუჭირდება? თუ თქვენი კალათბურთით გატაცება მხოლოდ დროებითია და საბოლოოდ იურისტობას აპირებთ?**

— მე ძირითად ცენტრს არ ვთამაშობ. უფრო უკან დახეული ვარ და მაღალი ნახტომის გამო ფარზე ბურთის მოგება არ მიჭირს. სანამ შევძლებ, ვითამაშებ კალათბურთს, ხოლო როდესაც სპორტისათვის საპენსიო გავხდები, მერე იურისტობას მივმართავ.

**— თსუ-სთან მატჩის შესახებ რას გვეტყვით, ასეთ იოლ გამარჯვებას თუ ელოდით?**

— მე არ ვთვლი, რომ იოლად მივაღწიეთ გამარჯვებას. პირადად მე თითქმის ყველა ქულა ბრძოლაში გავაკეთე.

**— წინასწარ შემუშავებული გეგმით მოქმედებთ, თუ თამაშის მომენტში იღებთ გადაწყვეტილებას?**

— შეტევის გეგმას წინასწარ ვამუშავებ, მაგრამ შემდეგ მოედანზე შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ვმოქმედებ. სხვათა შორის, ამ მხრივ ჭადრაკი ძალიან გამომადგა.

**— კარგი გუნდი იყო ასკ-სტუ, მაგრამ თქვენი და დავით მოისწრაფიშვილის სტუ-ში გადასვლის შემდეგ იგი თითქმის მთლიანად დაიშალა. რამდენადაც ვიცით, თქვენი სტუ-ში გადასვლა უკეთესმა პირობებმა განაპირობა. ამჟამად გუნდში რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— არა უშავს, მაგრამ იდეალურს ვერ უწოდებ.

**— უკეთესი პირობები რომ შემოგთავაზონ, სხვა გუნდში არ გადახვალთ?**

— ჯერჯერობით არა. მეოთხე კურსზე ვარ. სადაცაა უნივერსიტეტს დავამთავრებ და შემდეგ ვნახოთ.

**— თსუ-სთან მატჩი თქვენს ბიოგრაფიაში ყველაზე საუკეთესო იყო?**

— არა, უკეთესიც მითამაშია.

**— გახსოვთ ის შეხვედრა?**

— როგორ არა. გაზაფხულზე ჩატარებული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოლ სტარის საუკეთესო კალათბურთელად დამასახელეს.

**— ჯერჯერობით ნაკრებში არ გითამაშიათ, არც მიწვევა გქონიათ?**

— მთავარმა მწვრთნელმა, ბატონმა ზურაბ ტომარაძემ ერთ-ერთ კანდიდატად დამასახელა, მაგრამ მოვხვდები თუ არა ნაკრებში, არ ვიცი.

**— სტუ-ს ხელმძღვანელობა ჩემპიონობას ითხოვს, მაგრამ „ბასკოსთან", „აზოტთან" და „ვითასთან" პრინციპული შეხვედრები წააგეთ, მიზეზს ვერ გვეტყვით?**

— შეუთამაშებლობა და მეტოქის მოედნის ფაქტორი. პირადად მე ბათუმში სტუმრად პირველად ვითამაშე.

**— თქვენ საკმაოდ უცნაური ზედმეტი სახელი გქვიათ — „ფობი" რას ნიშნავს, ან რატომ დაგარქვეს, ხომ ვერ გვეტყვით?**

— სანამ დავიბადებოდი, ეს სახელი მანამდე დაურქმევია ჩემთვის მამაჩემს. თუ ბიჭი დაიბადა, ის ჩემთვის ფულიც იქნება, ოქროც და ბრილიანტიცო. ფაქტობრივად მამაჩემმა ორი სახელი დამარქვა. ოფიციალურად ვახტანგი, ხოლო თავისთვის კი „ფობი".

**— ცნობილ ქართველ კალათბურთელ ბატონ გურამ მინაშვილთან მარტო გვარი გაკავშირებთ თუ...**

— მარტო გვარი, ნათესავები არ ვართ. ჩემი დიდი მოგვარის დონეზე თამაში რომ შევძლო, აი, მაშინ კი ვიტყვი — მამაჩემის ოცნება შევასრულე-მეთქი.

**როლანდ ლაგუჩიძე**

## ევროლიგა

EURO LEAGUE

I ჯგუფური ეტაპი.
VIII ტური. 17 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ცსკა 71:82 პაოკ
ბარსელონა 71:62 შოლე

**C ჯგუფი**

პივოვარნა 69:80 ვილერბანი

**D ჯგუფი**

ბუდუჩნოსტი 86:80 ეფესი

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი.
VIII ტური. 16-17 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ჩერნო მორე (ბულგარეთი) — ჰონკა (ფინეთი) 86:89, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — აეკ (საბერძნეთი) 77:82, ავტოდორი (რუსეთი) — შარლერუა (ბელგია) 69:68

*სატურნირო მდგომარეობა: აეკ 16 ქულა, ჰაპოელი 12, შარლერუა 12, ჩერნო მორე 12, ჰონკა 10, ავტოდორი 10*

**B ჯგუფი**

ზადარი (ხორვატია) — პამესა (ესპანეთი) 59:74, დელტა (ესტონეთი) — აქილეასი (კვიპროსი) 60:70), არსენალი (რუსეთი) — სავინსკი (სლოვენია) 67:59

*სატურნირო მდგომარეობა: პამესა 16 ქულა, ზადარი 14, არსენალი 12, აქილეასი 11, სავინსკი 10, დელტა 9*

**C ჯგუფი**

მაკაბი (რაანანა, ისრაელი) — შალონ-სიონი (საფრანგეთი) 56-51, რიკო (ჰოლანდია) — აპოელი (კვიპროსი) 98:38, ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — ალბაკომპი (უნგრეთი) 95:83

*სატურნირო მდგომარეობა: ლიეტუვოს რიტასი 14 ქულა, ალბაკომპი 13, შალონ-სიონი 13, მაკაბი 13, რიკო 11, აპოელი 8*

**D ჯგუფი**

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — ტაუ (ესპანეთი) 78:72, რაბოტნიჩკი (მაკედონია) — ბოსნა (ბოსნია) 51:82, პეკაესი (პოლონეთი) — ილიაბუმი (პორტუგალია) 89:65

*სატურნირო მდგომარეობა: პარი სენ ჟერმენი 15 ქულა, ტაუ 14, პეკაესი 14, ბოსნა 12, ილიაბუმი 9, რაბოტნიჩკი 8*

**E ჯგუფი**

ირაკლისი (საბერძნეთი) — პორტუ (პორტუგალია) 65:58, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 88:66, ტელეკომი (გერმანია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 77:68

*სატურნირო მდგომარეობა: ირაკლისი 15 ქულა, პარტიზანი 13, სლოვაკოფარმა 13, პორტუ 12, ტელეკომი 11, სენტ პიოლტენი 8*

**F ჯგუფი**

ცეპტერი (პოლონეთი) — კინდერი (იტალია) 51:64, ვენტსპილსი (ლატვია) — მატავი (უნგრეთი) 71:47, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ნორჩიოპინგი (შვედეთი) 97:84

*სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 16 ქულა, ცეპტერი 14, ნორჩიოპინგი 12, ვენტსპილსი 11, ფენერბაჰჩე 10, მატავი 9*

**G ჯგუფი**

ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — პლანია (შვედეთი) 67:78, დარუშაფაკა (თურქეთი) — ადეკო (იტალია) 64:60, სპლიტი (ხორვატია) — ოკაპი (ბელგია) 78:82

*სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 15 ქულა, სპლიტი 13, პლანია 12, ადეკო 11, ოკაპი 11, ლონდონ თაუერზი 10*

**H ჯგუფი**

რადნიჩკი (იუგოსლავია) — კრკა (სლოვენია) 65:76, მლეკარნა (ჩეხეთი) — ტოპო (ფინეთი) 82:85, საკალაი (ლიტვა) — ტატამი (გერმანია) 75:76

*სატურნირო მდგომარეობა: საკალაი 14 ქულა, რადნიჩკი 13, ტატამი 13, კრკა 12, მლეკარნა 10, ტოპო 10*

*IX ტური გაიმართება 7-8 დეკემბერს*

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# ანდაზის წინააღმდეგ

16 ნოემბერი

**სან ანტონიო 90:87 ინდიანა**

(ძირითადი დრო 76:76)

სან ანტონიო: რობინსონი (22 ქულა, 12 მოხსნა), დანკანი (22 ქულა, 15 მოხსნა).
ინდიანა: როუზი (28)

**მილუოკი 101:93 კლიპერსი**

მილუოკი: რობინსონი (24 ქულა, 10 მოხსნა), კასელი (20)
კლიპერსი: ანდერსონი (27), ოდომი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი 96:101 პორტლენდი**

მაიამი: მურნინგი (23), მაშბურნი (21)
პორტლენდი: ვოლესი (22), პიპენი (20 ქულა, 13 მოხსნა)

**ატლანტა 103:98 შარლოტი**

ატლანტა: ტერი (22), ჯეკსონი (20)
შარლოტი: მეისონი (20 ქულა, 16 მოხსნა), ჯონსი (20)

**ვაშინგტონი 73:95 ფილადელფია**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (27)
ფილადელფია: აივერსონი (39)

**ტორონტო 89:85 დეტროიტი**

ტორონტო: დევისი (24 ქულა, 15 მოხსნა), კარტერი (21)
დეტროიტი: ვილიამსი (26 ქულა, 10 მოხსნა), სტეკჰაუზი (26)

**დალასი 114:95 ჰიუსტონი**

დალასი: ფინლი (28 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)
ჰიუსტონი: დრიუ (15)

**დენვერი 95:102 ნიუ იორკი**

დენვერი: მერსერი (30), მაკდაიესი (26)
ნიუ იორკი: სპრიუელი (26), ჰიუსტონი (23)

**გოლდენ სტეიტი 99:79 ჩიკაგო**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (20)
ჩიკაგო: ბრენდი (17)

**საკრამენტო 81:77 ვანკუვერი**

საკრამენტო: ვებერი (19)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24 ქულა, 18 მოხსნა), ჰარინგტონი (22 ქულა, 12 მოხსნა)

სამშაბათს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ბევრი თამაში გაიმართა, ჩვენ კი ორიოდ მათგანი გამოვარჩიეთ.

ყველაზე დიდ ინტერესს სან ანტონიოში გამართული შეხვედრა იწვევდა, სადაც ერთმანეთს იქაური „სფურზი" და „ინდიანა პეისერზი" ხვდებოდნენ. მთელი ყურადღებაც აქეთ იყო და ეს ბუნებრივიცაა, რადგან „სან ანტონიო" ჩემპიონია, „ინდიანას" კი აღმოსავლეთის ფინალში „ნიუ იორკი" რომ დაეჯაბნა, მის იმდღევანდელ მასპინძელს ფინალში. ამასთანავე, ეს აღმოსავლეთის და დასავლეთის გრანდთა ჭიდილი იყო. მათ შორის დაპირისპირებას განსაკუთრებული ეშხი აქვს. ფავორიტად, ცხადია, ჩემპიონი მიიჩნეოდა. თან იგი შინ თამაშობდა, სადაც სან ანტონიოს აგერ 17 თამაშია, არ წაუგია (თუ წინა სეზონის რეგულარულ ჩემპიონატსაც ჩავთვლით), „ინდიანა" კი აქაურ „ალამოდოუმში" თავისი ბოლო შვიდი თამაშიდან ექვსში დამარცხებულიყო.

სტუმრებს ასეთ ძლიერ მეტოქესთან მარცხისთვის არავინ გაკიცხავდა, მასპინძლებს კი გადაჭედილ დარბაზში, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ დამარცხების ეშინოდათ და ისე დაფრთხნენ, რომ „ინდიანა" იოლად დაწინაურდა, მთელი მატჩის განმავლობაში წინაც იყო, მაგრამ მასპინძლებმა თავიანთი თამაში ბოლო მეოთხედში იპოვეს. ამ დროში მათ ჯერ 14-ქულიანი დეფიციტის შემცირება შეძლეს, მერე კი — გაქვითვა. „ინდიანას" ცოტა მეტი გულისყური რომ გამოეჩინა და შეტევაში ბურთი დიდხანს დაეჭირა, ბოლო წუთში ოთხქულიანი უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდა. ის კი არა, „სან ანტონიოს" შეეძლო, ძირითად დროშივე მოეგო. როცა დევიდ რობინსონი მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ორი წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე დადგა, ინდიანა 76:75 იგებდა, მაგრამ ამ გამოცდილმა კაცმა მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანები ოვერტაიმისთვის გაწირა. იქ კი ყველაფერი მას შემდეგ დასრულდა, რაც მასპინძელთა მეორეხარისხოვანმა მოთამაშე ჯეირომ კერსიმ მატჩის დასრულებამდე 7,6 წამით ადრე ზუსტი ორქულიანით საბოლოო ანგარიში — 90:87 დააფიქსირა. „ინდიანას" საკმაო დრო რჩებოდა შეტევისთვის, მაგრამ ვერას გახდა.

კიდევ ერთი აღმოსავლურ-დასავლური ჯახი გაიმართა მზიან მაიამიში „ჰიტსა" და „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" შორის და აქაც დასავლელს დარჩა გამარჯვება, თანაც აქაც წაგებული გუნდი დაწინაურდა თავდაპირველად, მაგრამ რამდენიმექულიანი უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა.

„მაიამი" ძლიერი გუნდია, დაახლოებით ისეთი, როგორიც „პორტლენდი" იყო წინა სეზონში, ეს უკანასკნელი კი წლეულს გაცილებით ძლიერია, ვიდრე ერთი წლის წინ. გუნდში პიპენი, სმიტი და შრემპფი მივიდნენ, რომელთაც უფრო გააძლიერეს „ბლეიზერსი" და მის საჩემპიონო ამბიციებსაც მეტი დამაჯერებლობა შეჰმატეს. ასე რომ, ეს ვარსკვლავთკრებული არც ერთ გუნდს არ შეუშინდება და მუდამ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

ამ თამაშში კი ბოლო წუთებამდე ვერავინ დაასახელებდა გამარჯვებულის ვინაობას. სტუმარმა რაშიდ ვოლესმა საბოლოოდ გაიყვანა წინ თავისიანები — 88:87, შემდეგ სკოტი პიპენის ჯერიც დადგა მან ჯერ ორი საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ სამიანიც მიაყოლა. ამის შემდეგ „ბლეიზერსი" 95:87 დაწინაურდა, მატჩის დამთავრებამდე კი მხოლოდ ორი წუთი რჩებოდა და სტუმართა წარმატებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ასეც მოხდა.

ნათქვამია, აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ოდენი არ ზიდისო, მაგრამ „ჰიუსტონ როკიტსმა" ამ ანდაზის საპირისპირო რამ დაამტკიცა. „როკიტსი", წესით და რიგით, „დალასის" დარ გუნდებთან 19 ქულით არ უნდა აგებდეს (სულ არ უნდა აგებდეს), მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ტეხასურ დერბიში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. აღსანიშნავია, რომ სტუმართა ერთ დროს ყოვლისშემძლე მოთამაშეებს — ჰაკიმ ოლაჯუონსა და ჩარლზ ბარკლის ერთად 20 ქულა მოუგროვდათ. ამ ორის გარდა „ჰიუსტონს" ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე, სტივ ფრენსისი ჰყავს, მაგრამ ამ იმედისმომცემმა ახალბედამ მეორე მეოთხედში ჩხუბი აუტეხა მეტოქეებს და თამაშიდან გააძევეს.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS ატლანტიდან

ატლანტა — შარლოტი. ბიმბო კოულზი (თეთრი ფორმით) ბურთის ნაცვლად შარლოტელი დევიდ ვესლის ფეხს წაეტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოქსბოროს ქიდილი

აჰ, ეს არის ამერიკული ბურთაობა. მძდი და გაუძელი. ფოქსბოროში ერთმანეთს ხვდებიან „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი“ -და „ნიუ იორკ ჯეტსი“. ჯეთსელი მიმღები კეიშოუნ ჯონსონი, პატრიოტ ლოიერ მილოისა (მარცხნივ) და კრის კარტერს (მარჯვნივ) ეშმაკური გაკოტრიალებით თუ გაცდება. ისე, „ჯეთსს“ მოუგია 24:17.





REUTERS სიდნეიდან

# სამშობლოში

გმირებს დახვედრა უნდათ. ავსტრალიელმა მორაგბეებმა კარდიფში მოგებული მსოფლიოს თასი, უილიამ უებ ელისის სახელობისა უკვე მეორედ დაისაკუთრეს და სიდნეიში ჩამოატარეს. ლაღობა და მისალმება მშვენიერი იყო, ოხუნჯობაც. კრის ლათემმა და ბენ თუნმა ძვირფასი ჯილდო პოლიციელ ქალსაც კი გაუწოდეს, აჰა, კუკლაჯან, შენა გქონდესო. ქალი კი დაიბნა, მაგრამ...



# მიკა მოსკოვში

რუსთა დედაქალაქ მოსკოვში ერთი დღით ჩასულა ფორმულა 1-ის ფინელი ჩემპიონი მიკა ჰაკინენი. თაყვანისმცემელი ბევრი დახვედრია მთელი წლის ნაჯაფარ მიკას, თუმცა, ასეც ყოფილა განსაზღვრული — მისი ვიზიტი სარეკლამო ხასიათისა გახლდათ. ვინ იცის, ეგებ რუსები ტრასის გამართვას აპირებენ.



REUTERS მოსკოვიდან






REUTERS ჰავაიდან

# ჰავაის ბულბული

ჰავაიზე გახურებული სერფინგობა მიმდინარეობს. ოჰუს ახლოს, ალიიბიჩზე, ჯი-შოკის პრო ტურნირი მიმდინარეობს. ეს კოხტა გოგო, ოკეანის ნალდი ქალი, საფრანგეთის ჩემპიონი ემანუელ ჟოლი გახლავთ, რომელსაც ჰავაის ბულბულად გახდომა გადაუწყვეტია.

არცთუ ტალღიანი ამინდის მიუხედავად, მანიუმ იოლად მოიგო პირველი შეჯიბრი და ახლა ჰავაელ ახტაჯანებს მეგან აბუროს, კელა კენელისა და მელანი მარტლეს უნდა დაუპირისპირდეს. ეს ჯი-შოკი ხუთვარსკვლავა შეჯიბრია, მასში 96 რჩეული ქალი და მამაკაცი მონაწილეობს და გამარჯვებულები 80 ათას დოლარს გაიყოფენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli